

1881

# ივერია

1881

№ XII, დეკემბერი.



თბილისი.  
ექვთიმე სულაძის სტამბა.  
1881

## შინაარსი:

I ივერიის რედაქციისაგან.	3
II მეირომა ანუ ბოსნელები, (დასასრული) . . . . .	5
III მანმარტებითი წერილი სწავლების ჰლანისა, რამე- მედიც მიღებულ უნდა იქმნას სამეურნო სკოლაში ს. წინამძღვართან კარს. . . . .	76
IV ორი ლექსი, ი. ბაქრაძისა . . . . .	110
V ნახული და გავონილი (მგზავრის შენიშვნები).	112
VI «ნეტა რას ტირი დედილო,» ლექსი თ. ჯავ- ერისთვისა. . . . .	127
VII შინაური მიმოხილვა . . . . .	128
VIII ხილად, (ჭკვეტონი) . . . . .	143
IX ახალი წიგნები (თ. ჯ. ერისთვის იგავ-არაკნი) ი. ს—ა. . . . .	153
X შინაარსი 1881 წლის «ივერიისა» . . . . .	166
XI მანცხადებანი . . . . .	169
XII სია 1881 წლის «ივერიაზედ» ხელის მომწერთა (უდაზგად).	



1881/5  
65  
129

# ივერია


საპოლიტიკო და სალიტერატურო

ჟურნალი.

თ. 1881 წლის II კვ. კათოლიკოსის კავშირით დასაბამი

წელიწადი მეხუთე.

№ XII



თბილისი.

ვეფოიმე ხელაძის სტამბა, აჯამანის ქუჩაზე.

1881

257 3085

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Ноября 1881 г.

## „ივერიის“ რედაქციისაგან.

მომავალს 1882 წელს ჟურნალი «ივერია» გამოვა იმავე სახით და სივრცით, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

ჟურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიკული—რომანები, მოთხრობები, პოემები, წგრილი ლექსები, რეგარც ორიგინალურნი, ასე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული «მინაურს მიმოხილვას.» რედაქცია ყოველის დონის-ძიებით ეცდება, რომ აწაკითაძი საინტერესო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისამებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იფიქროს სანდო პირნი ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა მინაურის მიმოხილვისა, ჟურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნების მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავსედ წარუდგინოს შკითხველს ყოველივე, რაც კი გარემო ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა—წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნელებისათვის საინტერესო საგნებზედ. თეატრი—გარჩეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სცენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტრისების სელაგება. ახალი წიგნები—გრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით

დაბეჭდილებზედაც, რომელნიც ჩვენს ქვეყანასა და საფხვს შე-  
კებიათ. სხვა-და-სხვა ამბები—მცნეიერებისა და ლიტერატურ-  
ისა.

წიგნები «ივერიისა» გამოვა ყოველს თვისა - და - თვის  
დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ პეტლის წლით.

### ფ ა ს ი

«ივერიისა» 1882 წლისა (თორმეტი წიგნი), 7 (შვიდი)  
მანათი, ვისაც ერთად შემოტანა არა სურს, შეუძლიან ოთხი  
მანათი პირველს იანვრამდე შემოიტანოს და სამი მანათი პირ-  
ველს მაისამდე.

ყოყნაზედ ხელის-მოწერა მიიღება «ივერიისა» რედაქ-  
ციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხვეის ქუჩაზედ, თა-  
რესაშვილის სასახლეში, № 9 და აგრეთვე შავრდოვის საკენ-  
ტოში, ალექსანდროვის ბაღთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თუელი და წერილები შემდე-  
გის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ».*

## მეორე ანუ გოსნელეზი.

(დასასრული \*).

### მოქმედება შესამე.

(პატარა ბალი ღიობიცას სახლს უკან.)

#### 1-ლი სანახაში.

ღიობიცა. (მარტო. საქორწილო კაბაში) ძამა-ჩემმა ასე რად გამომკითხა ჟივანის ამბავი? ნუ თუ იმანაც შეამჩნია, რომ ჟივანი ჩემსედ გულ-აურლია. მის მე არ მოვტყუებულვარ. ღმერთო, რა უბედური მიზეზი უნდა იყოს?.. რატომ შექმდლა, არა დამიზოგავს-რა, მაგრამ მინც ჟივანს ჩემი თავი ვერ შეკავებ... სულ ტყუილი უღივლია; მე ვგრძნობ, რომ თავის დღეში იმისი სასურველი არ ვიქნები. ვაი შენ ჩემო თავო, რა უბედურის დღისა ხარ! ეს ვინ დედა-კაცია? ჩემის ჯვარის - წერის წინად რად მოსდომებია ჩემი ნახვა, ნეტა ვიცოდე?

\*) «ივერია» № 11, 1881 წ.

## 2-ე სანახაში.

მეგობარი და ლიუბილა; ბოლოს შიგან.

მეგობარი. ჭაღო, მე შენ კარგად გიცნობ, ვინცა ხარ; შენ კი  
არ იცი მე ვინა ვარ, და კერძო ესაა შეიტყობ. აქ მო-  
კვდი იმისთვის, რომ გამოგიცხადო ის, რაც შენთვის  
ჩემს ვინაობაზედ უფრო საჭიროა.

ლიუბილა. რა არის? მითხარი!

მეგობარი. საიდუმლო შენს საქმროზედ.

ლიუბილა. შევანზედ?... რა საიდუმლო?... ვინა ხარ, დედა-გაგო?

მეგობარი. თუ კიდევ მკითხე ვინა ვარ, საიდგანად მოვსულვარ,  
იქვე წავალ.

ლიუბილა. ნუ წახვალ, სთქვი!

მეგობარი. ჯერ ფიცი მომეცი, რომ არავის გტყვი, ვინ იყო  
შენთან და რა გითხრა.

ლიუბილა. გუფიცები, აღთქმას გაძლევი.

მეგობარი. მამ, ესაა, ეს კარგია დაჯგუფე.

ლიუბილა. (კარგს დაჰყურავს) დაკეტილია.

მეგობარი. მითხარი, მაგრამ მართალი გი მითხარი, შევანი რა-  
გორ გეშურება? უგვარხარ? გეტრეპიალება? ერთის სიტ-  
ყვით, დაწმენებულა ხარ, რომ წრთელის გულისთ უ-  
ვარხარ?

ლიუბილა. რაებსა მკითხავ? ან რისთვისა მკითხამ?

მეგობარი. რადა შენთან არის, დადარებულა, დაფიქრებულა  
და რადა შენა გმორდება, უხარბან, განა?... საცოლოს  
თვლი არ შეატყვის! შენ უთუოდ შეამჩნევდი.

ლიუბიკა. ღმერთო ჩემო, ეს რა ძეგმის! არ მიტნობ და რა გამოძიებაში შედისარ ჩვენდა საკუთარ საქმის გამო. შენ ვინ, ჩვენ ვინ?

მეირიმა. (მოუთმენლოვ.) უყვარხარ თუ არა? უყვარხარ თუ არა? მითხარ!

ლიუბიკა. მითამ რატომ არ ეყვარები, როდესაც მე მიყვარს როგორც ჩემი ორივე თავლი, როგორც ჩემი თავი და ჩემს თავზედ უფრო მეტადაც. ჩემს სიყვარულს, რასაკვირველია, სიყვარულითვე მასუხს აძლევს!

მეირიმა. (აღშფოთებული.) ისა?.. ოჲ. გამოგონე: სიყვარულით მასუხს აძლევს! მერე ვინა? ყივანა? ყივანს შენ უყვარხარ!?!.. ვაი, შე საწყალო!... იმას თავისი ძაღლი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე შენ!.. იცი თუ არა, თავისი ძაღლი მეტეი.

ლიუბიკა. როგორ! ძაღლი!.. სამარცხვინო და სამაგელს სიტყვებს ამბობ!.. ეს იტოდე, მაგ სიტყვებით მე გულისკერ მატეინ. გადი, გადი აქედამ!

მეირიმა. უყვარხარ?... შენ ვერ უმაწვილი ხარ, ფერ-უმარლი ვერ ცოტა ვისმარნია და ამიტომაც გგონია მსუთ-უნახავი ვარო და ყველას გაკავიყუბ ჩემის სალამაზითაო? შენა გგონია, რომ იმას მოსწონხარ? შენა გგონია, შენ გამო იმას სხვა ქალი აღარ უნდა მოსწონდეს, სხვა ქალი უნდა დაივიწყოს? ვაი რა სულელი ყოფილხარ, რა უგუნური!

ლიუბიკა. ნეტა რად არის ყოველივე შენი სიტყვა მხამით სავსე! აგრე მრისხანე თავლით რად მიუყრებ? აგრე რად ვითართის მთელი ტანი? მე მივსვდი, რადაც და თვითონ ვთრთი, რომ მაგას ვიფიქრობ.



მეირიმა. რა შხაძი, რას ამბობ?... თრთოლით ვი ვთრთი, იმიტომ რომ გული გაანჩხლებული მაქვს შენზედაც და იმანზედაც. შენ მოჭსტარე ყივანი სხვა ქალს; ყივანმა უღადატა იმ ქალს და ეხლას შენ გიღადატებს.

ლიუბილა. ოჰ! მატყუებს! ეს რა მესმის?!..

მეირიმა. (სიხარულით) ჰო, ჰო, ყივანს დიდი ხანია სხვა მოსწონდა, და ეხლაც, ამ უამადაც. ამ წუთსაც ის უყვარს. შენზედ თუ დაინიშნა, მარტო იმისათვის, რომ თავის მამას აამოს. სიყვარულით ვი, ის სხვა ქალი უყვარს და სამუდამოდაც ეყვარება. გესმის თუ არა, სხვა ქალი მეთქი! მე ის ქალი მიყვარს, როგორც ჩემი ღვიძლი და, უფრო მეტადაც. და თუ ყივანი შენ ძალად ხელიდამ გამოაჭაღე, იცოდე მეც ძალას მოვიხმარ შენზედ და მშინ ნახამ ქვა გასტეხს ჭიქასა, თუ ჭიქა ქვასა.

ლიუბილა. ნუ თუ შესაძლებელია, რასაც მეუბნები? სხვა უყვარსო? სად არის ის სხვა? ვინ არის, ვინ? რატომ თვითონ არ მოვიდა?... ოჰ, ოჰ, ნუ სტყუი, ნუ მატყუებს, ნუ!..

მეირიმა. თუ ვსტყუოდე, ცოცხალი ნუ გაკვალ ამ ბაღიდაში! მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს! კიდევ მეუბნები: იმას ჩემად სხვა უყვარს, სხვა!

ლიუბილა. კმარა, კმარა! მაგდენს ნუ მტანჯავ. ის მეჩჩინას დანა აგელა და მოგეკალი!

მეირიმა. თავი დაანებე, დამიჯერე. მანამდის მეჯვარეები მოვიდოდენ შენს წასაყვანად, ეხლავე, ამ წუთსაცვე ქვეშსაგებში ჩაწეპი და თავი მოიავადმეოფე. ამითი ქორწილს გადაადებინებ სასხვადიოდ. მეჩე ვეკლავიერი მამა-შენს გა-

ანჭ მოუცხადე და დეე, მამინ მახზოს ეს შენი უბედური  
 ჯვარის-წიკა. (ხალში უვიანი შემოდის).

ლიუბილა. ოჰ! აი თვითონ, თვითონ უვიანია!  
 მეორიმა. უვიანია!.. კარგ დროს მოვიდა! თუ კაცია და ჩემს  
 ნათქვამს უაზრსა ჭყუროს.

ლიუბილა. უვიან, ღვთის მშობელს გაფიცებ, ვინ? არის ეს  
 ჩემი ქალი, ადამიანია თუ ქაჯია... რა არის?.. აქ მოვიდა და  
 საშინელი საიდუმლო მითხრა: სხვა ქალი ჩემ გაწდა ვინ  
 გიუვიას?

მეიან. მართალი ჭსოვია, ქაჯია! ეს წყუელი დმერთმა თან  
 ამადეკნა, რომ ყოველ თვისა გადადგმაზედ ოცნო მით-  
 ხაროს. წმინდა ჯვარს გეფიცები, თუ რომ ერთი რამ  
 მიზეზი, მხალად ერთი მიზეზი არ მახკელებდეს,  
 მე აქვე სულს გავაფრთხობინებდი.

მეორიმა. ვის? მე? შენ გამაფრთხობინებდი! ჭოი შე საზიზ-  
 დარო მონაგ! მე შენი იმოდენად მეშინიან, რამოდენა-  
 დაც უკანასკნელის ბუზისა, რომელიც ჩემ ყურთან ბზუის.  
 შენ მე უნდა მომკლას?! მამ არა გცოდნია, რომ შენი და  
 მაგისი თავი ეხლას ისეთ წვრილს ბეწვზედ ჭბილია, რომ  
 ღამის გაწუდეს? ერთხელ თუ ხელიდამ წამისკველ, გტონია  
 რომ ყოველთვის ეგრე ადვილად გადაძრებო.

მეიან. გადი! გადი აქედამ!

მეორიმა (ზიზლით მიჭხედამს, ლიუბილასთან მივა და ხელს მოჰკიდებს.)  
 ამას წინად გირჩიე, რომ ამ გველს სუ მიიკარებ, თა-  
 რემ გულის დაგიშხამავს მეთქი. წელან გირჩიე და ეხლას  
 კი მე შენ სასტოკად გიკრძალავ. თუ არ დამიჯერებ, თუ  
 არ გამიგონებ, ვაი შენ, ვაი მეთქი! (გადის).

ლიუბილა. ესლას ყველასიერსა ვხედამ. ეხლას ყველასიერი მესმის,

ესლა ვეკლავური ცხადია, შენა სეკდიანობაც და ჩემი შიშიცა! ყოვან, თუ სხვა გიყვარს, რაღად ჭლალატობ და რად იწერ ჩემსედ ჯვარსა? ნუ თუ ძართალია, შენს სულს გაფიცებ, ნუ თუ ძართალია, რომ ძარტო მამის-შენის ძალ-დატანებით იწერ ჩემსედ ჯვარსა?

შივან. აბი გიყის სიტყვა დაიჯერე?

ლიუბიცა. სხვა არის, თუ ეგა, არა — ეგ უნდა იყოს ჩემი მოცილე, ეგ?

შივან. აგრე ჭფიქრობ?.. ნუ დაიჯერებ! სულ რაც გიამბო, ძალღის ყეფას, სხვა არაიერი! შენს მეტი სხვა ქალი არ ვიცი და არც მეცოდინება. წამო, ოთახში შევიდეთ. რაც მოხდა, ჩვენში დარჩეს, ნურავის ეტყვი.

### 3-მე სანახაში.

(დიდი დარბაზი ალი-ფაშის სასახლეში. გარსა სხედან ოსმალონი და ჩუმად არიან: ალი-ფაშა; ასან, რუსთან, ფეიზ, ჩამილ, დურათ-ბეგი.)

ასან. ასლას, რაზედ გაკჩუმიდით ვეკლავნი, თითქო შირში ტყვიას ჩაუსხამთო.

რუსთან. ეჭ, ვარგი ერთი ასან-ალა, ფიქრს ნუ გვიფთხობ.

ფეიზ. მე ყოველთვის ვშიშობ, რომ ჩვენ ყმაწვილ-გატებს ბევრის ფიქრისაგან თმა არ გაგვითეთრდეს.

ჩამილ. მაგ შიშს ძალე მოგაშორებთ ტრავნიცკის კუწინი, თუ მოინდობა. ჯერ ხომ მაგალითი არა ყოფილა, რომ ყმაწვილი-გატის მოჭრილი თავი გათეთრებულყოფოს.

ფეიზ. ხა, ხა, ხა! მოაწრებულე სიტყვაა, მაგრამ ჯერ იმის-

მგონი თანა ხმალი აწავის გაუკეთებია ვეზირისათვის, რომ ჩვენ  
 თავები დავაყრუებინოს და თუ გაუკეთებია ვისმე, მგონი  
 ჩვენს ვისრებს ვერ გაუძღვას და ზედ გადატყდეს.  
 ჩამილ. როგორც ესლა მე თქვენ გიტყვით, ისე ვიტყვობდა  
 უწინდელ სარაკის ფაშებსაც. იმათი კისრები ჩვენს კის-  
 რებსზედ უფრო სხვილები იყო, მაგრამ ვეზირ ავღურ-  
 ძანის ხმალია კი ისე დასჭრა ყელები, როგორც ქათ-  
 მებს. ერთს იმათგანს, კარგად მახსოვს, თეიზი ერქვა,  
 შენი სეხნია იყო და ჩემი მეგობარი ვატი. რაღაც მე-  
 უბნება, რომ ორივე სეხნიებს ერთი და იგივე ბოლო  
 გაქნებათ.

შეიზ. მე კი ასე მგონია, რომ სეხნია—სეხნიის სისხლს აი-  
 ღებს! ესლანდელი სარაკის ფაშები უწინდელებს არა  
 ჰგვანან. ესლა იმისთანანი აღარ არიან, რომ ავღურ-  
 ძანის სიტყვას მიენდონ, ზეოწნიეში წავიდნენ და იქ  
 დაიხრცნენ. და თუ ვეზირს ჩვენთან რამე საქმე აქვს,  
 თვითონ მომძინდეს ჩვენთან, ჩვენც ვეცდებით, რომ კარ-  
 გად დავუხვდეთ.

რუსთან. ესლა, ძმაო, გაუძნელდება აქ მოსვლა. ბევრგან იწ-  
 ვიკენ სტუმრად. დივნმა ხომ სადილი მიართვა: მე ძარ-  
 თალი გითხარით ამას წინად: თავისი მოხარშული წვენი  
 თვითონვე ჰსწვნიოს.

ჩამილ. ეჭ, შენცა ერთი! ვერ გადახტი, და მერე დაიუვირე  
 ჭარბიქა თქო.

ახან. კარგი, გუეოთათ ცუდ-უბრალო ღამარაკი. ჰსჯობს იმ  
 საქმეს შეგუდგეთ, რისთვისაც თავი მოგვიერთა აქა. ასლ-  
 ძა ფირმანმა არა მთელი ბოსნია; ერთგან მიიფხრიწ-  
 მოფხრიწეს. მეორედგან ფეხათა ჰქედაეს. ყველგანს სწუკ-

ქვეყნის და აწესდ კა არ მიიღეს; ასე ამბობენ. ესეა ჩვენ  
როგორ მოვიქცეთ?

რუსთან. ბატონო ბოლოცა ჰქვია. პოსაგინა, ძველი ვლასი,  
პოდრინი, მთელი კრანა და ჰერცოგოვინა ამდგანია და  
ვენიცს თავსედ დატყმის უპირებს. ვენისსაც თურმე  
თორიად კაცი მოუგროვებია. ჯანად და როგორც კატა  
მადლისაგან შეშინებული, მოკუნტული ჰქვინს ტრანკეში  
და იქიდაძი იმუქრება.

ჩამილ. აგრე ამბობენ, მაგრამ მართლა აგრეა თუ არა, ვინ  
იცის?

რუსთან. ჩვენ აქ, ბოსნიის შუაგულში ვართ. როდესაც ჩვენს  
განს რამი ასტუდება, ნუ თუ გულ-ხელ-დაკრეფილები  
ვიქნებით და ხმას არ ამოვიღებთ?

ლეონათ. რუსთან-ბეგ, ჰგუას სადა გაქვს? მაგას კიდევ კითხვა  
უნდა? შენ თვითონ არა სთქვი, ბოსნიის შუაგულში ვარ-  
თარ? რაც რომ ნაპირებში მოხდება, რასაკვირველია, შუა  
გულსაც თან ჩაიტანს. როცა ოთხ-კუთხეუ ქარი ადგება,  
ხუფ ერთად თავს მოაყრის, ერთ უშეკლებელ გრივალად  
გადიქცევა და უველსაფერს თან წაიღებს, რაც მოხდება:  
დიდს და ძველს ხეებსაც მიწიანად ამოჭლევენ და ბესეს-  
ვით აატრიალებს ჰაერში. მაგას რაღა თქმა უნდა, რომ  
ხელი უნდა გამოვიღოთ. ესეა ჩვენ იმის იფიქრს უნდა  
შეკუდგეთ: ვინ რამდენი კაცი გამოვიყვანოთ საომრად,  
სად მოუყვაროთ თავი და ვინ დაკავებოთ მოთავედ?

რუსთან. მე ჩემის საჭრით გამოძევას ოთხასი არჩეული ვაყ-  
ვარ.

მართი ბევთაგანი. მე ორასს ვაცხადებ გამოვიყვან, ერთსაც არ  
დავაკლებ.

ფეიზი. მე ამდენს, წამდენსაც თქვენ ორნი!  
 ღურათ. აი ათას-ორასი შედგა. მეორე ათასმდინაც მე შე-  
 ვასრულებ.

მეორე ბეგი. თქვენ ორი-ათასი კაცი მოგვეცით, ჩვენ ორ  
 ათასს ვიდრე სხვას მოვცემთ, დეე, ვისაცვის მასწავლაში  
 ოთხი-ათასი კაცი იყოს ჯარად.

ღურათ. ძალიან კარგი, თუ სწორად იქნება, ჩვენ ვიდრე მსგ-  
 ღნისკე მოგუყურით თავსა. ჯარი უნდა მოგორავდეს ვი-  
 სოეთში, სამს დღეში, ან არა და ამ ხუთს დღეში მანდა.  
 მანამდის ჩვენი გაგზავნილებიც დაბრუნდებიან და შეგ-  
 ვატყუებინებენ, რა ამბავიც არის დანარჩენ ბოქნიის მას-  
 რებში და სხვა ჯარები სად იყრიან თავს.

ჩამილი. შენ, ფაშავ, რატომ ეგრე გაჩუმებულხარ? შირიდაძე  
 რომ ჩიბუხის ბოლი არ გამოგდიოდა და ჩვენ ხანდის-  
 ხან არ შემოგვსვამდრე ხოლმე, გაქვანებულს ეგვანებოდა.

პლი-ფაშა. მე ბნელს ცას ვათვალაიერებ, მავ ღრუბელშია მიუ-  
 ლი ცა. ჯერ ტექვა-ქუხილი არ ატყვია და მესხს ჭსძინავს  
 შავს ღრუბელში. კარგია, დიერთმანი, რომ ჯერ არ გა-  
 უღვიძნიათ. ბრძთ-ყოფა ცუდია მაგრამ ერთით კი კარგი,  
 რომ ბრძა თავის უბედურებას ვერა ხედავს. ის თავის-  
 თვის ჭხის, ჩონგურს უგრავს და დიდინებს, მტერს კი  
 თათვი მიუშვერია და გულში უმიზნებს; გატყვევს თათვი  
 და საწყალი ბრძა დაეცა მიწასად თავისის ჩონგურითა.

ასან. აჭა, დაიწყე ხელახლად მჭევრ-მეტყველებს, რომ ბნელ-  
 ში ბუჩი დაიჭიროს. ეჭ, თავი დანებე, ფაშა, მაგ შენ  
 იგავებს, და შირ-და-შირს სთქვი, რასაც ჭიჭიჭობ.

პლი-ფაშა. მხადა ვარ გითხრათ უიგავეთ ჩემი აზრი, თუ  
 გამოგონებთ და შეიმცნეთ. თქვენ აზრებთ, ვეზირს

თავს დაესხათ. ერთი მითხარით, იქ წასვლას რა საჭი-  
რია, როდესაც თქვენ - თქვენსავე სახლში გაქვთ მავის-  
თანავე საქმე.

დურათ. რა? განა კეზირი ჩვენზედ მოდის?

ალი-თაშა. არა, ის ტრავნიკშია და მადიან კარგად არის და  
უტკივარს თავს რად იტყვინს. იქიდან რომ რაიას ერთი  
თვალი დაუხამხამოს, ყველგან თვინზედ დააყენებს.

შეიზ. დანუმიდი ერთი! დააყენებს კი არა. კეზირი ჯერ ისე  
არ გასულელებულა რომ ეგა ქნას.

ალი-თაშა. რასაც ვამბობ, იქნება დღესაც მოხდეს. იქნება  
დღეს ღამე კი კარგად გაკატაროთ, მაგრამ ხვალე კი ვე-  
ღარ ვინახულათ მისე.

ასან. შენ, ან ხუმრობ, ან ტყუილად გვაშინებ; ან არა და  
იცი რამე?

ალი-თაშა. მე უწინაც გუებნებოდით აქა, რომ რაიას მადიან  
გულ-ამღვრეულია მეთქი. ამიტომაც ყურსა და თვალს  
კადეკნებდი გათვრიცხვით, რომ იქნება აჯანყების ნიშანი  
რამე შემემჩნია. მე ბევრი ვერა შევიტყე - რა, მაგ-  
რამ რაც შევიტყე ისიც საკმაოა, რომ კაცს ძილი აღარ  
მოუვიდეს და თთხილად იყოს. აქამდის ვერ გამოიგია.  
ვინ აღელვებს რაიას და რისთვის აღელვებს. მგონია კი,  
სხვა არავინ იქნება, თუ არ კეზირი — იმ განზრახვით,  
რომ თუ ვინიცობაა ჩვენ არეულობა რამ შეგვამჩნია, მა-  
შინვე ზედ მოგვისიოს. ასე იმიტომა მგონია, რომ  
თვითონ რაიას თავისით აჯანყებას ვერ გაჭებდა.

ასან. იქნება სერბიამ ანუ ხორვატიამ შეაგულიანა აჯანყები-  
სათვის?

ალი-თაშა. მეც აგრე მეგონა, მაგრამ შევიტყე რომ რაიების



უფროსები დაიარებინან კეზირთან და კეზირის კაცი კიდევ რაიებთან. ძალიან ხშირად მიდიან ჭმადიან თურმე ერთმანერთთან. აჯანყების თარგის წვერი ტრავნიკშია, დამიჯვრეთ.

დურათ. მითამ? ჩვენ დავასწრობთ რაიებს. დღეს კი დავკიანდა, მაგრამ სვალ-დამ გავუსვავთ ხელი და ამოვუღებოთ ყველანი.

ჩამილ. ბეგო, შენ ჭკუივამ შეშლილხარ, რა დავმართვია? როცა შუა გზაში მშვიერი მკვლეი მიგვლის, შენ გინდა თვითონ პირ-და-პირ შეესხნო.

ალი-თაშა. მე მიგვიჩნის, რომ ეგრე წინ-დაუხედავად ლანჯან-გაბს. მაგას რომ ჭკითხო, სტამბოლამდის გზა-გახსნილია. როცა ამისთანა თბილ ოთანში მშვიდობიანად წინახარ და ჩიბუხს ეწევი, ძალიან ადვილია ჩჩეკა—წავიდეთ და ამოვუღებოთ რაიებიო. ამოვუღებოთ? ასე ჭკონია ადვილია საქმე იყო. რაია განა კისერს მოგიშვერს, აჭა, მომკალიო. თვითონ ისინი გვიხირობენ დახრცვასა. ჩვენ იმათ ერთ ღუგმადაც არ ვეყოფით, ისინი ერთი-სამად ჩვენ-ზედ ბევრნი არიან. და ესლა, როცა თვითონ კეზირს შეუგულიანებია და როცა კეზირს შეუძლიან, თუ გაჭირდა, მთელი ალბანიის ხალხიც მიაშველოს. რაია დიდს საქმეებს ჩაიდენს. იქნება გგონიათ, რომ ამდენს სხვადა-სხვა ტომის ხალხს ერთად მოვუყრით თავსა და ჯარად გამოვაყვანთ? თქვენც იცით, რომ ბოსნიის სულ მთლად მთებით არის სავსე და აი რამდენიმე ხანია, რაც ქრისტიანები კარგა ბლამად მთებში არიან გასულნი, იქ გამაგრებულან და ვიწროები შეუგრაკეთ. რამდენები კი ეველგან თავის მოსიხსლე მტრებთან ერთად ქსტხოვრე-

ბენ. ამ ყოფანშია ჩვენი საქმე. თქვენ საქმის უფლებართ და თავმოყვანებით ღაშთაგობთ. ჩვენ არწივები ვართ, ის ვი არ იცით, რომ ვეზირმა ღაშთაიანად მოგამწყდაათ, რეგულარე თავგები საფანგში.

შეინ. ვინ იცის? მარტოა ეგრეთ, თუ არა?

პლი-ფანა. თუ არ იცის, ახა ერთი ასიოდ კაცი წაიყვანე და თუ შენ ან ნაბოყინს გაივლი, ანუ ვეზირდას, ანუ დუბოხჩიტს, მე რა ქისა იუულს სახადლეოს მოგცემ.

შეინ. თუ მართლად ეგრეთ, ცუდად ყოფილას ჩვენი საქმე.

დურათ. საქმე ცუდად არის, მაგრამ არც ისე, რომ სრულად გაგვეღონ.

პლი-ფანა. ესეც არ დაივიწყოთ, რომ ნაზირს მარტოში უმთავრესი ბეგები მოწივებს ცდილობენ.

რუსთან. ეგ საიდან იცი?

პლი-ფანა. დამიჯერეთ მეთქი, აი წერილებიც ჭერცოგოვინი-დამ; არც მოატარის ფანას უნდა წინააღმდეგობა.

დურათ. (იქით) უჭე, ისეთს გულისედა მოკვდი, რომ ღამის აქავ თავი მოვიკლას!

პან. ასეა რა გუხერხოთ საქმეს?

პლი-ფანა. თუ რომელიმე მარტა ადგა, ჩვენ დავამშვიდოთ. ქრისტიანებს კარგად მოკვებოთ, და ვეზირს კაცი გაგუგნავნოთ და შეკუთვლოთ, რომ ჩვენ სულთნის ფირმანს ვემოწივებით. მერე შეიძლება ვცნადნეთ, რომ ფირმანი უკეთესედ შეგვიცვალონ. მარტო ამითი ავიცილებთ თავიდან უბედურებას.

შეინ. ვთქვით ესეა მაგარად დავდგეთ, მაგრამ მერე ვეზირმა რომ მანინ-და-მანინ რაი მოგვასიოს, მაშინ რაღა ვქნათ?

პლი-ფაშა. თუ სტამბოლში განუზრახავთ, რომ ბოხნიის ბე-  
გები ძაინც-და-ძაინც დასახარნი არიანო, მაშინ მე ჰინ-  
კელი ვიშიშვლებ სმაღსა და წაგიყვანთ, რომ ან დაკრ-  
ხეთ და ან დაკისრცხეთ. მაგრამ ჯერ არა მგონია, ეგრე  
იყოს და ამიტომაც ჯერ-ჯერობით ხელმწიფის ერთგუ-  
ლი ვარ.

დურათ. (წამოდგება ფეხზედ) რაიებს და კეზირს რაგორც  
გინდათ ისე ფეხ-ქვეშ გაეშაღენით, მე თქვენის გული-  
სათვის სახელს არ შევირცხვენ. უწინ ჩემს კოშკში ჩა-  
ვიკეტამ თავს და იქ დავიტყემ დამბახასა, ვიდრე წავალ და  
ჩემდა სამარცხვინოდ იმათ წინ მუხლს მოვიდრეკ.

რუსთან. (ადგება) მეც აგრე ვიზამ, მეც, დურათ-ბეგ, მოკჭკვე-  
ბი და თავს ვი არ შევირცხვენ.

პლი-ფაშა. ესლს თქვენ იცით. რაც გინდათ ისა ჰქენით. ეს  
ვი იტყდეთ: გინც ქრისტიანებს თავს დაეტყმა, ან ჯარს  
შეჭკრებს, მე თვითონ ზედ მივესევი და სახლს-კარს ზედ  
თავზედ დავაქცევ.

დურათ. ფთხილად, ფაშავ, ფთხილად! ძალიანაც ნუ გაიზვია-  
დებ თავსა. ეგ შენი მუქარა შენთანვე დარჩეს. არ გიცო,  
ვის უფრო შეჭყერის ამ უამად მუქარა, შენა, თუ ჩვე-  
ნა? რასაც შენ გვემუქრები, ფაშავ, ჩვენ დიდი ხანია შეგ-  
კედლო შენთვისვე აგვეხდინა. (დურათი გადის, მას შემდეგ  
რუსთანი, ფეიზი და სხვანი).

ჩამილ. სიტყვით ვი მამაცნი არიან, მაგრამ გულში ვი ში-  
შობენ.

პლი-ფაშა. ცოტა მოვიტყდეთ და პერე ვი კეზირს ელჩი გა-  
ვუგზავნათ. შენ ვი, ჩამილ-ბეგ, მანამდის რამდენიმე კა-  
ცი ოსმალოების სოფლებში დაატარე და შეუთვალე

რომ მშვიდობიანად იუენენ და წიას კარგად მოეპყრან. და თუ ჩემის ვისოკოს ციხიდან წაწახსნის სმა გაიგონონ, მაშინათვე შეიარაღებულნი ჩემთან მოგროვდენ. (გაღიან).

#### 4-სე სანახაპი.

(ლიუბიცას სახლის-წინ ქორწილია. რამდენიმე მაყრები ერთმან-ერთს ელაპარაკებიან.)

პირველი მაყარი. მაყრებიც და სტუმრებიც ძალიან მხიარულად არიან, მაგრამ პატარძალი, როგორღაც მწუხარებას იანკო, შეამჩნიე?

მეორე მაყარი. ვინა, მე? სადა მტალოდა მაგისათვის? მე სულ ღვინოს შევტქეროდი და ლამაზ ქალებსა, რომ იმათი სადღეგრძელო დამეღია და იმათთან თეწხული დამება.

პირველი მაყარი. შენ შენი ძველებური ეშმაკობა არ დაგვიწყობია.

მეორე მაყარი. ჭოდა რა არის მეტე? ნუ თუ პირ-ღია აქედ-იქით უნდა მეტქინსა, აცა შევიტყო ვინ რა გუნებაზედ არის მეტქი.

პირველი მაყარი. არა, მკვლარიც კი შეახნუვდა, რომ მეივე მეტად არეულია დღესა, და პატარძალსაც კი ხანდისხან თვალში ცრემლი მოსდიოდა.

მეორე მაყარი. ეჭ, შენც ერთი. შენ მაღე ამასაც იტყვი, ყველანი სტირიანო, მე კი, ღმერთმანი ამისთანა მხიარული ქორწილი ვერ არ მინახავს.

პირველი მაყარი. მე ქოჩწილზედ აჩას გამბობ. მაგრამ, ჩვენს მეფე და დედოფალს რომ ვუყურებ, ასე მგონია სამაჩხ-ზედ მოსულან და აჩა საქოჩწილდ მეთქი.

მეორე მაყარი. შენ რა მერე?

პირველი მაყარი. მე? აჩაფერი! მას თვალები რილასთვის მინდა თუ არ დაჰინახამ, ან ჭკუა რად მინდა, თუ არ იმისათვის, რომ მიხვდეს ჩასმეს? მე, ჩემო ძმაო, მხრებზედ გოგრა კი არ მახია, თავი მახია, თავი!

მეორე მაყარი. კარგია, რომ მითხარი, თორემ სწორედ რომ ვერ გავარჩევდი, მართლა თავი გახია, თუ გოგრა. ეჭვს შენ აქ სინჯვასში იყავ და მე კი წაკალ და ფერხულს დაკაბევიანებ.

პირველი მაყარი. უჭ, რა გესლიანი ენა აქვს! (ორივე გაფლენ.)

### 5-თე სანახაში.

(მეფე-დედოფლის საწოლი ოთახი.)

მეირიმა. (ქრისტინი დედა-კაცის კაბა აცვია, უცებ შემოვა და კარებს ჩაჭკვეტავს) ძლივს არ შემოვედი! ვიღაცამ თვალი მომკრა; მაგრამ ამ ტანისამოსით შინაური ვეგონე. ჯერ კარგად არის ჩემი საქმე! ხალში დავიმალე და ფანჯრიდამ დავინახე, რომ ქვეშასაგები მოამხადეს და მერე გავიდნენ გარედ. ოჭ, წმინდაო მაჭმადო, თუ მიშველი, ესლამიშველი! ან ესლამ, ან თავის დღეში აღარა! მალღა ქეიფობენ: საკრავის ხმა ისმის, თამაშობენ და მთელი სახლი ირყევს კაცის ფეხისაგან. დეე, იმხარე-



ღონ: ლხინის ჭირი მოჭყეება. იქ მალე ლხინის მაგიერ  
 გოდება შეუდგებათ. რა! გოდების ხმა ჩემს გულს გაა-  
 ხარებს და ეს მხიარულების ხმა კი — აწუხებს. საწოლი  
 ვარდებით მორთულია! ბედნიერს ცოლ-ქმარს მოულის  
 ეს საწოლი!... ლიუბიცა, შენ იმედი გქონდა, რომ ნე-  
 ტარებით დაიძინებდი ამაღამ, განა?... არა... არა... რა!  
 შენ იმის გვერდით უნდა გეძინოს და მე, მე კი იმა-  
 გე დროს უნდა საშინლად ვიტანჯებოდე, ჯავრით  
 ცხვირ-პირს ვიკაწრიდე, მარტოკა ჩემს ოთახში გაგიუე-  
 ბულივით კედელს განარცხებდე თავსა? არა, დამაცა, ეს  
 ესე არ იქნება! დიას, შენ დაიძინებ, მაგრამ სხვა ძილით,  
 იმ ძილით, რომელსაც არ მოელოდი, იმ ძილით, რომ-  
 ლის შემდეგაც არავის არ გაუღვიძნია... ხელიღამ რომ  
 რაგონზე გამისწვთეს ამ უამად? მე რა ვუყოთ? წა-  
 ვალ და სტუმრებსა და მათებს შორის მოგვლავ, მოგ-  
 ვლავ მამას-წინ, ყივანის წინ. სწორედ ამ განზრახვით  
 მოვედი აქა!... იერსული დადგა. პატარძლის სადღეგრძე-  
 ლსა ჭსმენ. დალიეთ, დალიეთ სადღეგრძელა; მაგ  
 სადღეგრძელას შემდეგ თქვენი ღვინო შავ საწამლავად  
 გარდიქტება. აი, ძირს ჩამოჭყავთ პატარძალი, ქალები  
 თან მოჭსდევენ... ამ ფარდას იქით მე ვერ დამინახვენ.  
 რა, გულს ჩემო, ავრე რად დამიწყე ტემა? აი, მოვიდა  
 შენი დრო. (ფარდას იქით დაიმალება, რომელიც იატაკამდე  
 ჩამოშვებულია და რომელიც ლიუბიცას ჩამოკიდებულ კაბებსა  
 ჰფარავს.)

## 6-სე სანახაში

ლიუბიცა; (თან მოჭყევა ოთხოდე ქალი. მეირიმა დამალულია).

ლიუბიცა. (ქალებს) კარგი, მადლობელი ვარ, წადით ახლას; ტანთ მე თვითონ გავინდი.

ქალები. დამე მშვიდობისა გქონდეს და დილა მხიარული.

ლიუბიცა. მადლობელი ვარ! (ქალები გაუღენ და კარებს დაჭკე-  
ტენ. ლიუბიცა საწოლთან მივა და ზედ დაწევა) ოჲ, ძლივს  
მარტო არ დაკრჩინ! იმოდენა ხალხში ძლივსღა ვძლებდი  
ყოფნასა. გული რად მიქადის რაღაც უბედურებას? ის  
რსმალეს ქალი სულ თვალ-წინ მიდგა. რაღაც თავსარნი  
დამტა. ღმერთმა დამითვაროს, რომ სულმეორედ აღარ ვნა-  
ხო. გული კი მეუბნება, კიდევ ნახამო. (მეირიმა წინ დაუ-  
დგება.)

მეირიმა. გული არ გატყუებს; აი აქა ვარ!

ლიუბიცა. (შეშინებული წამოხტება) ღმერთო ჩემო! რაგორ  
განხდი?... საიღამ შემოსვედი?...

მეირიმა. ასე მალე ხომ არ მომელოდდი, განა? შენ ესლას მი-  
წაში ყოფნას იჩქევდი, ოღონდ კი მე არ გენახე? განა?  
შენ ესლას გაქცევა გსურს, ყვირილი, შეკლა? არა?... თუ  
ერთი განძრეულხარ, თუ ერთი ხმა ამოგიღია, (ამოიღებს  
დანას) იცოდე, აი ეს გულს გაგიპობს!

ლიუბიცა. ოჲ, ღვთის-მშობელი, დამისხენ შენ ამ დედა-გა-  
ცისაგან!

მეირიმა. ვერავინ დაგისხნის შენა, ვერც ღვთის-მშობელი და  
ვერც თვითონ ღმერთი! შენ... ჩემ ხელში ხარ! მე შე-



მიძლიან ესლა დაგვლა, დაგახნო... ყველაფერი ჩემ ხელთ არის. ამ კარებს რას მოსჩერებისხარ, ვითომც შეკვლას მოკელი იქიდან? იცოდე, თუ ვინმე რაიმე შემთხვევით გამოჩნდა მაგ კარებში, შენ იმ წამსვე მკვლარი იქნები.

ლიუბილა. ხომ ვერც შენ გადაჩრები.

მეირიმა. შენა გგონია, რომ მე ჩემი სიტყვებსე რადმე მიღიწდეს? შენ არ იცი, რომ მე უფრო მეტის სიამოვნებით ჩაკვებოდი კუბოში, ვიდრე შენ ამ რბილს ქვეშაგებში ამაღამ. რა გი აქ მე იმ განზრახვით მოკვდი, რომ შენ მოგვლა, ნუ თუ გგონია, რომ ჩემს თავსედ ხელს არ ავიღებდი?

ლიუბილა. ჩემი მოკვლა გინდა?! რა, გვედრები... გვედრები, ნუ მომკლამ, ნუ... სიკვდილი!.. და მეცე ესლა?!... რა, დმერთა ჩემო! სიკვდილი თავის დღეში იფიქრდაც არ მომსვლია... არა, შენ მაგას არა იქ, არა! შენ ეგ განზრახვა არ გექნება. შენ არ იკადრებ, ასე ღამე, ქურდულად თავს დაეცე საწუალს ქალს, მარტოკას თავის ოთახში და უმიზეზოდ, შეუბრალებლად, ყელი გამოსჭრა. შენც ხომ ქალი ხარ, შენც უნდა კეთილი გული გქონდეს... რაც გინდა მიყავი, ოღონდ... ოღონდ სიტყვებსე ნუ წამართმევ... ო... ო... ო... ყური მიგდე!... აი, მუხლ-მოდრეკილი გესვენები, გვედრები, სიტყვებსე ნუ წამართმევ! (მუხლებს მოუდრეკს).

მეირიმა. აჭა! გნახე თუ არა, ჩემს ფეხთა-წინაშე! მე გგონობ ესლა შურის-გების დასაწყისს. არა, მე შებრალებს არ ვიცი. გული ჩემი რომ სანჯახაში გამოწუროს ვინმე, ერთს ცვარს სისხლსაც ვერა ნახავდა, მარტო ზაფრას და

ნადგულს გამოჰკიდოდა. ჯერ აჩაგინ არ მძულვებია ისე, როგორც შენა! მძულვარებამ გარემოიჭვა ჩემი გული... დამიბნია... ველარ გამოძითქვამს... გათავდა!... უნდა მოჭკვდე, უნდა!

ლიუბიკა. მე უნდა მოჭკვდე! აჰ!... განა მიწყეინებია რამე? მითხარი, მითხარი, დედა-კაცო, რა დამიშავებია შენთვის? ახა მითხარ, დღევანდლამდე მინასავსარ რადისმე?

მეირიმა. რა დამიშავე? მამ არ იცი? ძალიან გულ-მაგიწი ყოფილხარ? კარგი, მე მოგაგონებ. დიან მე მოკვდი ესლს ამისთვის, რომ დილასუ დაწყობილი ლაპარაკი ესლს დაკბოლავო. მე აგი გითხარი, რომ უივანს სხვა უყვარს მეტქი, და ის სხვა—იცი ვინ არის? იცი თუ არა?

ლიუბიკა. უიმე! ვიცი! კვ შენი საშინელი მრისხანება ამყლავნებს.

მეირიმა. დიად!... მე ვარ, მე, აღი-თაშას ქალი!

ლიუბიკა. აღი-თაშას ქალი ხარ, აღი-თაშასი? მამ სხნა აღარა მაქვს, ყველათერი შენ სელთ ყოფილა, შენ ყველათერი შეგიძლიან, აჩაგინ დაგჯის, აჩაგინ ხმას არ გაგცემს.

მეირიმა. მარტო მე, გესმის თუ არა, მარტო მე ვუყვარვარ, შენ კი იმისთვის სათამაშო ხარ და როგორც ბავშვი თამაშება თავის ტიკინს, და რაღა მოსწყინდება, გასტებს და გადაადებს, შენც ასე ხარ იმისთვის. გესმის თუ არა?... ნუ კი გგონია, რომ მე კსტყუოდე, ანუ შუროთ ვამბობდე ამას; არა... შენი რა უნდა შევიშურო? შენ ჩემთან მატლი ხარ, მატლსუდ უფრო ნაკლები, ჭინჭკულასუდ უფრო უმცირესი. ერთის სიტყვით, შენ ჩემწინ არათერი არა ხარ-რა! და მართლადაც, შენ უნდა უფ-

რომ მეზიზღებოდა, კიდრე მიუღდე. მე მოკსუღვარ, რომ შენს კადნიერებას, შენს ჯიუტობას, შენს უღმბელობას სასჯელი დაგლო და გადავასდევინო. ნუ თუ გეგონა, რომ ოსმალის ქალს საყვარელს წაართმევდი და ცოცხალიც დაჩხობდი?

ლოუბიტა. ღმერთო ჩემო! მე ის არ წამიერთმევია. მამა-ჩემმა მისცა ჩემი თავი. აბა რა უნდა მექნას!

მეირიმა. მამა-შენმა მიგცა? მას დილაზედ რას გეუბნებოდი? განა დილითვე ვერ გაიგე, რომ დიდი სანია სხვა ქალი უყვარს მეთქი? დილითვე არ გითხარი, რომ შენის ჯვარის-წერით იმ ქალს მოჭკლამ მეთქი?... განა არ გიჩხვდი, თავი დაანებე მეთქი? და განა მუქარაც არ გითხარ, თუ რომ ჩხევას არ გამიგონებდი? მას, რისთვის იწერდი ჯვარსა? მითხარი, რაღად წამართვი მე ის კაცი? რად დამიკარგე სამუდამოდ ყოველივე სინარული, ყოველივე ბედნიერება! ჭა? (ლოუბიტა საშინლად შეშინებული კარებისაკენ მიზის; მეირიმა მიეწევა და დანას დაჭსცემს) გაჩერდი, შე წყეულო! (კიდევ დაჭსცემს დანას; ლოუბიტა დაფცემა).

ლოუბიტა. ვაიჭ, შიგ გულში მომხვდა! გვედები! ოჭ, მამაკ, მამაკ!...

მეირიმა. აღარ ადგება ცოცხალი. ეხლა კი წავიდე აქედამ... (მიზის და დანას ხელიდამ გააგდებს).

## 7-დე სანახაში.

ლიუბიცა და შივან, შემდეგ მაყრები და ნოეკო.

შივან. (შემოდის და ლიუბიცას დასცქერის) ეს რა ამბავია? (სანთელს აიღებს) რა? სისხლი!... მოკლულია! (სანთელს სტოლზე დასდგამს და მივა ლიუბიცასთან) ღმერთსა ვეიფიცავ, მოკლულია! (ლიუბიცა ხელებს გამოუშვებს. უივანი მოხვევა) ოჲ, ლიუბიცა, ლიუბიცა; ვინ დაგჭრა აგრე?

ლიუბიცა. ოჲ... უივან... შენი... ბრალია... რაც დამქართა... მე... მი... შა... ტი... კეზია! (კვდება).

შივან. შენი ბრალია! მოკვდა!... (ძირს დაუშვებს) ღმერთო, ეს რა მოხდა! (დანას ფენს დაადგამს, რომელიც მეირიმამ გადაადგო). რაღაცა დანა! (აიღებს დანას) სისხლში გასკრილია... ამ დანით აჩის მოკლული! მაგრამ ვისის სულით?... თვითონ თავის სულით, თუ სხვა ვინმე იყო?... ის ქაჯი ხომ არ იყო? რაღა კენა ესღა?... დაუძახებ ვისმე. (კარებს გააღებს) მაგრამ როგორ დაუძახებ? ვის დაუძახებ? რა ვუთხრა?

მართი მაყარი. (ეზოდამ) აბა, კარები რისთვის გააღე?

მეორე მაყარი. კერა სედაგ! სისხლიანი დანა უჭერია სელში.

მესამე. (შემოდის კარებში; უივანი შეშინებული მოშორდება) აჲ უუუ-რეთ, შატარძალიც სულ მთლად სისხლში ქსტურჩავს.

მეოთხე. (შემოდის) ღმერთსა ვეიფიცავ, მკვდარია!

ბევრნი. (სიჩქარით შემოდინ) მკვდარია!.. საშინელებაა, საშინელება!

პირველი. (უვირის, რომ გარედ დანარჩენებმა გაიგონ) ვაი, მაყრე!

ბო, ვერაფერი ქორწილია ჩვენი ქორწილი! მეიქემ მოჭკლას დედოფალი!

ტივან. (ამ სიწყევლებზედ გაოცდება) რასა ჭყვირის? მე მოვჭკალი? რა, შე წყუელა ცილის-მწამებელა! (ყველა მაყრები შემოდინან. ნოვკო სიჩქარით ხალხ-შუა წინ გამოდის).

ნოვკო. მოჭკლას, მოჭკლას!.. რას ამბობთ! გამიშვით მე, გამიშვით!

მეორე მაყარი. აი, ბატონო!

ნოვკო. დიას! მკვდარას! (ყოვანს) შენ მოგიკლავს შენი საკუთარი ცოლი?! (მაყრებს) რა გინდათ ის უყავით ამას, ეს ჩემი შვილი აღარ არის!

მესამე მაყარი. ხელ-იყესი შეეუგრათ და სამართალში მივსტეთ.

ტივან. მე, შემკრათ?! ვინ უნდა შემკრას, ვინ?.. აქით! აქით! ვინც ახლა მოვა, მე ხმის ამოდებასაც არ დავატლი. მამა, ყური დამიგდე. რა ცა აქ შემოკვდი, მე ჩემი ცოლი ამ ყოფითა ვნახე, ძლივსლა ჭყვთქამდა. ვერ მითხრა, თვითონ მოიკლას თავი, თუ სხვამ ვინმემ მოჭკლას. რასაც გეუბნები, ჭეშმარიტია; გეფიცები, მამა, გეფიცები ყველა წმინდის სახელს

პირველი მაყარი. სტყუი, სტყუი! განა აქ დანით ხელში არ დამიხვდი?.. აი, განა ესლაც არ გიჭირავს ხელში ეგ დანა? განა შენ მთლად სისხლში არა ხარ გასვრილი? თქმა არ უნდა, მკვლეელი შენა ხარ.

მეორე მაყარი. ეგ არის მკვლეელი, ეგა!

ტივან. (სასოწარკვეთილებით) რა გი ყველას აგრე გინდათ, მე ვარ!.. მე! და მე საკუთარის ჩემის თავით ვზღამ მაგის თავსა. ამასედე უკეთესი მიზეზი აღარ უნდა, რომ ყველაფერს ბოლო მოეღოს. მე თვითონ წავალ და სამარ-

თაღში მივცემ ჩემს თავსა. მხოლოდ აჩაგინ ან გამომ-  
უკეთ, აჩაგინ ან მომეკაროთ. (დანას მოუღერებს) ჩამოდე-  
ქით! გზა, გზა მომეცით! (მიდის სიჩქარით, უგელანი გზას  
აძლევენ.)

მართი მაყართავანი. გაიქცევა!

ნოვკო. (შვილს წინ დაუდგება) ვერ გაბედავს, მამას გაექცეს.  
საბურთაბილეში წავიყვან და ხვალ სასამარტლოს წინ ვი-  
თხარე, ამის სიკვდილით დასჯას.

შივან. (ამ სიტყვებს რომ გაიგონებს, გაჩურდება ზარ-დაცემულსავით)  
შენ ითხარე, შენ, მამა-ჩემო! რა, ნეტავი ამადამეკე სუფი  
დაძეღია, და კვ ან გამეგონა, რომ ხვალ დედამიწა  
ან შეწყუელიყო.

## მეოთხე მოქმედება.

### 1-ლი სანახაზი.

ოთახი. ალი-თაშა და მსმან.

მსმან. რაღა ჩემის მხურებით ტრავნიკზე გამოვიარე, გეზინს მე თვითონ ვიასული და მთელი ჩვენის მარტისაგან მარტივის-ცემა მოვასსენე ნიშნად ხელმწიფის ერთგულებისა. დიდის სინარულით მიმიღო და კარგადაც დამსახურქრა. მოსტარის ელჩებიც იქ დამსკდნენ. ყველაფერთა სჩანს, რომ არც სამაღების აჯანყებამ გამოვა რამე და არც ქრისტიანების აშლილობიდან. ყველაფერი მშვიდობიანად ჩაიკლის, თანახმად შენის სურვილისა, ფაშაგ! ალი-თაშა. ძალიან გამსახრე მაგ ამბით. შენი მოსვლა ხომ კარგია, მაგრამ ამბავი უკეთესია. მადლობა ღმერთსა, რომ ყველაფერი ისე მომიხერხდა, როგორც მინდოდა. ესლა შიში აღარაფრისაა. უბედურება თავიდან აკაცილე ჩვენებს. ესლა გულ-დასმით შეგვიძლიან ქორწილის ღმინი გადავიხადოთ. (გადიან).

### 2-რე სანახაზი.

მეირიმა. (მარტო) იმისაგან თავის დღეში ამას არ მოკვლოდი.. საკვირველია! ხომ იცის, რომ მე მოკვალი — აბა



ამასჯელ ეჭვი რად ექნებოდა — და მანც ჩემს სახელს აჩუმულანებს სამართაღსა. ჩემს დანაშაულს თვითონ იბრალებს, თუმიცა კარგად იცის, რომ ამისათვის სიკვდილით დასჯიან!... თავს იღუპავს მარტო იმისათვის, რომ მე არ გამამხილოს. ჭი ი ყივან, შენ მაგით მასწავლი, აი სიუკარული და თავის გაწირვა როგორი უნდაო. (ეუთს გააღებს და ამოიღებს პატარა ჭიქას) მეც ამ ჯამით დაუღვე მარტობის სადღეგრძელოა. მე შემოიტყვი, რომ დედაჩემსაც ამავე ჯამით დაღია და ამ სწამლავით მოიკლათ თავიო. მადლობელი ვარ, დედაჩემო, რომ სწამლავი შენს შეიფსაც საკმაოდ დაუტოვე; ჩვენ ერთ - ნაირის სიკვდილით მოკვდებით. ჯერ კი ის უნდა აღვასრულო, რაც მომიფიქრებია. მზე ჩადის. დროა, შევუდგე ჩემს საქმეს.

### 3-ვე სანახაპი.

(საპრობილე. ერთ მხარეს კარები, მეორე მხარეს ფანჯარა რიონის სერსეროთიდ. სერსეროთის იქით უივანი ზის და ცას შეჭურებს.)

შივან. აი, მზეც ჩავიდა!.. მთიდა მწუხარედ ვადმომსება თავის უჯანსკნელის სხივითა, თითქო ჭკრმნობსო, რომ საუკუნოდ ვმოხდებით ერთმანერთს. დიას, ხვალ შენ მე ველარა მნასავ! შენ მხოლოდ ჩემს საიფლავს განათებ, შენ, ჭი ი ნათელი ბრწყინვალეო, რომლის გამოსაღმებაც საწყალს კაცს ასე საშინლად ემძიმება მხოლოდ ამ ბრწყინვალე შუქს ვენახები მე. (სცენაზედ უნდა სჩანდეს მზის

შეეი, რომელიც თან-დ-თან უნდა ბნელდებოდეს) ადამიანის გუ-  
 ლი კი ჩემთვის გაქვავდა. (ფანჯრიდან ჩამოვა და დადის)  
 ყოველი უბედურება თავს გადამსდა! ისიც ვნახე, რომ ქა-  
 ლი, რომელიც მიყვარდა, იდუმალად სამარეს მითხრი-  
 და... ვნახე ცოლი წაღაც იდუმალის ხელით მოკლუ-  
 ლი; გავიგონე, როგორც მახალგაზრდა მე თავის სიკვ-  
 დილს... საწყალი მომაკვდავი; გავიგონე, როგორც მამა-  
 ჩემი სსსამართლში ჩემს სიკვდილსა თხროულობდა!.. რას  
 შემართლება ბედი? განა მე ყოველ ამის ღირსი ვარ!  
 ყველამ თავი დამანება, მიმატოვა. ერთი აღარჩაინა მყავს  
 ჩემს გვარყულობისა, რომ ნუგეში მტყეს, გული დამიტ-  
 კობს ერთის ტკბილის სიტყვით მანც. ყველამ ზუტყვი  
 შემომაქცია, პირი მომარია და აჭა მე კვლევი, როგორც  
 ძაღლი უშატრონოდ, ყველასაგან თავ-მინებებულა. მე არა  
 დამიშავებია-რც, ღმერთო ხომ შენ იცი!.. დეკ, ეგრე  
 იყოს!... აი მეც უარ - მიყვია ყველანი, ყველასა  
 ვწყევლი. ჭრი ბნელა დამეკ! ჩქარა გაიარე, ჩქარა, აკებ  
 ჩემის სიკვდილის წამი ძალე მოვიდეს. (შეჩერდება, ყურს  
 უგდებს; ამ დროს მოლა აქშამალაიანს იძინის მინარუთხედ) ვი-  
 ნა ყვირის ასე... აჭ... ეს დეკვიშია, მინარეთიდან იძი-  
 ხის, რსმალაებს ატყობინებს ღვრვის დროაო. რს!  
 სხვანი ღმერთს ეკედრებინ, და მე კი, რომელიც ძალე  
 ღვთის წინაშე უნდა წარვდგე, სიძულვილსა და წყევლას  
 ვდადაღებ აჭ!... შემინდე, ღმერთო ძლიერო, ნუ ისმენ  
 ჩემს სიტყვასა, მე ღამის ჭკუიდან შევიძალა... ტვინი  
 თითქოს მიდრულს... მე თვითონაც აღარ ვიცი, რასა  
 ვთქვარც, რასა ვგრძნობ, რასა ვლანჯარავ... შემინდე  
 და მომიტყევა! (ყურს უგდებს) რჭ, ამ სიჩუმეში რა მწუ-

ხარკედ მოისმის ძახილი მოლისა... ამ ხმას ჩემიანები სვალაც გაიგონებენ, ზეგაც, მაზეგაც, მრავალ დღეს და წელიწადს, და ვაი რომ ჩემთვის უგანსსგნელია!... მე კიდევ დიდ ხანს შექმელო ცხოვრება! მეც სომ შექმელო სიმდიდრესა და ბედნიერებაში გამეტარებინა ჩემი დღენი... ესლა ყოველივე გამოუქმდა, დამენთქა... აწა, — აწა, აწა ვნანობ... ეს ყველაფერი რჯულის გულისათვის ჩავიდინე... როგორ გავბედავ ამისათვის სინანულში შევიდე. როცა კაცი საზერობილეშია დამწყვდეული და შიშის ზარით სიკვდილს მოკლის, მაშინ ათასნაირი ფიქრები მოსდის, საშინელი განსაცდელი აწვალებს და თუნდაც სიტყვასლე მოწყენილიც ქქონდეს, მაინც უძძიმს სიკვდილი, მაინც იბრძვის. ოჰ, ეს საშინელება! მაგ საშინელებასა ქტომნობს მარტო სასაკვდილოდ დანიშნული ტუხალი, რომელიც ზარ-დაცემითა ქსთელის მიმავალს საათებს, თითქო ყოველი წარმავალი საათი გულიდამ ხორცსა ქტლეჯდეს და თან მიქქონდეს. და როცა წინა აქვს მარტო რამოდენიმე წუთი, როცა ქტომნობს, რომ გულში მოსასუნთქველი ქქერი აღარა აქვს, როცა თვალ-წინ ქქედავს სიკვდილსა, რომელსაც სამაგლად დაუდრენია გბილება, ოჰ, მაშინ კი ჭკუა ევარგება, ჭკუიდან იშლება, მაშინ მზად არის ზედ აკეიდოს თვით დაუძინებელ მტერსაც, ოდონდ კი მან გადაარჩინოს და პირ-ღია სათვლავის ზემოდ გადაატაროს. ნუ თუ მართლა უნდა მოკვდე? ნეტა, რას ვამბობ? განა ამაში ეჭვის რამე? უაღსა კქსთსორ-კო რომ რიყრყუე მომაკვდინონ... დიას, რიყრყუ-ზედ... მე მაშინ წამიყვანენ... ხელებს შემეკვრენ.. მოედანზე გამოყვანენ... დამხრქებენ.. მეწმე ხმალიც გა-

იუდეებს და თავს გამაგდებინებენ. ეს რომ მაგონდება, თრთოლას მძიმდის. ახ, ნეტავი ერთი ცხენი მოეცათ ჩემთვის და ერთი ხმალი, მერე თუნდა ასი ოსმალთა მოესიათ, დეე ომში ლუკმა-ლუკმად ავეკუწნეთ, — მე ამისი არ შექმენდებოდა: ომში მაინც მოვეკვდებოდი, როგორც ვაჟ-გატი. ასეთი სიკვდილი კი! (თვალვებზედ ხელებს იფარებს) სამარცხვინოა, სამარცხვინო. ოჰ, აჰ სული მეხუთება. რა კენა? როგორ დავისხნა თავი? გავიქცე? ამ თვანჯარიდამ გადავსტე! (მივარდება ფანჯარას და რა ხედავს რომ ფანჯარას ვერ გასტენს, კარებს ეცემა) ეს კარი გამოვამტკრიო? (ებრძვის კარს და რომ ვერასა ხდება შუა სცენაზედ გამოდის იმედ გადაწყვეტილი) სულ ამოა. უნდა მოეკვდე. (დაიჩოქებს) დამისხენი მე, უფალო, შეიბრალე ჩემი ცოდვილი სული (წამოდგება) ვიღაც მოდის; დადგა.. გასაღები გაუკეთა კლიტეს... ყრყოლას მიუღის მთელს ტანში. წყუელი ჯალათი მოდის ჩემ მოსაკვდინებლად....

#### 4-სე სანახაში.

ნოეკო, შივან და ბოლოს საპყრობილის მცველი.

შივან. (მიეგება) შენა ხარ, შენ, მამა-ჩემო?

ნოეკო. (გაჩერებს) გაჩერდი!

შივან. დედა? ძმები? სადღა აჩიან?... მშობლიურმა სიყვარულმა მარტო შენ მოგიყვანა აქა?

ნოეკო. მშობლიურმა სიყვარულმა?... ნუ მომიკარები... ხელითაც არ შექმხე!... შენი ხელი და სეტანას ხელი ორივე

ერთი ჩემთვის, იმიტომ რომ უშედეგო სჯემ ჩავიდინა შენ. როგორღა ჰბუდამ, რომ მე კიდევ მამობით მახსენებ? როგორღა ჰბუდამ, რომ დედას, ძმებს იხსენიებ? შენ აღარც მამა გყავს, აღარც ძმები, აღარც ნათესავობა და არცააზინ სსკა... დედა-შენი... (ჭირის) წყუღო... შეიტყო თუ არა, რომ სასიკვდილოდ დაუსჯისანთ... მწუხარებით გადაიწყვალა.

შივან. დედა? დედა-ჩემი? მართლად ამბობ, თუ მხლოდ მტანჯამ მე?... დედა-ჩემი?... მოკვდა?... ნუ თუ შესაძლებელია?...

ნოვკო. (ხამუშ-ხამუშად ამბობს ყოველს სიტყვას) დედა-შენი, გუუბნები, აი ესღა ხან მოკვდა... გული გაუსკდა მწუხარებისაგან... გუუტრება, თუ არა?... მწუხარებისაგან გაუსკდა გული შეთქი... და ესღა ღვთის წინაშე დგას და საშინელს სასჯელს ითხოვს შენთვისა, ოჰ, თითოდუ! ჯერ მინამ უივლის ჩვენის სიღვა გელარსება, შენს მკვდარს დედას გვერდთ უნდა გაუარო.

შივან. (პირის-სახეს ხელებით დაიდარავს) დედა-ჩემი! ჩემის მიზეზით მოკვდა!... ვაიმე, ვაიმე! დედის მკვლელები შევიქნენ! ქვეყნისაგან ჩასაქოლავა შევიქნენ მე უბედური!..

ნოვკო. ჩასაქოლავიო! ათასჯერ მაგარედ უარესი ხარ!.. სიტყვაც არ არის, რომ გამოგსოტყვას რა ხარ შენ! აბა ერთი დათქმული მახედ, რაც მალე უნდა მოხდეს და თუ შეგიძლიან, ვაჯოვსეთს ნუ შეუძინებთ. ვეღვარედ უწინარეს, ჯერ ეს წარმოიდგინე, რომ შენ, წმინდა ვკვარის მგომბელო, გული მიგიყიდნია უწყულო ქალისათვის. მე რომ არ დამეძალა, შენ მოიტაცებდი იმ შეჩვენებულს და გაიტყუოდი. ის კი აღარ მოგდიოდა ფიქ-

რად, რომ შენს თავისიანებს უტოვებდი სამალაქებს, რომელნიც შენს ჯვარს ჩვენსედ ამოიყრიდენ—შენთვის, შე ავასავო, აწაიკერი იყო შენის სამალაქებისათვის გაგაწინა შენი მოხუცი დედ-მამა.

შივან. ოჰ, ეგ ტყუილია, ტყუილი. მე ასჯერ შემქმლო ის მომეტაცნა, მაგრამ რა საჭირო იყო. უმისოდან ჩემი იქნებოდა, თუ მდომებოდა. შენ არ იცი ჯერ მე რა განსაცდელი გამომატარებს; რით უნდაღათ, შევეცდინეთ. მე ეს ჯერ შენთვის არ მიაბნინა

ნოცკო. სიტყვას ნუ მართმევ! უსარცხვილო ტყუილებით ნუ მართლულობ თავსა. ჯერ მე მათქმევინე! რომ ყოველი განსაცდელი ამეცილებინა ჩემთვისაც და შენთვისაც, მე შეგნეთ შენ ისეთი ქალი, რომელსაც ვისოკში აწავინა ჭსჯობდა. ისეთი რამ იყო, რომ მხეციც კი შეიყვარებდა, მხეციც, და შენ კი რა საქმე დაჭმარეთ?... მითხარი, რა საქმე დაჭმარეთ?

შივან. ღვთის გულისათვის ყური დამიგდე, ერთი მეც მათქმევინე სიტყვას.

ნოცკო. გაჩუმიდი. შენა გგონია, რომ მართლ ის მოჭკალი? არა, აი დედა-შენიც შენგან არის მკვდარი. ორი ჰატია-სანი ოჯახი ერთმანერთთან დამეგობრებული, ერთმანერთს გადაგვიდე ღ ჩვენ შორის სისხლი ჩამოავდე. ესდა მეტი აღარა დავგრჩენია-რა, რომ ერთმანერთი ვხარჯოთ, ერთმანერთი გავათასნირთ. იქნება, მართლ მეღა დაგრჩე ცოცხალი, რომ მეღა დავიტირო ყველა ჩემიანი, შენის მიხედვით დახარცილი და მოკლეული.

შივან. ოჰ, ღვთის გულისათვის, ნუღარ იტყვი! კმარა!

ნოცკო. კმარა! ჩუმად მეთქი!! მე შენ გიბძანე. მათქმევინე,

რისთვისაც მოგსულვარ. აქ იმისთვის კი არ მოვედი რომ შენთან ერთად ვიწუხო და ვიტრო და ან გასაყვადურო. იმისთვის მოვედი, რომ გადმოგცე შენ წყევას და კრულვას, შენის ძმების, შენის ნათესავებისა და ზედ დაკრთას სკუთარი ჩემი მამობრივი წყევლაცა რომ ასჯერ დამიწყველიხარ და ესლაც გიდეგ ხელახლადა გწმეკლი, ძეგდარსაც წყევლას არ მოგაკვლებ, მანამ პირში სული მიდგას

შივან. (ხელებს მამას მიუშვერს, გულ-ხელ-დაიკრეფს, მუნლებზედ დაუცემა და მიწამდის ჯავს ჩაჰლუნავს, ძლივს ამოხვს) ვაი, ვაი, ვაიმე!

ნოეკო. როგორც მომიფიქრე მე ამ სიბერეში, ისე მოგიფიქრეს შენ ღმერთმა საფლავში საუკუნოდ!

შივან. დანა თუ გაქვს, აქვე დამკაღი, დამკაღ და ნულარას იტყვი.

ნოეკო. აი, რისთვის მოვედი მე აქა, და ესლა უკანვე მივდივარ. (ნოეკო კარებთან მიდის. შივანი სიჩქარით ადგება, კალთას დაუჭერს და გაჩერებს მამას).

შივან. ვერ წახვალ, ვერა. ჯერ უნდა გამიგონო მე, ჯერ ვმკლავებრი უნდა შეიტყო.

ნოეკო. გამიშვი მეტყი.

შივან. ოჰ, ვერა, ვერ გაგიშვებ... ყური დამივდე, ყური!

ნოეკო. თავის დღეშიაც არა... მე შენ გეუბნები, მე შენ გიბმანებ, გამიშვი მეტყი.

შივან. (აღშფოთებული და შეწუხებული კალთას გაუშვებს) მამ, ნურც შენ გაგიგონოს ღმერთმა, როცა სულს აბარებდე. (ნოეკო გაჩერდება.)

ნოეკო. უბედურო! მაგასაც მიბედამ!...

შივან. ოჲ, მე რომ მავდენი ცოდვა ჩამედინა, წასაც შენ ამბობ, თუნდ მაგასვე მეტიც. თვათ მალაღი ღმერთიც კი გაიგონებდა ჩემს თხოვნას და შემიწუნებდა. შენ ამასვე უფრო შეუწუნებელი ხარ.

ნოცკო. აბა რა გინდა? სთქვი. მაგრამ მალე და მოკლედ კი სთქვი, იმიტომ რომ დიდ ხანს გერ დაგჩები აქა.

შივან. ნუ აჩქარდები... ნუ!.. ვაკვდრები... მეც მაქვს ჭკუა, გონება, გულიც და ეს ყველაფერი საშინლად ამიშოგოთდა და ამერია. ნება მიბოძე, გონება მოვიკრიფო. მაგრამ შენ არ დამიჯერებ... მე ვიცი... შენ არ დამიჯერებ.

ნოცკო. შენი სიცრუე დღესვე უფრო ცხადია, და გინდა, რომ დაგიჯერო? შენ ამბობ, რომ შენ არ მოგიკლავს? მამ ვინ მოგვლავ, ვინ? ვინ მოგვლავ ის წმინდა სული, რომელსაც უბრალო წინსკვლავც კი არ დაემდურებოდა? შენ არ მოგიკლავს? მე მეუბნები მაგას, მე? მე, რომელმაც ჩემას თვალთ ვინახე, რომ სულელები, გულ-მკერდი, ტანსამოსი სულ სისხლში გჭონდა მოსვრილი?

შივან. ვაი, რომ იმისი სისხლი მეცხო, მკვლელები კი მე არა ვარ.

ნოცკო. მამ ვინ არის, ვინ? რატომ არ დაამტკიცე? რატომ თავი არ გაიმართლე სასამართლოში? ჭსტუი, მიჭქანავ!

შივან. მამავ! ადამიანი სიკვდილის წინ ვერ იტყუებს. მე სიცაა უნდა წარვუდგე ღმერთის განსაკითხვლად და გოიციები უოვლად შემძლებელს ღმერთსა, რომ მე არა მაქვს დანაშაული ჩემის ცოდვის სიკვდილში, ისე უბრალო ვარ. როგორცდაც შენ, მამავ! როცა, საღამოზედ, ამ უბედურის ქორწილის შემდეგ იმის ოთახში შევედი, ღიუბრას სისხლში გასვრილი



ეგდო, სულთ-მობრძევი; მე რომ დამინახა, რაღაც წაი-  
ბუტბუტა და სული მისცა საწყაღმა. ვერ შევიტყე, თვი-  
თონ მოკვდა თავი, თუ სხვამ მოჭკვლა... გესმის, თუ  
სხვამა მეტი? მე შევიჭრება, რომ ის ქალის სულით  
არის მოკლული; მე მგონია, რომ ქალის შურისძიებამ  
და იჭვნულობამ მოუღო იმას ბოლო.

ნოცკო. მეც აგრე შეგონა თათქმის; მაგრამ ის სისხლი რა-  
ღა იყო შენს ტანზედ? დანა რაღად გეჭირა სულში?

შვიან. რაღა დავინახე, რომ ის საწყაღი ისე საში'ლაღ იტან-  
ჯებოდა, სულში ავიყვანე, გულს მივიყვარი, მაგრამ სულ-  
ში მკვდა რაღა შემინა. ძინს დავუშვი მამინ და წარ-და-  
ცემული განზედ გავდეგ თუ არა, მასხომს დანას და-  
გადგი იფეხი; დაკწადი და დანა სულში ავიდე. კარები  
როგორ გაეღო, მე აღარ მახსოვს, მამინ ისე გონება და-  
კარგული ვიყავი. აი, ასე იყო, მამა-ჩემო. თუ ვტყუოდე,  
ესლა მე შენთან, დეე, ეს ჩემი უჩანსკელი სიტყვა  
იყო.

ნოცკო. შენს სასკეს და შენს სიტყვას ეჭვში შევეყვარ და  
იქნება შენ არ იყო მკვლედი, მაგრამ რატომ აგრე არ  
გაიმართლე თავი ყადაღანა. თავი არ იმართლე და სიკ-  
ვდილით დასვა კი კისრად დაიდე.

შვიან. მე მხოლოდ უარ-ვეოფდი ჩემს დანაშაულებას, იმიტომ  
რომ ჩინჭი არ მომეცნო არც ჩემის სახელისათვის, არც  
ჩემის გვარეულობისათვის. თავის გადაჩენა მე სრულე-  
ბით იფიქრადან არ მომსულია, იმიტომ რომ მე სიკვდი-  
ლი მწყურდა, მხოლოდ სიკვდილი, როგორც ერთი და  
იგივე უჩანსკელი დასასრული ჩემის აუარებელის ტან-  
ჯვისა. მე დამინაშეს სიკვდილი და არც ვნანობ; მე

მხრლად ის არ მინდა, რომ შენ გვეცხოს ვითომც მე  
კიდე ჩემის საწყაღის ცოლის ძველი.

ნოვკო. არ ვატი, რადც სიმართლის ხმა ისმის შენს სიტყვებში და ყოველივე შენი სიტყვა გულმდინა მწვდება. გესმის... არ მომტყუო კი, გაუფთხილდი. შენვე მითხარი, რომ ძველ წარსდებო დვთას წინაშე. მოტყუებოთ ესლს გვლარსეგრეს მოიგებ და სპიქიას კი ლოდდ დგაწვებს გულზე... ძაშ, გაუფთხილდი!

შივან. რა, რა უნდო გაცი ხარ. დამიჯერე, დამიჯერე დვთის გულისხთვას, დამიჯერე. დმერთის მოწამე, რომ ძართლს გეუბნება. რა სიმართლითაც მე ესლს შენ წინა გდგვარ, დვთის წინაშეც ძაგ სიმართლით წარვსდებე, თუ ვტყუოდე.

ნოვკო. (თავის-თვად) არა; არა სტყუის... ესლს კი არა სტყუის, არა!...

შივან. მე ამასეც გვლარსეგრეს გპტყვი... ძამაგ, ნუ თუ სკამარისი არ არის!

ნოვკო. (ხელებით პირის-სახეს დაიფარავს) ძართლად, ძართლად! ცოდვას ესლს კიდევ უკვიათობა გავსწიო. მჯერა, შვილო, ესლს კი მჯერა, რომ ძართლად ხარ. საწყალო ზაღლო, საცოდვო!

შივან. (მივარდება განარებული, გადაეხვევა და შეჭყვირებს) ძლივს, ძამაგ, ძლივს!

ნოვკო. გაიჭ ხემ თავს! ყოველს ძამასეც უბედური ძამა მე ვარ ესლს. (რამდენსამე ხანს ერთად გადახვეულობი დვანს; უცებ ნოვკო მოშორდება შვილსა და მალაღის ხმით) ძაშ, უდანაშაულოდ უნდა მომიკვდე?... სრულებით უდანაშაულოდ?... აგრე უნდა წარსდე, შენ, მშვენიერი, ახალ-გაზდა, ლო-

ნიერი?... და სხნაც არ არის? რა? არ არის? მაშ მე  
 რაღადა ვარ ქვეყანაზე? მე დავისხნი, მე! შენის განთა-  
 ვისუფლებისათვის შემომღიან ასს კაცს სელი გამოკადე-  
 ბინო... ათასს კაცს... შენ არ იცი ვერ რა დიდი საიდუმ-  
 ლო ძალა არის ესლა ჩემის გამგეობის ქვეშ. (მიდის კა-  
 რებთან) შელოდდე. რიყრეყრედ აქავე ვარ.

შივან. სად მიდისარ?... რას ამბობ?... რა ძალა?... რის სე-  
 ლი?... სად მიჭყევსარ მშობლიურს მწუხარებას?

ნოცკო. გამიშვი! მე გიცი რასაც ვამბობ... ძალე ნახამ რის  
 ქადილიცა მაქვს.

შივან. თავი დანებე, მამავ. რისთვის იღუპავ თავსა ეტრე  
 ბრძედ და წინ-დაუესტავად. ჩემი სვე უნდა აღსრულდეს.  
 ნუ იხამ მაგას, რომ მე უკანასკნელი წამი ჩემს სიცოც-  
 ხლეში სატანჯველად შემნდეს რა კი შენის სიკვდილის  
 მიზეზი მე ვიქნები. უმაგისოდაც ბევრი ცოდო მაწევს  
 თავსა.

ნოცკო. ჩემი ჯავრი ნუ გაქვს. თუნდ რომ თავი წავიხდინო  
 ვიდურ, ხომ ჭხედამ შეიღო ამ გათეთრებულ თმას, სულ  
 ერთია, დღესა თუ ხვალე, სათლავს გამოთხრინ. და შენ  
 კი ვერ ესლა შედისარ ცხოვრებაში და ათას ვერ ჩემსე  
 მეტს სარგებლობას მოუტან შენს ქვეყანასაც და შენს თა-  
 ვისინებსაც. შენ ღირხარ მეოქი, ღირხარ, რომ შენის  
 გულისათვის მე ჩემი თავი დავივიწყო, თუ საჭირებდა  
 მოითხოვს.

შივან. ნუ მეტყვი მაგას, ნუ!

ნოცკო. (კარებთან) განგათავისუფლებ მეოქი და იმას კი აღარ  
 მოვხვდავ, შენ ეგ გინდა თუ არა.

შივან. ხელსაც ნუ გასძრავ, იმიტომ რომ თუნდ რომ ხელ-

ასლად მოაღწიო რეგორმე ამ სახეობილეშის, იცოდე. მე ცოცხალს ვეღარ მნახამ, თავს თვითონვე მოვიკვამ.

ნოვეკო. რა, ყივან, ან შენის თავის მტერი რადა ხარ, ან მამი-შენისა? (შემოდის საპრობილის მცველი).

მცველი. წადი აქედამ, ნოვეკო.

ნოვეკო. რა, რა?

მცველი. წადი, წადი აქედამ.

ნოვეკო. გთხოვ, ერთი წამი კადეკე...

მცველი. არც ერთი წამი; შუალამე გადასცილდა, ვაი თუ მოვიდეს ვინმე.

ნოვეკო. ერთი...

მცველი. ესლავ, ესლავ წადი მეთქი.

ნოვეკო. შეიღო, ყივან!

შივან. მამა-ჩემო! (გადაეხვევიან).

ნოვეკო. (ტირილით) ერთმანერთს ვეღარა ვნახავთ თავის დღეში!..

შივან. თუ დემერთი შემიწყალებს, იქ ზეტაში შევხვდებით ერთმანერთსა, მაგრამ, მამავ, წელან დამწყევლე მე; აღსენი შენი წყევლა ჩემს სულს, იმიტომ რომ იქ დაწყევლილებს გზა არა აქვსთ. (ყივანი მამის წინ მუხლს მოიდრეკს. ნოვეკო თავზედ ხელს დაადებს და ცრემლით საფე ამბობს.)

ховной жизни народъ бережно сохраняетъ въ родномъ словѣ. Языкъ есть самая живая, самая обильная и прочная связь, соединяющая отжившія, живущія и будущія поколѣнія народа въ одно великое историческое живое цѣлое. Онъ не только выражаетъ жизненность народа, но есть именно самая эта жизнь. Когда исчезаетъ народный языкъ, народа нѣтъ болѣе. Пока живъ языкъ народа въ устахъ народныхъ, до тѣхъ поръ живъ и народъ. *И нѣтъ насилія болѣе невыносимаго, какъ то, которое желаетъ отнять у народа наследство, созданное безчисленными поколѣніями его отжившихъ предковъ. Отнимите у народа все, и онъ все можетъ воротить; но отнимите языкъ, и онъ никогда болѣе уже не создастъ его; новую родину даже можетъ создать народъ, но языка никогда,— вымеръ языкъ въ устахъ народа, вымеръ и народъ. Но если человѣческая душа содрогается передъ убійствомъ одного не доловичнаго чело-вѣка, то что же должна бы чувствовать она, посаяя на жизнь многовѣковой исторической личности народа—этого величайшаго изъ всѣхъ созданій Божіихъ на землѣ?...* Являясь такимъ образомъ полиѣйшею и вѣрнѣйшею лѣтонисею всей духовной, многовѣковой жизни народа, языкъ въ тоже время является величайшимъ народнымъ наставникомъ... Усвоивая родной языкъ, каждое новое поколѣніе усваиваетъ въ тоже время плоды мысли и чувства тысячи предшествовавшихъ ему поколѣній, давно уже истлѣвшихъ въ родной землѣ. Все, что видѣли, все, что испытали, все, что переживали и передумали эти безчисленные поколѣнія предковъ, передается легко и безъ труда ребенку, открывшему глаза на міръ Божій, и дитя, выучившись родному языку, вступаетъ въ жизнь съ необъятными силами. Не условнымъ звукамъ только учится ребенокъ, изучая родной языкъ, но пьетъ духовную жизнь и силу изъ родной груди родного слова. Оно объясняетъ ему природу, какъ

не могъ бы объяснить ее ни одинъ естествоиспытатель; оно знакомить его съ характеромъ окружающихъ его людей, съ обществомъ, среди котораго онъ живетъ, съ его исторією и его стремленіями, какъ не могъ бы познакомить его ни одинъ историкъ; оно вводитъ его въ народныя вѣрованія, въ народную поэзію, какъ не могъ бы ввести ни одинъ эстетикъ; оно наконецъ даетъ такія логическія понятія и философскія воззрѣнія, которыхъ не могъ бы сообщить ребенку ни одинъ философъ. (Ушинскій. Собр. педагог. соч. стр. 201—203).

(ქართულად:)

«ენა ხალხის არის საუკეთესო, დაუმკნარი და ყოველთვის ახლად გათურჩხენილი ეკავილი იმის სულიერის ცხოვრების, რომელიც იწუობა შიშს, ისტორიის სამზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელის ხალხისა და მთელის იმის დედა-ქვეყნისა. ხალხის სულიერ შემოქმედობის ძალით ენა განსხორციელებს და შექმნის აზრად, სურათად და ხმად სამშობლოს ცასა, იმის ჭკერს, იმის ზეციურ მოვლენათ, იმის ჭკვას, იმის მინდვრებს, იმის მთა-ღეგეს, იმის ტყეას და მდინარეებს, იმის ქარიშხალს და ელვა-ჭექას, — ყოველს იმ აზრითა და გრძნობით სავსე ხმას დედა-ბუნებისას, რომელიც ისე აშკარად მოსჩანს კაცის სიუკარულში მის ხანდისხან მკაცრის სამშობლოსადმი, რომელიც ისე ცხადად გამოითქმება მშობლიურს სიმღერაში, მშობლიურს კილოში, ხალხის ზოცებების კნით. მაგრამ ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სიღრმეში მოსჩანს აზრ მარტო დედა-ქვეყნის ბუნება, ანამედ სრული ისტორია ხალხის სულიერ ცხოვრებისა. ჩამომავლობა მისდევს ჩამომავლობას, მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგს თაობათა სამკვიდროდ. ჩამომავლობა ჩამომავლობაზედ აგროვებს დედა-ენის საფაროში

ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოკლუნათა, მათ  
სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოკებს კვალს გამოკლილ  
მწუხარებისა და სანარულისას, — ერთის სიტყვით თავის სულიერ  
ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა-ენაში. ენა არის  
ცხოველი, ძვიდრი კაკშირი. რომელიც ერთობის სულს უდ-  
გამს უოთილს, აწმყოს და მოძაგლს თაობას ერისას. ის არა  
თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, — ის არის თვით  
სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ქვდება, — ქვდება ხალხიც. ვიდ-  
რე ენა ცოცხალია და ხალხი იმასევე ღაზარაკობს, — ხალხიც  
ცოცხალია; და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება-რც,  
რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატოვებული  
აუჩინებელ უწინდელ თაობათაგან. წართვით ხალხს უოკე-  
ლისიერი — და ის უოკელისიერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგ-  
რამ, თუ ენა წართვით, — ის თავის დღეში კვლავ შექმნის მას;  
ახალს სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას ვი ვე-  
ლან; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და თუ გაცს  
აძწუნებს ერთის ადამიანის მოკვდა, რომელს უიძისდაც დი-  
დი დღე არა აქვს, — რა უნდა ვიგრძნოთ მასინ, როდესაც ვუ-  
შირებთ მოკვდას მრავალ საუკუნე გამოკლილს და ისტორიულს  
შირს — ხალხს, ამ დიდებულს ღვთის ქმნილებას?... ენა არის  
სრული და სარწმუნო მატანე ხალხის სულიერ და მრავალ  
საუკუნე — გაკლილ ცხოვრებისა და იგივე უდიდესი ხალხის  
მოძღვარი. ბავშვი ითვისებს დედა-ენას და მასთან ერთად ითვი-  
სებს აზრისა და გრძნობის ნაყოფს ასისა და ათასის განკლილ  
თაობისას, რომელიც დიდი ხანია, რაც განსრწნილან დედა-  
მწაში. ბავშვი აკვირდება ქვეყნიერებას და უოკელივე ნახული,  
ნაცადი, ნაგრძნობი და ნათქმეი იმ აუჩინებელ ჩამომავლობა-  
თა გარდაცემა მას; ადვილად, უშირომლად, და როცა სწავლობს

იგი დედა-ენას, შედის ცხოვრებაში უძლეველის ძალით შე-  
ჭურვილი. ბავშვი აწა სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრა-  
ლად ნიშნებს და სიტყვებს, — ის სწოვს სულიერს ცხოვრებას  
დედა-ენის მკვებად მუშად. იგი უმარტებს მას ბუნებას ისე,  
როგორც კერძ ერთი ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა,  
იგი აცნობებს მას ადამიანთ სისიათს, ხალხსა, საზოგადოებას,  
მის ისტორიას, მის ლტოლვილებას ისე, როგორც კერძ ერ-  
თი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; იგი უხსნიას მას ხალხის  
წმენას და მის შოკიანს ისე, როგორც კერძ ერთი ესტე-  
ტიკოსი ვერ აუხსნიდა; იგი ისეთს ნათელსა ჭებენს მის მსჯე-  
ლობასა და ძაღლსაოფიურ შესედულობას, როგორც კერძ  
ერთი ფილოსოფოსი ვერ მოჭებდა.»

დიდი შეცდომა იქნებოდა — გვეთქვას, რომ სკოლაში  
შესვლის დროს ბავშვმა სრულად იცის დედა-ენა — ეს უძლი-  
რესი საუნჯე; ბავშვს განცნობილი აქვს მხოლოდ მცირედი ნა-  
წილი დედა-ენისა, ის გუნჯული, რომელიც საჭიროა ამისთვის  
სხვა-და-სხვა პირობთან და საგნებთან ყოველ-დღიურ დამოკი-  
დეულებიანთვის; ის ნაწილი კი დედა-ენისა, რომელიცაა გა-  
მოინატება ნაყოფი მთელის ხალხის სულიერის ცხოვრებისა,  
სრულიად უცნობია მისთვის. თუ გვიქვას რომ ბავშვს გვეუ-  
ზიაროთ ის აღმზრდელი წყარო, უნდა გუფ-დადებით და და-  
ლაგებით ვასწავლოთ მას დედა-ენა; დედა-ენავე უნდა იყოს  
გზადა და ხიდად ბავშვის გუფთან იმ საგნებისა და ცოდნისა,  
რომელიც წილად ხვდება მას მთელის კურსის განმავლობაში.

გარდა ამისა, თითონ ჩვენის სკოლის განსაკუთრებული  
დანიშნულება საჭიროდ ჭხდას საგნების დედა-ენაზედ სწავლე-  
ბას. ეს დანიშნულება ბავშვების სხვა-და-სხვა სასწავლებლები-  
ანთვის მომზადება რაღა; ჩვენმა სკოლამ უნდა გაუხსნას

ბავშვის გონება, გაუნათლოს, შესძინოს ჭკუისა და ზნეობის ამამაღლებელი და ხალხში კეთილ-დღეობის მომთენი ცოდნა. ამ განზრახვის შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სწავლა დედა - ენაზედ იქნება; მართლაც და რამდენი გაკეთილიც უნდა დანიშნოს რუსულის ენის სასწავლებლად და რაც უნდა ეცადონ ამ ენის რიგიანად სწავლებას, მაინც სოფლის სახალხო სკოლაში შეუძლებელია ისე წავიდეს საქმე, რომ საგნებს რუსულს ენაზედ სწავლობდენ შეგნებით, გონიერულად, და ამ სწავლაში არ შეერიოს გონების დამახინგებელი ზეპირად სწავლება, თუთიყუშობა. რუსულს ენას სრულად ზრთგომნაზიულ კლასებშიაც კი ვერ ითვისებენ და იქაც მრავალი ჩვენი უმაწვილთაგანი ირიცხება სასწავლებლებიდან, სწორედ იმიტომ, რომ არ ესმით კარგად ის ენა, რომელზედაც საგნებს ასწავლიან; და ესა ხდება ქალაქებში, სადაც საზოგადოება ნახევარზედ რუსულად ლაპარაკობს, შველის სკოლას და უადვილებს ბავშვებს ამ ენის შეთვისებას. ადვილად წარმოსადგენია, როგორ უფრო ძნელი იქნება სოფელელ ქართველის ბავშვებისათვის ცნობიერად გაგება საგნების აღსნისა რუსულს ენაზედ, რომლისაც ხმაც კი არ გაუგონიათ სკოლაში შესვლამდის და არც სწავლის დროს გაიგონებენ, სკოლის კარების დირეს გასცილდებიან თუ არა. ამას გარდა განსაკუთრებული სამეურნო გურსისათვის ჩვენს სკოლაში ორი წელიწადია დანიშნული და ეს ვადა საგნების შესწავლისათვისაც კი ცოტაა, თუნდ რომ ის ენა, რომელზედაც ასწავლიან, ბავშვებისათვის სრულიად ძნელი არ იყოს; და თუ სწავლა იქნება სხვა ენაზედ, რომელიც ბავშვებს კარგად არ ეუყრებათ, მაშინ დიდძალს დროს მოითხოვს უცხო ენის ფორმებისა და ფორმების შეთვისება და შეუძლებელი იქნება ცოტაც არის რიგია-



ნი აღსრულება შირველ-დაწუებითის და განსაკუთრებულის კურსის შრომარამისა.

განმანათლებელი მნიშვნელობა ჩვენის სკოლისა მთელის სოფლის ხალხისათვის მოითხოვს აგრეთვე სწავლებას დედა-ენაზედ: თუ ჩვენის სკოლის მოწაფენი შეიძენენ ცოდნას დედა-ენის საშუალებით, შეეჩვევიან ამ ენაზედ ფიქრსა და მსჯელობას, — მაშინ სკოლიდამ გამოიტანენ ცხოველს აზრს, შესაფერს ხალხურს ენაში განსორცხილებულს; ეს გაუადვილებს მათ თავიანთ ცოდნის ცნობიერად ხალხისადმი უარდატყმას, ხალხში მეცნიერების მოფენას და ზრუნვას მის გავითარებისათვის; ხალხისათვის უცხო ენაზედ სწავლება კი სრულიად მოსზობს ცხოველს კავშირს სკოლასა და ცხოვრებას შორის, არ მისცემს შეძლებას სკოლის მოწაფეთ — იქანიონ განმავითარებელი გავლენა ხალხზედ; მათგან სანახევროდ შეძენილი ცოდნა ნასევრობით გაუგებარს ენაზედ არ დაუღაგებს ისე აზრებს, რომ მათმა ხალხთან საუბარმა ნაყოფი მოიტანოს რამე და არც ამ საუბრისათვის საჭირო გონიერულს ღანძრავს იქნებიან შეჩვეულნი. ისინი დაემზგავსებიან იმ უსარგებლო და მავნებელ მთარგმნელებს, რომელთაც საკმაოდ არც ის ენა იცინან, რომელიდამაც სთარგმნიან და არც ისა, რომლის გამდიდრებაც უნდათ თავიანთ თარგმანებით.

ამ მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ და მავალითები გავსინჯოთ, იქაც ჩვენის აზრის საფუძვლიანობას ცხადად დავინახავთ. ჯერ მივაქციოთ ყურადღება იმ სკოლებს, რომელნიც ქრისტიანობის აღმადგენელ სასოგადოებასა აქვს გამართული. ეს სკოლები თხუთმეტის წლის წინად დააფუძნეს და არაფერი არ დაიშურეს მათთვის, რაც კი რიგზედ-განწუობილ სკოლისათვის საჭიროა. მასწავლებლები ვველგან თავიანთ საქ-

მის მტოდნენი იყვნენ; სახლები ყველგან წესიერად მოწყობილნი; წიგნები და სწავლისათვის საჭირო ნივთები ყველგან უხვად მისდიოდათ და ამ სკოლების 'ხედამხედველობაზე მინდობილი ქქონდათ იმისთანა პირებს, რომელნიც კარგად იცნობდნენ შედაგოჯის მოთხოვნილებას. მაინც ამ სკოლებმა არსად არ გამოიწვეს ხალხში გულ-წიფილი თანაგრძნობა, არსად არ იმოქმედეს განმავითარებლად; არსად არ გაუწია გლეხკაცობამ ამ სკოლებს შემწობა იგივეთ ან სხვათაგან და ამ გვარი შემწობა კი საზოგადოებისათვის საჭირო იყო. ვისაც კი ქქონის შემთხვევა ამ სკოლების განცობისა, ერთ-ხმად ამტკიცებენ რომ მიზეზი მათის ცუდად წასვლისა არის უარყოფა დედა-ენისა, როგორც საგნისა და როგორც სწავლების საშუალებისა. აქაურს სომხურ სკოლების მაგალითი ჩვენს აზრს კიდევ სხვა გზით ამტკიცებს: ამ სკოლებში საგნებს დედა-ენაზედ ასწავლიან და სადაც კი ეს სწავლა შედაგოჯის შესაფერად არის მოწყობილი, ჩინებული ნაყოფი მოაქვს შესასებ ყველ საგნებისა და აგრეთვე კერძოდ შესასებ რუსულის ენისა. ასე მიდის საქმე მაგალითად საქალბო წმ. გიანეს სკოლაში, თბილისში, სადაც ყოველისთვეს სომხურს ენაზედ ასწავლიან, და ასწავლიან ისე კარგად და საფუძვლიანად, რომ იქიდანამ გამოსულები მშვენიერად იტყვიან ეგზამენებს საქალბო გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების შესაფერ კლასებში გადასასვლელად. ჩვენს აზრს ამტკიცებს აგრეთვე ბალტიის გუბერნიებისა და ფინლიანდიის სკოლების მაგალითიც, სადაც სწავლა დედა-ენაზედ არის და ჩინებული ნაყოფიც მოაქვს.

ყოველს ევროპიულს სახელმწიფოში სახალხო სკოლებში სწავლებს ბავშვებისა დედა-ენაზედ შედაგოჯის ჭეშმარიტებად ცნობილი: და ყველგან მტკიცედ შესრულებულიც. ერთი საუ-

კეთესი რუსული პედაგოგიური ყურნალი ამბობს: «ასიდან კვ-  
რამაში არ შემოუტანიათ ეჭვი, რომ სწავლა დედა-ენასედა  
უნდა იყოს და ამ წესს სარგებლობის მეტი არა მოუტანია-  
რად.» იქაც კი, სადაც ხალხის დედა-ენა სახელმწიფოში მიღებულ  
ენის შტოს, დიალექტს, შეადგენს, — სწავლება ამ ენის შტოსედა  
საჭიროდ ცნობილია. მაგალითად, მცირეოსიული ენა რუსულის  
ენის შტოა და დიდი მსგავსებაც აქვს მასთან; მაგრამ ყველა  
პედაგოგები და განათლებულნი პირნი, რომელნიც ნაციონა-  
ლურის მიდგომით დაბრძანებულნი არ არიან, იმ აზრს ადგა-  
ნან, რომ კარგი იქნება და ნაყოფსაც უფრო კარგს მოიტანს,  
თუ სამხრეთ-რუსეთის სკოლებში სწავლა მცირე-ოსიულს ენა-  
სედა იქნება და არა რუსულსედა. «ჩვენ ვიცით» ამბობს  
იგივე ყურნალი, «რომ საზოგადო სასწავლებლების წესდების  
პროექტი და აგრეთვე მე-ნმ წლებში შედგენილი პროექტი  
სახალხო სკოლების მომართვასედა უმაღლესის ნება-რთვით  
გაგზავნა სამოსწავლო ოქლების მსრუხველებს უნივერსიტე-  
ტისა და გიმნაზიის პედაგოგიურ რჩევებში განსახილველად.  
ამ პროექტების განხილვის დროს სახალხო სკოლების ენასე-  
დაც იყო მოლაპარაკება. თითქმის ყველა სამხრეთ-რუსეთის  
გიმნაზიების პედაგოგიურმა რჩევებმა და აგრეთვე კერძო პირთ,  
რომელთაც კარგად იციან პედაგოგიაც, ხალხიც და იმისი  
ცხოვრებაც, წამოასთქვეს ის აზრი, რომ აუცილებლად საჭი-  
როა მცირე-ოსიულ სახალხო სკოლებში სწავლა მცირე-ოს-  
იულს ენასედავე იყოს.»

«თუ სკოლა — ამბობს უშინსკი — რომელიც დედა-ენასედა  
არ ასწავლის, ვერ გაადგამს ფესვს ხალხის ცხოვრებაში და  
სასარგებლო ნაყოფს ვერ მოიტანს, — ეგ გასაკვირველი არ  
არის და არც უნდა გაკვივებდეს. ვერ ერთი ესა რომ ამ

გვარს სკოლა ბევრით დაბლად სდგას ხალხსზე: რა არის ამის-  
თანა სკოლა თავის ასიოდ ცუდად შესწავლილ სიტყვებით იმ  
უძიებელ სიღრმესთან, იმ ცხოველ და სრულს სიტყვასთან შე-  
დაკრებით, რომელიც შეიმუშავა და ტანჯვით შეიძინა ხალხმა  
რამდენიმე ათასის წლის განმავლობაში?! მეორედ: ამ გვარს  
სკოლა უღონოა, რადგან ბავშვის გონების გახსნას არ აფუძ-  
ნებს ერთად-ერთს ძლიერს და ნაყოფიერს სულიერს ნიადაგ-  
ზე—ხალხის ენაზე და მასში გამოხატულს ხალხის გრძნო-  
ბაზე; მესამედ: ამ გვარს სკოლა უსარგებლოა, რადგან ბავ-  
შვი მასში შედის არა თუ სრულიად უცხო სტრუქტურაში, იქიდან  
გამოსვლის დროსაც სრულიად უცხო სტრუქტურაში გამოდის. ის  
ძალი ივიწყებს სკოლაში ნასწავლს ასიოდ რუსულს სიტყვას  
და მათთან ერთად ივიწყებს იმ აზრებსაც, რომელიც ამ სიტ-  
ყვებით გამოითქმებოდა. ხალხის ენა და ხალხის ცხოვრება  
სულმთლიანად ესკვება მას გარს და შლის იმის გონებიდან სკო-  
ლაში შექნილის კვალს, რომელიც სრულიად უცხოა მისთვის.  
რა გააკეთა მას სკოლაში? არაფერზე კიდევ უარესი. სკოლაში  
რამდენიმე წლით შეაჩერა ბუნებრივი განვითარება ბავშვისა;  
მართალია, წერა-კითხვას სწავლობენ, იმასაც სწავლებენ; მაგ-  
რამ ესეც ყველას არ შესვდება წილად და თუ შესვდება მხო-  
ლოდ იმისთვის, რომ დამტკრეულ რუსულის ენით რაიმე წუწ-  
ვი საზივარი დაბლაჟნოს; ადამიანის სულს ამისთანა სკოლა გი  
არ ანატოლსებს, რყნის.»

დასასრულად, საგნების სწავლება დედა-ენაზე არამც თუ  
სასოფლო სკოლებში, არამედ საქალაქო სკოლებშიაც უძალიე-  
სად და დაურღვეველად საჭიროდ ცნობილია წამებულის ხელ-  
მწიფე იმპერატორის აღქმასანდრე მეორის სიტყვებით, რომ-  
ელიც დაწერილია არიან პოლშის მთავარ-მმართველისადმი

რესკრიპტში 30 აგვისტოს 1864 წ. და შესანიშნავი ძალადის ბრძნულის შეხედულებით სასულიწოფო საქმეებზედ. აი ეს სიტყვები: «სამოსწავლო გამკეობათ არც სხვას უნდა მისცენ ნება და არც თითონ იკისრონ მეცნიერების ტაძრის გარდაქმნა ჰოლიტიკურ განზრახვის საშუალებად; იგინი უნდა განათლებას მიუდგომელად ემსახურონ. ამის გამო ჩვენ ვაძლევთ ნებას ჰოლშის ახალ-გაზდობას მიიღოს სწავლა თავის დედა-ენაზედ...» და სხვ. სასწავლებლების წესდება ჰოლშის გუბერნიებისათვის, უმაღლესად დამტკიცებული იმავე წელს 49-ე მარტისაში ამბობს: «ყოველს პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლა უნდა იყოს იმ ენაზედ, რა ენაზედაც ლაშქარობენ იმ ქალაქისა და სოფლების მცხოვრებნი, სადაც სკოლასა გამართული.» ეს უმაღლესად ცნობილი საჭიროება და აუცილებლობა დედა-ენაზედ სწავლებისა მით უფრო შესანიშნავია, რომ ეს მოხდა სწორედ ჰოლშის აჯანყების დამშვიდების შემდეგ. თუ კი განსვენებულმა ხელწიფე იმპერატორმა სცნო საჭიროდ და მიანიჭა აღუკვეთელს ხალხს საუკეთესო უფლება — უფლება დედა-ენაზედ სწავლებისა, — ცხადია გულ-წრფელად მოისურვებდა აგრეთვე მიენიჭა იგივე უფლება იმ ერთგულ ხალხისათვის, რომელმაც იყვი ჩაადგმევინა რუსეთს კავკასიაში და გულ-წრფელად ეწეოდა მას ამ მოვლბელობის გაკრცელებისა და დამკვიდრებაში.

მესამე ცვლილება ჩვენის სწავლების პლანისა არის ეს, რომ რუსულის ენის სწავლება იწყება ჩვენს სკოლაში მესამე წელიწადის დასაწყისს და არა პირველის წელიწადის მეორე ნახევრიდან. ეს ცვლილებაც მოვანდინეთ ჩვენ შემდეგ საფუძვლიანის მოსაზრებისა. ჯერ ერთი ესა რომ ეს ცვლილება სრულიად შეეფერება პედაგოგის მოთხოვნილებას. ერთი უმთავ-

რესი განონი ჰედაგოგიისა ამბობს თითოჯერ თითო სიმნ-  
ლეო. ქართველი სოფელი ბავშვი პირველს ორს წელიწადს  
სკოლაში ებრძვის ერთს სიმნელეს—დედა-ენაზედ წერა-კითხვი-  
სა და თითონ დედა-ენის სწავლას. ვიდრე ეს სიმნელე არ და-  
უძლევა, ჩვენ რომ მას სხვა ტვირთი აკვიდოთ და რუსული  
ენა დაწვეებინოთ—ამით ძნელად შესასრულებელს საქმეს გა-  
ვისრებინებთ და შეუძლებელია მაშინ—სკოლაში სწავლა რი-  
გიანად წარმოებდეს. სცადება ის, ვისაც ჭკონია რომ რა კი  
ბავშვმა დედა-ენაზედ ჩათვლით კითხვა ისწავლა, ძლიერ-ძლიერ-  
ბით ასობის დაბლაჯნა და დედა-ენაზედვე უკავშიროს მას-  
სების მიცემა, —ამით პირველს სიმნელეს დასძლიაო. ეს სიმ-  
ნელე მხოლოდ მაშინ იქნება დაძლეული, როცა ბავშვს დედა-  
ენაზედ მარდად კითხვა ეცოდინება, თავისუფლად წერა და რი-  
გიანი სიტყვა-მასუხი. ამის შესრულება სასოფლო სკოლებში  
ორს წელიწადსაც კი ძნელია. ერთი უკეთესთაგანი თანამედ-  
როე ნემცის ჰედაგოგი შიტი ამბობს: «მხოლოდ მაშინ უნ-  
და მიჭერნ უცხო ენის სწავლებას ხელი, როდესაც ბავშვი დე-  
და-ენას ისე გაიწინობს, რომ შექმლოს თავის აზრისა და  
გრძნობის შესაფერ სიტყვებითა და ძრავებით გამოსატყაო.»  
თავის წინებულ თხზულების მეორე ადგილას იგივე ჰედაგოგი  
დაზნაურობს—როგორის სიფთხილით და თან-და-თანობით  
უნდა შეეჩვიონ ბავშვები ძნელს საგნებს პირველ-დაწვეებითს  
სასწავლებლებში და ამბობს კიდევ: «მეტადრე უცხო ენის სწავ-  
ლება იმასზედ ადრე არ უნდა დაიწყოებოდეს, ვიდრე ბავშვი თავის  
დედა-ენას კარგად არ გაიკეთავსო.» ნიჭიერი ჰედაგოგი  
უშინსეიც სწორედ იმავე აზრისაა და პირ-და-პირ ამბობს რომ  
მესამე წელიწადზედ ადრე შეუძლებელია უცხო ენის სწავლე-  
ბის დაწყებაო. ამის შესანიშნავს თხზულებაში: «ჰედაგოგიური

მოგზაურობა შეეცადოს» არის შემდეგი ადგილი: «ბუჩინის ოთხ-კლასიან სკოლაში ძრანტუხუელს ენას მხოლოდ მესამე და მეოთხე წელნიდან ასწავლიან და მე ამას მეტის-მეტ აჩქარებად ჩავთვლიდი, თუ რომ ბავშვები საკმაოდ განვითარებული არ იყვნენ ღრვიანად გაწვრთნილნი დედა-ენაში, ჩვენს ათის წლის ბავშვებს კი ეს სიკეთე არა სჭირთ.» თვით იმ ქვეყნებშიაც, სადაც ბავშვების დედა-ენა შტოს სასკელმწიფოში მიღებული ენისა, ძლიერად წააგავს მას და უადვილებს ბავშვებს მის შეთვისებას და შესწავლას, — იქაც კი სასკელმწიფოში მიღებული ენას სკოლაში მეორე წელნიდანვე ადრე არ ასწავლიან და წერა-კითხვას იმ ენაზედ კიდევ უფრო გვიან აწყობიანებენ — არა უადრეს მეორე წლის მეორე ნახევრისა, თუმცა კი ევროპული ბავშვები ბევრად უფრო გონება გასწილნი არიან სწავლის დაწვების დროს, კიდრე ქართველი ბავშვები. შემოსწავლებულს წესზედ მოწყობილია მკვლევართად ორ-ენიანი სკოლები ბელგიაში და შვეიცარიაში\*).

უკვე ილია, რომ რაც უფრო ენა ძნელია, იმდენად მისი სწავლება გვიან უნდა დაიწყოთ დას, მეტადრე სასოფლო სასწავლებლებში. რუსული ენა ევკლასიან უძნელეს ენად არის ცნობილი. ინგლისის გენიოს-ისტორიკოსმა ბოკლმა, რომელმაც შეისწავლა რუსული ენა სხვა ცნრამეტ ევროპულ ღრვიან ენათა შორის, აღაარა რომ არც ერთ ენის შესასწავლებლად იმდენი დრო ღვათა არ მომინდობია, რამდენიც რუსულს მოგანდობია. ქართულ სასოფლო სკოლებში რუსულის ენის სიმულე კიდევ უფრო ცხადად გამოხნდება: ქართულსა და რუსულს ენას შორის არაფერი მზგავსება არ არის, არც გრამა-

\*) ნახე შემოსწავლებული «ანგარიში» სემიონოვისა.

ტიუელი, არც ლექსიკონი. ცხადია, რომ ქართულ სკოლის შე-  
გირდებს მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ რუსულის ენის სწავლის  
დაწყება, როდესაც გონება საკმაოდ გაესხნებათ და ორს წე-  
ლიწადზე ადრე ეს შეუძლებელია... რუსულის ენის კარგად  
შესასწავლებლად საჭიროა შედარების მეთოდა, ე. ი. რუსუ-  
ლის ენის თვისებისა და აგებულების შედარება ქართულის ენის  
თვისებისა და აგებულებისთან, და ეს მეთოდა მაშინ არის გამო-  
საყენებელი, როდესაც ერთი საგანი მანაც შედარებისა ბავშვი-  
საგან კარგად შეგნებულა; თუ ორივე საგანი უცნობია, ბავ-  
შვი ვერა სძლეეს სიმკვლეს და ეს ჩინებული მეთოდა ფუჭად  
ჩაივლის. «ისე მოაწვეთ საქმე—რომ დედა-ენის გრამატიკის  
სწავლება უცხო ენის გრამატიკის სწავლებას წინ უსწრობდეს»  
ამბობს უშინსკი. ამიტომ დიდად ძანებელი შეცდომილება იქ-  
ნება, თუ წარმოვიდგინთ რომ, რაც რუსულს ადრე დავიწ-  
ყობთ, უფრო ადრეც და კარგადაც ვასწავლით ბავშვებსაო. ებ-  
რა არა, ამ შემთხვევაში მოსწრაფება რუსულის ენის სწავლე-  
ბისა შეაჩერებს ბავშვების გონების გამოფხინებებს, წესიერს  
განვითარებს, აღუძრავს სიმკვლელს რუსულის ენისადმი და  
უგან დააყენებს სწავლას სასოგადოდ და რუსულის ენისა კერ-  
ძოდ. ბავშუს რომ უცხო ენის სწავლა დააწყებინოთ, როდე-  
საც დედა-ენაზედ კარგად ვერც კი კითხულობს—ამბობს ივი-  
კე უშინსკი— განა ეს გულის-უფრასა და სწავლის სურვილის  
დასაწყისშივე მოკვლა არ იქნება? მეორე რუსის ჰედაგოგი  
ბარონი კორჩი თვით რუსულის ენის წინაშე ცოდვად სთვლის  
მის საადრევს სწავლებას უცხო-თემელებში, რადგან ამ შემთხვე-  
ვაში სიყვარულის მაგივრად ბავშვებში იღვიძებს სიმკვლელო  
სახელმწიფოში მიღებულის ენისა. მაგრამ, თუ რუსულს ენას  
მესამე წლიდან დავიწყობთ, როდესაც ბავშვებს ეცოდინებათ



წერა-კითხვა დედა-ენაზე და უმთავრესი კანონები ქართულის გრამატიკისა, რუსულის ენის სწავლა მამის საინტერესო და სრულიად შესავისებელი იქნება და ნაყოფსაც კარგს მოატანს. ამ სწავლით ჩაიყრება სამიწველი, რომელზედაც მოწაფენი სოფლიდამ გამოსვლის შემდეგაც დააფუძნებენ რუსულის ენის შესწავლას... ეს აზრი რუსულის ენის შესახებ ჩვენს სკოლაში მტკიცდება აგრეთვე სასაღსო მსწავლებლების კრებათა გარდაწვევებით, რომელიც ამბობს, რომ უფრო ჰედაგოგის შესაფერი იქნებოდა წესიერი სწავლება რუსულის ენისა მესამე წელიწადს დაწყობილიყო.

ჩვენის სამის აღნიშნულა ცვლილებათ საფუძვლიანობას და საჭიროებას თავაღ-საჩინოდ ამტკიცებს სსგა-და-სსგა ბედი ქართულის სასოფლო სკოლებისა ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში. ქუთაისის გუბერნიასი სასაღსო სკოლებში სამის წლის კურსით რუსულის ენის სწავლება პირველს წელიწადსვე იწყებოდა და კურსის მეორე ნახევარში ყველა საგნები რუსულად ისწავლებოდნენ. მერე რა მოჰყვა ამას? თორმეტის წლის აწსებობის შემდეგ სკოლამ ქუთაისის გუბერნიასი თავის სრულის უნაყოფობით აღძრა მცხოვრებლებში ჯერ გულ-გრილობა და შემდეგ ცხადი საძული. სოფლების განჩინების ძალით დაიკეტა ბევრი სკოლა, თუმიც აღმინისტრაცია ფოკლის დონითა ცდილობდა სული შეეშალა ამ გვარ განჩინებათა შედგენისათვის; პირველში კი ეს სკოლები ხალხმა დიდის ხალხით დააფუძნა, რადგან განათლება მსურველს წადილს შეადგენს ქუთაისის გუბერნიასი. სრულებით სსგა ბედი ჰქონდა სასაღსო სკოლას თბილისის გუბერნიასი. თუმიც აღმოსავლეთის ქართველებში ბევრად ნაკლებ არის სწავლის სურვილი, ვიდრე დასავლეთის ქართველებში, მაგრამ სასაღსო სკოლამ აქ

ბევრად უფრო კარგად მოაქიდა ფესვი, უფრო ბევრი სარტებ-  
ლობა მოიტანა და ხალხშია თანაგრძნობა გამოიწვია. და-  
სავლეთის საქართველოში სკოლები ათობით და რცობით და-  
იხურა და აღმოსავლეთისაში კი არა უფიქრა ამ გვარი მს-  
გალითი. უოკელ ამის მიზეზი ის არის რომ სახალხო სკო-  
ლას თბილისის გუბერნიის უფრო გონივრული სწავლების  
შლანი ჰქონდა: სწავლის გურსი ოთხს წელიწადს სწევდა, ას-  
წავლიდენ საგნებს მხოლოდ ქართულს ენაზე და რუსულს  
ენას მესამე წელიწადს აწყობინებდენ. ამასთანავე ფრიად შესა-  
ნიშნავია შემდეგი: თუმცა დასავლეთის საქართველოს სახალ-  
ხო სკოლაში რუსულს ენას პირველის წლიდანვე ასწავლიდენ  
და მასუკან სწავლების ენადაც ჰხდიდენ მას, მაინც შეგიძლები  
ვერს გრძნობდენ მისდამი ინტერესსა და სიყვარულს; აღმოს-  
ავლეთის საქართველოში კი თუმცა უფრო გვიან იწყობდენ  
მის სწავლებას, მაინც იმოდენა თანაგრძნობა მოიპოვა რუ-  
სულმა ენამ ზოგიერთ ემწვილებში, რომ გურსის შესრულების  
შემდეგაც გულ-მოდგინედ კვიდებოდენ მის შესწავლას; თავის  
ცდით ისე ითვისებდენ ამ ენას რომ შემდეგში სახალხო მს-  
წავლებლის ადგილსაც მოულოდენ. ეს ფაქტი ცხადად ამტკი-  
ცებს— რუსულის ენის ნაადრევად სწავლება ქართველს ბავ-  
შეებს სამკვიდრო ნაყოფს ვერ მოუტანს და თუ თავის დრო-  
ზედ იქნება ამ ენის სწავლება, აღძრავს მათში თანაგრძნობას  
და სახალხო სკოლის გურსის დასრულების შემდეგაც წაქე-  
ზებს უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ იგი.

დასასრულ, სახალხო განათლების ისტორია ევროპაში  
წარმოადგენს საოცარს მაგალითებს, რომელნიც სრულიად ამრ-  
თლებენ ჩვენს სწავლების შლანში შემოღებულ ცვლილებათ.  
უკვლავ, სადაც კი დედა-ენა სწავლების საშუალებად გახადეს და

სადაც სასწავლებელი მისდევდა მხოლოდ თავის წმინდა და პიი-და-პიის დანიშნულებას—ე. ი. ხალხის გონებრივ და სწე-ობრივ ამაღლებას, მასში ცოდნის გავრცელებას იმ გზით, რა გზაც უფრო ადვილი იყო, — იქ სახალხო სკოლა უდიდეს ძალად შეიქმნებოდა ხელმე, გაუვითარებდა ხალხს გონებასაც, წნეობასაც და იმისთანა კეთილ-დღეობასაც ჭიკნდა, რაც უწინ არავის მოსჩვენებოდა. ჩვენ სხვა მაგალითებს თავს დავანე-ბებთ და მხოლოდ ერთს დავაკვირდებით: სახალხო სკოლის გავლენას შოტლანდიის უოთა-ცხოვრებაზედ მეხვიდმეტე სა-უ-კუნის დასასრულს. წარჩინებული ინგლისის ისტორიკოსი და სასულემწიფო კაცი მაკოლეი ამ სიტყვებითაა ჭსატავს ამ გავლენას: \*) ეს ორმოც-და-ათის წლის წინად ინგლისი იყო აუ-კავებელი ზე კარვად მოწყობილი ქვეყანა სხვა ევროპის ქვეყნებ-თან შედარებით. შოტლანდია კი, კვინებ ეგულა ქვეყნებზედ, რომელთაც ცოტაც არის განათლების ნიშან-წყალი ეტყობო-დათ, ღარიბი და უმეტარი იყო. ინგლისში შოტლანდიელის სახელი ზიზღით იხსენებოდა. შოტლანდიის ნიჭიერი სასულ-ემწიფო კაცი თითქმის განწირულებით შეჭყურებდენ ღარიბ თანამემამულეთა უკანასკნელს მდგომარეობას, ეგულამ იცის რომ ჭეკტნიერ სალტაუნი, მამაცი და განათლებული კაცი, თავის-უფლებისათვის მებრძოლი და მის სიუვარულისათვის სამშობ-ლოდამ განდევნილი, ისეთის ზიზღის თვალთ უნჭქროდა სი-ღარიბეს, უმეტრებს, სიზარმაცეს და კანონების წინააღმდეგო-ბას შოტლანდიის მდაბალის ხალხისას, რომ მოიწადინა მათი მონად განდგომა. ის ჭიკიქრობდა, რომ მხოლოდ იმავე საშუა-ლებით შეიძლება შოტლანდიის უბინადრო და ქვეყნის ამომ-

\*) მაკოლეი, ტომი XV, გვ. 177—178.

გდები ხალხი კაცმა მუდმივს შრომას შესჩვიოს, რა საშუალებითაც შაქრის პლანტაციის წარგებში მშვიდობიანობას ჩამოგდებულა და ეს კვლური ხალხი ძალით მუშაობას შეჩვეულია, ე. ი. მათრახით და სუნდით. ამიტომ, რევოლუციის შემდეგ იმან დაბეჭდა ერთი წიგნი, რომელშიაც ამ საშუალების ხმა-რებს უჩვენებდა მთავრობას და ეს რჩევა ჩემის აზრით კაცთ-მოყვარეობისა და პატრიოტულის გრძობისაგან იყო ჩაგონებული; ეს სასტიკი ზომა იმას ერთად-ერთ ღონედ ეგონა ზემოხსენებულ უწყისების მოსახსნობელად. რამდენიმე თვის შემდეგ ამ წიგნის დაბეჭდვისა სრულებით სხვა გვარი საშუალება იხმარეს; ედინბურგის პარლამენტმა გამოხატა კანონი სახალხო სკოლების გამართვის თაობაზედ. უმაგალითო და საკვირველი ცვლილება მოხდა ხალხის წნეობრივსა და გონებრივს მდგომარეობაში: თუმცა ამ ქვეყანაში საშინელი მკაცრი ჭკვანა და უნაყოფო ნიადაგი, მაგრამ საუკეთესო ქვეყნები ამას შეჭინატროდენ. შოტლანდიელს ყველგანა ნახავდით და ყველგან პირველი ადგილი ეკონა. საზოგადო ასპარეზზედ მალაღს ხარისხზედ აღიარდა; ქარხანებში პირველი ოსტატი იყო; თუ დუქანს გახსნიდა, იმ უბანში იმისთანა დუქანი აწავის ექნებოდა; თუ ამერიკის კოლონიებში გადასახლებოდა, იმის მინდვრები სხვებზედ მეტად ჭევაკოდენ. ღონდონში მეჩვიდმეტე საუკუნის შოტლანდიელზედ ისე ღაპარაკობდენ, როგორც ეს-ლას ესკიმოსებზედ ვლამარაკობთ; მეთვრამეტე საუკუნის შოტლანდიელი კი შუქსა ჭბადებდა და არა ზიზღსა. ყველანი ამბობდენ—შოტლანდიელი სადაც უნდა მივიდეს, ყველგან განწესებულს იფასებდ მეტს იღებსო; ინგლისელთან ჭქონდა და სქემე, თუ ირლანდიელთან, ყოველთვის იმას პირველი ადგილი ეკონა, როგორც ზეთი წყალს პირზედ მოექცევა

ხელში. როგორ მოხდა მეჩე ეს საკვირველი ცვლილება? შოტლანდიის ჭკვა უწინდელებრივ ცივი იყო, შოტლანდიის კლდეები უწინდელებრივ უნაყოფოები. ბუნებრივი ხასიათიც შოტლანდიისა არ შეცვლილა მას აქედ, რაც სწავლული და კეთილის მყოფელი კანდი საჭიროდა სთვლიდა შოტლანდიელების მათთან გაჩეკას სამუშაოდ დატვირთულ ცხენსაკით. არა, სახელმწიფომ იზრუნა ამ ხალხის განათლებისათვის, ჭე ეს განათლება, მართალია, ისეთი არ იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცივსა და ქვიშიანს ნაპირებს კლავიდიასა და ჭორტისას მაინც მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე მდიდარმა ნიადაგმა და საამო ჭკვამ კაზუხას და ტარენტოს.»

რა იყო მიზეზი, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის სახალხო სკოლებმა ამისთანა გასაოცარი ნაყოფი მოუტანეს შოტლანდიას? იქნება მასწავლებლებად ჩინებულად მომზადებულნი პირნი იყვნენ? არა, მაშინ მომზადებული მასწავლებლები არც კი იყვნენ შოტლანდიაში; სკოლებში უფრო პასტორები ასწავლიდნენ, რომელთაც არც კი იცოდნენ ჰედაგოგია, რა იყო. იქნება სკოლის გურსი დიდი იყო და ვრცელის პროგრამით ასწავლიდნენ? არა, ამის თქმაც არ შეიძლება. მაშ იქნება სკოლის სახლები ჭე გარკვენი წყობილება კარგად მოხერხებული იყო? არა, შოტლანდიის სკოლას არც კი მოხსენებია ეს სიკეთე. მაშ რით მოახდინა სკოლამ ისეთი სასწაული, ისეთი ცვლილება ხალხის მდგომარეობაში? მხოლოდ იმითი, რომ დედა-ენაზე დააფუძნა მთელი სწავლა და თვითონ ენასაც საფუძვლიანად ასწავლიდა, ცდილობდა აქმდლების გონება და ზნეობა თავის მოწაფეებისა და მათის შუამავლობით მთელის ხალხისაც.

პოლიტიკურის მხრითაც საოცარი ნაყოფი მოიტანა შოტლანდიის სკოლამ. ვიდრე შოტლანდიელები უძეცარნი იყვნენ და

ველურის ხალხს ემსგავსებოდნენ, ტყუილი გამოდგა ცდა, რომ შოტლანდია მჭიდროდ დაეკავშირებინათ ინგლისთან: შოტლანდიელებს კერძულად ცალკე ყოფნა უნდოდათ და ინგლისთან დაკავშირების უარს ედ იდგნენ. მაგრამ, რა გი სახალხო სკოლამ გაუგრძელა მათ მსუბუქობის ასპარეზი და მოჭოფინა ნათელი მათს გონებას, შოტლანდიელებმა თითონვე აღმოაჩინეს კავშირის სურვილი და მალე ბრიტანიის ორს ნახევარს, შოტის სრული პოლიტიკური ერთობა ჩამოვარდა. შოტლანდიის მაგალითი მშვენივრად ამტკიცებს იმ აზრს, რომ მხოლოდ უმეტრება ჭბადავს, შოტის სხვა-და-სხვა ხალხში, და სახელმწიფოს ერთობისათვის საუკეთესო დონე არის უმეტრის ხალხში განათლების გავრცელება დედა-ენის საშუალებით.

მეორე განაცხადს მაგალითს ამ საქმის შესახებვე წამოადგენს ავსტრიისა და პრუსიის სკოლების ბედი ამ საუკუნეში. ავსტრია და პრუსია ორს სხვა-და-სხვა გვარს წესს მისდევენ უცხო-თემელების განათლებლად. ავსტრია სშირად წინააღმდეგობას უწევდა პირველ-დაწყებით სკოლებში დედა-ენის სწავლებას და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ადრე დაეწყოთ ნემეტურის ენაზედ სწავლება. პრუსია გი დედა-ენას ყოველ-გვარს უფლებას აძლევდა და ითხოვდა კიდევ, რომ სწავლას ამ ენაზედ ყოფილიყო. და რა მოხდა? ავსტრიამ ამ გვარის მოქმედებით არამც თუ თავის წადილი ვერ შეინარულა და თავისი ქვეშევრდომი უცხო ხალხები ვერ განემეტა, არამედ უიწრო აყუარა გული ნემეტობაზედ. პრუსიამ გი მჭიდროდ დაიკავშირა ქვეშევრდომი უცხო-თემელები, აი რასა სწავლას ამ საგანზედ ერთი რუსის პედაგოგი ვესელი სახალხო განათლების სამინისტროს ყურნაღში\*) «პრუსია თავისდამი შე-

\*) ნახე ყურნაღი ხალხის განათლების სამინისტროსი 1869 წ. დეკემბერი.

ერთბუნად შრომინციებს ისეთის თვალთ უტყვეროდა, თითქმის ისინი იმის ძველის-ძველ საკუთრებად ყოფილიყვნენ და მათ მცნობრებით — როგორც თავის ერთბუნად შეიღებეს: ანიჭებდა მათ ყოველსავე უფლებას, რომელც კი შრომბუნადებსა ჰქონდათ. შრომბუნად თავის ხალხის განათლებასეც ბევრსა ცდილობდა, მაგრამ შეერთბუნად შრომინციების განათლებისთვისაც თუ არც მკც, ნაკლებს არც ზრუნავდა. ამ შრომინციებში სრულბუნად არც იყო გამართბული სხალხსო სკოლები და ხალხიც სიღარბებს მკცად შეეწუნებინა. შრომბუნად დიდ-ძალი ფული დანარჯა თითონცე მათში სკოლების გასამართბავად და ისე მოაწყო ის სკოლები, როგორც შიგ შრომბუნადში ჰქონდა მოწყობილი. სწავლა ამ სკოლებში დედა-ენაზეც იყო და შრომბუნად თსოფლობდა მსოფლოდ რომ ნემცეური ენაც ესწავლებინათ. შირველში შრომბუნადის მთავრობა ამ უკანასკნელ პირობის შესრულბუნადეც არც ატანდა ძალას, რადგან იმისთანა მასწავლებლებს კერ იშოვიდა ჯერ-ჯერობით, რომელთაც ნემცეური ენაც სცოდნობდათ და ადგილობრვიც. ამიტომ შრომბუნად თითონ ივისრა სრული ხარჯი შირველის მასწავლებლების მომწადებისა შეერთბუნად შრომინციის სკოლებისათვის და ესეთი მოქმედება სწორედ რომ კაცობრბული იყო და დიდი სარგებლობაც მოიტანა. შრომბუნადის მთავრობა ყველასეც მკცად ხალხის გაუნათლებელ ხაწილისათვის ზრუნავდა და ცდილობდა გაეკაცებინა მისი მატრბიალური და ზნეობითი მდგომარეობა; თავის მოქმედებაში იგი არც მისდევდა წკრილმანობას და მიზეწიანობას... შრომბუნადის მაგალითი გვასწავებს, რომ სხალხსო სკოლას საუკეთესო საშუალებას ხაციონალურ მძულვარების მოსასზობელად, მაგრამ მსოფლოდ მაშინ, როდესაც სკოლას არც სხავრავს და არც ასუსტებს დაზერობილ ხალხსთა, არც.

მედ ამაღლებს მათ სულიერს და ზნეობრივს მხარეს, ნათელსა ჭიქუნს, ავითარებს მათს ჭკუა-გონებას, საწმენოებს და დაყენებს მათ კეთილ-დღეობის გზაზედა.»

ასე არ იქცევოდა ავსტრიის მეტყონისის დროისა. «როდესაც ავსტრიის მთავრობა სახალხო სკოლებს აწესებდა—ამბობს იგივე ვესელი—თავის ქვეშევრდომ სლავიანებისა, მადიარებისა და სხვა არა-ნემეტების ქვეყნებში, იმასა ჭქანდა აზრად მხოლოდ მათი სრული განმეტება, ეროვნულ თვისებათა მოსპობა და არა ამ ერთა ზნეობრივი განვითარება, კეთილდღეობის აღდგენა. მაგრამ ამ გვარმა სკოლებმა არამც თუ არ შეუსრულა ავსტრიის მისი პოლიტიკური წაღილი, არამც თუ არ შეუთვისა და შეუერთა სხვა-და-სხვა ხალხნი, არამედ განაშორა იგინი და ჩაუნერგა ავსტრიისადმი სიძულილი. ავსტრიის მთავრობამ ამ გვარს საშუალებით მხოლოდ ცოტათი გაავრცელა ნემეტური ენა თავის უცხო-თემებში და სწორედ ამ მხრით ავსტრიის წარმოდგენს საგულისხმო და გასაოცარს მაგალითს იმისას, თუ როგორ ძალადობით გავრცელებას სასულიეროში მიღებულ ენისას არ მოაქვს არავითარი ჯარგი ნაყოფი: არც ზნეობით ამაღლებს ხალხს, არც კეთილ-დღეობასა ჭიქუნს; და რადგანაც ეს ძალადობა ეროვნობის მოსასპობელად არის სმარებული, იგი აღმრავს ხალხში ნაციონალურს გრძნობას, რომელიც თვით ძალადობითვე იკვებება და აქეზებს ხალხს—ისმაროს ყოველი მისი ღრნე ეროვნობის დასაცველად.»

მაშასადამე, ევროპის სახალხო სკოლის ისტორია, მისი ესტანდელი მოწეობილება, ევროპიელ და რუსის შედგოგების აზრები, რუსულისა და კავკასიის პირველ-დაწყებათის სკოლის გამომცდილება, — ყოველივე ამოწმებს ჩვენის სწავლების პლანის საიუქმლიანობას და გვარწმუნებს, რომ მის შესრულებას უნ-



და მოჭყევეს ხალხის გონებისა და ზნეობის გაკითხება და კეთილ-დღეობის აღდგენა.

P. S. ეს წერილი მომზადებულ იქმნა მმართველობის წინაშე წარსადგენად და არა ყურნალში დასაბუქდად; და თუ ყურნალში მოექცა, ეს მოხდა რედაქციის ნებით, რომელმაც სასარგებლოდ დაინახა, ეს წერილი თავის მკითხველებისათვისაც წარედგინა. რადგანაც იგი ყურნალისათვის არ არის დაწერილი, ამიტომ ზოგიერთა მხარე საქმისა საკმაოდ არ არის განვითარებული. ჩვენ გვსურს რადენიმე სიტყვის დამატებით ეს ნაკლებეკანება შევავსოთ.

ჩვენ, ქართველებს, ჯერედ არა გვაქვს გამორეკვეული დიდი მნიშვნელობა ხალხის განათლებისა. სწავლას ჩვენ ვუყურებთ, როგორც სასხარს ჩინებისა, ორდენებისა და ჯამაგირიან ადგილების მიღებისათვის; და რადგანაც სახალხო სკოლა არ ასარჩქლებს თავის მოწაფეთ არც ზირველის სიკეთით, არც მკორეთ და არც მესამით, ამიტომ ბევრს იგი თითქმის უსარგებლოდ მიაჩნია. თვითონ იმ ზირთ, რომელნიც განათლებულის გვამის სახელებს იხეძებენ, არა აქვთ გაზომილი «სიღრმე ჯ სიგანე» სახალხო სკოლის ნაყოფიერის გავლენისა ჯ მხოლოდ ნასვერობით ჯ მკოთხედობით ესმით მისი მნიშვნელობა. ამისთანა შექმთხვევაში ფრთად სასარგებლოა საზოგადო არის განმტკიცებისათვის იმ გვარი მაგალითები. როგორც დანერგულ შოტლანდიის ფეხსედე წამოყენება და აკვავება სახალხო სკოლების მკონებით. მხოლოდ ამ გვარს მაგალითებს შეუძლიათ თავლი აუხილონ საზოგადოებას, მსურვადე თანაგრძნობა აღძრან მის გულში და გამომწვიონ თანხნობა და დანმარება ამ საქმეში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ღრმა კვალს ჩასახავს მკითხველის

გონებაში შოტლანდიის საოცარი მაგალითი. ჩვენში კი თექვსმეტის წლის წინად ამ ისტორიულ მაგალითის ამოკითხვამ მაკოლუის თხზულებაში იმ გვარი ღრმა ჩაბეჭდილება მოახდინა, რომელიც ხდება საძირკველი დედა-აზრისა კაცის ცხოვრებაში, ცენტრი მის მოქმედებისა და უმთავრესა მიზანი სურვილთა და წადილთა. ჩვენ უნებლიედ ვიფიქრეთ—თუ იმისთანა ბუნებით ღარიბი ქვეყანა, როგორც შოტლანდია, სასაღსო სკოლამ მოკლე ხანში კეთილ-დღეობას მისწია, ჩვენს ბუნებით მდიდარს კუთხეს ხომ უფრო კიდევ მომეტებული სიკეთე უნდა შესძინოს. თუ საშინლად დაცემული და დაზარალებული შოტლანდია სასაღსო სკოლამ ფეხსედა წამოაყენა და მესობლებზედ ბევრით მაღლა ასწია ჭკუითაც, წნეობითაც, მსხეობითაც და სიმდიდრითაც, უკვლედა, რომ უფრო მომეტებულად აღმაღლებს ჩვენს საღსო, რომელიც აუარებელმა ტანჯვა-წვალებამ ვერ დასცა ძირს და ვერ ააწრუგბინს გული მსხეობაზედ და გამძვავლობაზედ.

მაგრამ მარტო შოტლანდიის მაგალითი როდი ღაღადებს საღსის განათლების დიდ მნიშვნელობას. მთელი ახალი ისტორიის კაცობრიობისა ამისივე მქადაგებელია. ბუნებით ღატაკი და მკაცრის გარემოებით მოცული ნორვეგია სასაღსო სკოლების მეოხებით ისეთს კეთილ-დღეობას ეწია, ისე შეამძინა სიკვდილის მოკლენა და ისეთი მტკიცე სიყვარული თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და შტიოსნებისა დამყარა გლეხთა შორის, რომ ბუნებით უმდიდრეს ქვეყნებისათვის ჯერჯერ კიდევ სანატრელია. შვედრამ და დანიამ სასაღსო სკოლებისკე გავლენით აკაცობა და ცუდ-კაცობა მეტად იშვიათი მოკლენა განადგურა. ამ საუკუნის დამდეგში უძღურო, მიმსწვრთული და ღარიბი შრესის სასაღსო სკოლამ გარდაქცია ჩვენს ღრეს იმის-

თანა მძლავრ სახელმწიფოდ, რომ აწმც თუ მთელი გერმანიის ჭკეპონია, უფროსობა, იგღო სელში. მთელის ევროპის ლობზარც შეიქნა. ამერიკა გადაიქცა უმდიდრეს ქვეყანად, რადგანაც იქაური გლეხი და მუშა, სკოლაში სწავლით განვითარებული, იმოდენა სერსსა და სიმარჯვეს იხენს მუშაობაში, რომ დღეში ერთი-ორად მომეტებულს აკეთებს ევროპულ მუშასედ... ევროპის სახელმწიფონი, რომელნიც ჯერჯერს უუწადლებას არ აქცევდნენ აქამდის ხალხის განათლებას, დიდად დასჯილ იქმნენ.

ინგლისის ისტორიის იღბიანი მსვლელობა, მეტად მარჯვე მდებარეობა ოკეანეში, ბუნების სიმდიდრე და თავისუფალი სახელმწიფო დაწესებულებანი ფრიად სელს უწყობდენ ამ ქვეყანას და იგი უნდა ყოფილიყო უბედნიერესი სახელმწიფო მთელს კაცობრიობაში: მაგრამ რასა ვსვდავთ? უფრო მომეტებული ნაწილი ინგლისის ხალხისა იმისთანა სიღატაკეშია, რომ მილიონ ნახევარი მცხოვრები მხოლოდ მოწყვლებითა სცხოვრობს; არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ მოიძებნება შუა საუკუნის იმდენი მავნე დაწესებულებანი, როგორც ინგლისში, არსად არ სუფევს ისეთი სასტიკი ექრანხიული ქვეშევრდომობა, როგორც იქა. რამ შეუძლავ კვადი ინგლისსა და რამ დაატრიალავ მასში ამოდენა მორვეი ვაჭარებისა და უბედურებისა? ხალხის განათლებლობამ. ინგლისის მმართველობა ან სრულიად არა სრულადა ხალხის განათლებისათვის, ან ძლიერ ნაკლებ. მის აზრით თვითონ ხალხს თავში ქვა უნდა ეცა და, თუ სურდა, თავის ნებით და ხარჯით გამძარტინა სკოლები. ინგლისის მკამშულეთა და ვაჭართათვის ეს სასარგებლო იყო. რადგანაც უმეტარი ხალხი უფრო მხელად გამდიდრდა მათის უფრომჭრილ ყობიდავან; მაგრამ თვითონ

ხალხისათვის კი ეს გარემოება შეიქნა დამღუპავი. ესაა ინგლისში მრავალი სიმდიდრე და ცოდნა ტრიალებს, მაგრამ ვისთვის? მხოლოდ უმცირესის ნაწილისათვის. უმრავლესობას კი მხოლოდ თვალები ებრცება შორიდგან და მისი წვალებს მატულობს სიმდიდრის ცქერით, რომელიც იმისავე ოფლით და შრომით აწის მღვებულა.

ამ გვარსავე მაგალითს წარმოგვიდგენს საფრანგეთის ისტორია. ანა ჭეჟუანას არ გამოუჩენია იმდენი მხნეობა, გაბედულობა და თავგანწირულება თავისუფლებისა, ძმობისა და ერთობის მოპოებისათვის, რამდენიც აღმოაჩინა საფრანგეთმა; მაგრამ ბოლოს სწამდის ყოველივე იმამოდ მიდიოდა. ყოველის გამარჯვების შემდეგ თავისუფლების მზე მხოლოდ რავდენსამე თვეს უნათებდა ამ სავერველს ხალხსა და მერმე ისევ ხანგრძლივი სიბნელე დესპოტიზმისა და მფარდებოდა ხოლმე. ესე ხდებოდა იმიტომ რომ საფრანგეთი ასაღ შენობას სასულჰი-ოფო წყობილებისას ზევიდგან იწყობდა და ყურადღებას არ აქცევდა მაგარის საძირკველის ჩაყრას; მისი თვალი მიზურობილი იყო შუა ღ მალაღ წოდებისაკენ და დაბადის ხალხის გონების განათლებისათვის სრულიად არა ცდილობდა. ხალხის უმეტრებაზედ აშენდა პირველის ნაზოდუონის დესპოტიზმი, იგივე უმეტრება იყო ბურბონების მიჯლობელობის საძირკველი, ამგე უმეტრებაზედ დაამყარა თავისი გამრეგნელი და ქვეყნის დამღუპველი სისტემა ნაზოდუონ მესამემ, რომლის პეებიცისტებმა აშკარად დაანახვეს განათლებულს ნაწილს საფრანგეთისას, რა საშინელი ძალაა ხალხის უმეტრება დესპოტის ხელში და რა უდიდესი შეცდომა მოუვიდა საფრანგეთს, რომელსაც ისე ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ხალხის განათლებას. სრული ჭეშმარიტება აღიარეს მათ, ვინც საფრანგეთის და პრუსიის ომის

შემდეგ სთქვას: სასაღმრთო მასწავლებლებმა სძლია საფრანგეთსა. დიდად, გერმანიას საშინელი მოკავშირე ჰყავდა თავის მტრისათვის საფრანგეთთან ომის დროს, და ეს მოკავშირე იყო — უმეტრება საფრანგეთის დაბალის ხალხისა. იშვიათი, თითქმის უმაგალითო უბედურება დამართა ხალხის უმეტრებამ საფრანგეთსა. სხვა უიმისო ქვეყნას ეს უბედურება ძირს დასცემდა, მიწასთან განადგურებდა; მაგრამ სასიხარულოდ ყოველის კაცობრიობის მოყვარისა, საფრანგეთმა ამოიჩინა საღმრთო ძალა ამტანელობისა, და საკვირველის მხნეობით შეუდგა ძირიანად ამოფხვრას თავის უმთავრესის სენისას. ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში საფრანგეთის რესპუბლიკამ ხალხის განათლება ისეთი ფესვად დააყენა, რომ ათის წლის წინად ყველა სახელმწიფოურად უკან ჩამოიხრებოდა საფრანგეთის ახლად ყველას წინ გაუსწრო სასაღმრთო განათლების ორგანიზაციით. ეს ორგანიზაცია ახლად მომავალშივე დიდს ნაყოფს მოუტანს ამ ქვეყნისა და ძირიანად შესცვლის ხალხის გონების მდგომარეობას; ნასწავლი ხალხი შეიქნება შეურყეველი ბურჟუაზიისა, თავისუფლებისა და თანასწორობისა და ყოველად შეუძლებელს გახდის მოკვლენას იმ გვარ ავანტიურისტებისა, როგორც იყო ნაპოლეონ ბონაპარტი.

ახლანდელი ბრძოლა პრუსიისაში ბისმარკსა და შარლ-მენტს შორის ცხადად გვიხატავს, თუ რა ძნელია ხალხის თავის აზრს და მოტყუება, როცა მას სწავლა მიუღია თუნდაც იმისთანა მიმართულებით ვიწრო სკოლებში, როგორც არიან გერმანიის სკოლები. ბისმარკს დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიის წინაშე; თუ იგი ესლა ერთს და მძლავრს სახელმწიფოს წარმოადგენს, — ბისმარკის მეოხებით; ბისმარკი არის დიდის ტყუის, იშვიათის ნიჭისა და რწინასაკით მტკიცე

ხასიათის შიში და ამასთან უზომო ნდობა აქვს მისი იმპერატორს. უსწავლელს ქვეყანაში ამასთანავე შიში რასაც მოინდომებდა იმას იქმნა, რადგან ხალხიც მას დიდის წაღილით კვერს დაუქრავდა. მაგრამ გერმანიაში კი ბისმარკს ძალიან უჭირდებოდა იქნებოდა გასული და კერძო ეწევს თავის გულის-წაღილს, რაგორც ეტყობა. რა თანები არ ჩაიღინა, რომ სასჯელმწიფოს მართვა მართლ თავის ხელში ჩაეკლდა და მართლ თავის ნებაზედ ეტარებინა; დაბალის ხალხის მდგომარეობაზედ დიდი გულის-ტკივილი აღმოჩინა, რასაკვირველია, სიტყვით, — სოციალისტობაც კი დაიწყო და ხალხს ეუბნებოდა: ოღონდ ჩემს ნებაზედ მოაგდე საქმე, ჩემის აზრების თანამგებობის აღმოჩენიე დემოკრატობათ, და მე ვიქნები სეთი მზრუნველი მამა, რომ საუკეთესო კეთილ-დღეობას დაგამყარებო. მაგრამ გერმანიის ნასწავლმა ხალხმა ეს შანსი გასცა: ვერ მოგატოვია! რომელ თავის-ნება კაცს დაუწყებია სასჯელმწიფოში კეთილ-დღეობა, რომ შენ დაამყაროგო. ჩემი გაჭირება, ჩემი ღსენა, ჩემი საქმეები მე უფრო უკედ მესმის, მე უფრო შემტკივა ქვეყნის სიკეთებზედ გული და ისე რეგენი როდი ვარ, რომ სასჯელმწიფოს მართვა მთლად ხელდასმ გაუშვაო, — და გაუგზავნა პრეზიდენტში ისეთი დემოკრატები, რომელნიც სასტიკი მოპირდაპირენი არიან ბისმარკისა და ერთს საბოჭსაც არ დაუთმობენ მის თავის-ნებობას. ეს შეუზოვარი ბრძოლა მძლავრის ბისმარკის წინააღმდეგ ცხადად გვიმტკიცებს გერმანიის ხალხის მომწიფოებობას და უჭადის მას მოკლე ხანში ბედნიერს და დიდებულს მომავლასა. . .

საქართველო ეკუთვნის იმ ქვეყნების დასსა, სადაც ხალხის განათლება უდიდესს საჭიროებას შეადგენს და სადაც მას შეუძლიან უდიდესის სიკეთის მოტანა. რუსეთზედ ამბობენ,

გლეხების სახელმწიფოა. ეს სიტყვები მომეტებული სიძარ-  
 თლით შეიძლება ითქვას საქართველოზე. ერთ მილიონ ხალ-  
 ხში ასი ათასი ქალაქის მცხოვრები არ ურევია, თითქმის მთე-  
 ლი ქართველობა სოფელად სცნოვრობს. თვითონ ქალაქებ-  
 შიაც მომეტებული წილი ქართველებისა მუშა ხალხს შეადგენს.  
 ვაჭართა წოდება ჩვენში თითქმის არ არსებობს, თავად-აზნაუ-  
 რობას, როგორც წოდებას, მოძავლი არა აქვს. ერთის სიტ-  
 ყვით მთელი ჩვენი ქვეყანა შესდგება თითქმის მარტო მეოთ-  
 ხე წოდებისაგან. ამიტომ ჩვენის ქვეყნის ბედი და უბედობა  
 დამოკიდებულია ამ წოდების აღორძინებაზე, ხალხის წარმა-  
 ტებაზე. ამ აღორძინებას, წარმატებას ჩვენ თავის დღეში ვერ  
 მოვესწრებით, თუ ხალხის განათლებას მხნედ და მსურველ  
 გულით არ შეუდგებით, თუ ღვიძლის დედის სამსახურს არ  
 გარეწვით და თუ დედი-ხანჯლის ანბრად დავტოვებთ მას.  
 სკოლებმა, განათლებამ ჩვენი ხალხი გონებით უნდა განავითა-  
 როს, სწეობით აღამაღლოს, დოვლათი შესძინოს და კეთილ-  
 დღეობა დაუმყაროს. სახალხო სკოლა ამასთან არის უკეთესი  
 დონისძიება ჩვენის ვინაობის აღდგინებისათვის. ჩვენი ლიტერა-  
 ტურა, ჩვენი მწიგნობრობა იქამდის ეკოვლებს ორთავ ფეხებით,  
 იქამდის იქნება დონე-მოკლებული და გაუღენით უძღური, მა-  
 ნამ ხალხი არ დაიწყებს ჩვენის ნაწარმოების კითხვას, და კით-  
 ხვას მხოლოდ მაშინ შეიქნება მისთვის აუცილებელ საჭირო-  
 ბად, როდესაც იგი სკოლას გაივლის. ყოველი დაბნელება,  
 რომელიც ვი ხალხის განათლებას უშლის ჩვენში, უნდა გზიდ-  
 გან ჩემოვაცდლოთ მას, ყოველი გარემოება, რომელიც ამ  
 გზასკად გადაკველობება, უნდა გაუქმებულ იქმნას. ყველაფერ-  
 სკად უწინ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის განათლება მხე-

ლი და რთული საქმეს და ითხოვს განუწყვეტელს სიბეჯითეს და უხვს შეწირულებას. გრძობით აქ აწაიყენი გაკეთდება.

ვერძისში კერძო საზოგადოებისა, საღვთის განათლების დასახმარებლად დაარსებულნი, ყოველ-წლივ მიღიონობით ეწევიან ამ საქმეს. ჩვენ კი წელიწადში რაღაც საცოდავს სამას-ათხასს თუძანს კაწოდებთ წერა-კითხვის საზოგადოებას და ძაღიან ვუწერებთ, რატომ ორის წლის განმავლობისა ქართველობა მთლად არ განათლეთ. იმის მაგივრად რომ ჩვენი გულ-გრილობა გავამტყუნოთ, ის გულ-გრილობა, რომელიც კქვის მანათის მიწოდებასაც წელიწადში შეუძლებელს საქმედ ქსდის, ჩვენ გადავწოლივართ საზოგადოების მმართველობას და მისი კიცხვა ყოველ-დღიურ უსაქმო — საქმედ გაგვიხდია. ანა, ბატონებო. გაუგებრობით, ღანძლით, ვინებით, ჭკობით, ცილის-წამებით, მოქმედების გადასწავლებით და ბავშურის სიბრძნით რომ საქმე კეთდებოდეს, აქამდის ჩვენი ქვეყანა ასის ვერისის სიშორესედა გაუწრობდა მთელს ვერძისას. მაგრამ ყველა ეს შემოვლილობა ადამიანისა მხოლოდ ხელს უწყრავს საზოგადო მოქმედებას და წარმატებით მსვლელობას ერთი-ათად უძნელებს. თუ ჩვენ მართლად გული წრთელად გვიძვირის ხაღის განათლების წარმატებისათვის, თუ ფართი-ფურთობის აქით რაიმე ხამდვილი გრძობა და წადილი გვიღვივის, ჩვენი ყოფა-ქცევა ძირეულად უნდა შევცვალოთ: გულ-წრთელად და-კვხმართ საზოგადოებას ყოველის ღონისძიებით, მივაწოდოთ დროსედა, რამდენისაც შეძლება გვაქვს, მოვუძმართოთ ხელი სახალხო სკოლების დამართვას; სადაც კი ენა მიგვიწვდება ყველგან ვაქადაგოთ საჭირებასედა და მნიშვნელობასედა ხაღის განათლებისა, თვადი და ყური ვადვიროთ საზოგადოების მმართველობის მოქმედებასა, მივსცეთ აწონილი და გონივრული



ჩვენს, ვიხატოთ მის შეცდომილებასზედ, გვასხვოდეს, რომ უოკელი ჩვენგანი ზნეობით ვაღებულის სწიოს ის უღელი, რომელიც მხოლოდ მმართველობის წვერების კისერზედ დაგვიდგია და გადავეჩიოთ იმ ბავშუს — ბრიუელს კილოს, რომელიც გონიერს და დარბაისულს ადამიანს სრულიად არ შეჭყერის, რომელიც ჩვენ, შვილველებს, გვარცხვენს საზოგადოების წინაშე და უკარგავს ჩვენს სიტუვას და ნაწერს უოკელს მნიშვნელობას.

ჩვენ ვიხენტ საშინელს წვრილმანობას ამ საქმეში უფრო იმიტომ, რომ მისი დიდი მნიშვნელობა სრულიად არ გვესმის. ევროპა, რომელსაც ახლა შეგნებული აქვს საღსის განათლების ძლიერი გავლენა ქვეყნის ბუდის ტრიალში, მოქმედობს სრულიად სხვა გვარის იარაღით ჭ ისეთის უურადღების დამყარებით და მხნეობით ებრძვის საღსის უმეტრებს, რომ ჩვენ დროს დაერქვა შედაგოგიური დრო, შედაგოგიური საუკუნე. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ დროს მოთხოვნილება გვესმის, გვესმის საღსის განათლების მნიშვნელობა კეთილად წარმართვისათვის საღსო ბრძოლისა, რომელმაც ჩვენშიაც ბოლოს დროს ცხარე მსგელობა მიიღო. დავამტკიცოთ, რომ შეგნებული გვაქვს შემდეგი მრავალ-მნიშვნელობიანი სიტყვები ერთის გამოჩენილის ინგლისელისა: მომავალი ეკუთვნის სახალხო სკოლას; მალე დადგება დრო, როდესაც ქვეყანას მოინადირებს, უმალღეს პატრიცისციმას დაიმსახურებს სახალხო მასწავლებელი.

\* \* \*

გულ-დაწვეკით ცაზედ ვეძებ  
ხემის ქვეუნიხს ბედის ვარსკვლავს,  
მაგრამ მისი უჩინრობა  
სულს მიწუხებს და გულს მიწულავს.

სად ხარ, სადა, ჰე ვარსკვლავო ?  
გულადებით გულის ძეგლით ;  
უშენობით წამთრის სუსხით  
გავთოშდით და დავიძეკით.

აკი ძველად ბრწყინვალეობით  
თავს ადექი შენს ივერსა,  
და ბრძოლის ველს უნათებდი  
სასკლავანს იმის ერსა,

აწუ გვაჯით გამობრწყინდი,  
სხივნი შენნი მოგვყარე  
და ესდენ სხის შავი ბინდი  
გაჭუანტე და გადაჭყარე.

ი. ბაქრაძე.

\*  
\* \*

ტურფა ვარდად,  
დაუმჭვინარად,  
მსურს სატრფოვო მარად იყო,  
მე ვი ჩიტი,  
ანუ გვერტი,  
თავისუფლად მივრენი ვიყო,  
რომ შენს გულში,  
ადგინებულში,  
გაგაგათო ტრფობის ბუდე,  
ზამთარ-ზაფხულ,  
დღე ღ ღამ სულ,  
შენს სიტურფეს დაუმღეროდე.  
და იმ მღერით,  
გულის ძვერით,  
მთა და ველი იმეობოდეს;  
ვინც ისმენდეს,  
ყველა სძვერდეს,  
და ჩვენს ბედსა დანატროდეს.

ი. ბაქრაძე.

1881 წ.

## ნახული და გაგონილი.

(მგზავრის უნიშვნები).

თბილისიდან გასვლა.—თელეთის აღმართი.—ცალ-მხარეს თბილისი, მეორე მხარეს სომხეთი.—ჩემი მგზავრი და ადამის-უასის-სებური ბაასი.—მარაბდა.—არახლო და არღლი.—არეული მოსახლოება.—კაცის კვლა - ქათმის კვლა.—ნემეცების კოლონია.—გლენ-კაცის აწინდელი ჩივილი.—უცხო-ქვეყნელები ჩვენში.—მინისა და ყველის ქარხანა.—ნემეცები თრიალეთში.

ცივს ნოემბრის დილას მე და ჩემი მგზავრი გავკვდივით ცხენებით თბილისიდან და შევედგეთ თელეთის აღმართს. შირველი სოფელი, რომელსაც ჩვენ გავივლიდით, უნდა თელეთი უოფილიყო. თბილისიდან ორი გზა მიდის ამ სოფლამდის, ერთი ურმისა და ქაეტონისა გარშემო უვლის თბილისის სამხრეთით ამაღლებულს მთას და მეორე, თითქმის ერთი-ორად უფრო მოკლე, გადადის შირ-და-შირ ამ მთაზედ. ეს მოკლე გზა, კლდე-ღრეებში რას წკალებითა და ტანჯვით გამოქანდაკებული და ათასს აღაგას მისვეულ-მოხვეული მართო ქვევითის ხალხისათვის არის კარგი და ცხენიანებისათვის, თუ, რასაკვირველია, ესენიც აღმართზედ დაიქვეითებენ. რომ გორც მოგასხენეთ, იყო დილა და ქალაქიდან თითქმის მგზავრი არავინ გამოსულიყო; ქალაქისკენ კი კარგა ხალხი მოდიოდა: ჩვენ შემოგვხვდნენ წინ სამიოდ სოფლელი დედა-

კაცი; იღლებში ზოგს ვარები ამოეჩანა, ზოგს კვერცხებით სავსე კალათი; ცოტა უკან მოდიოდა მძიმედ დატვირთული ვირი ისევე ამ გვარზე სოფლის ნაწარმოებით, და თან ხტომითა და თამაშობით მოსდევდენ პატარა სოფლები ბიჭები. გავცდით კიდევ პატარა გზას, გვერდზედ ნახად-წამოსხმული სოფლები შემოგვსდენ და მწკრივად მიეშურებოდენ თბილისისკენ—მწკრივად იმიტომ რომ ვიწრო ბილიც-ზედ ორის კაცის ერთად გავლას შეუძლებელი იყო. ეტეობა, ამ სერზედ და სერს იქით მდებარე სოფლები დიდს მონაწილეობას იღებენ ქალაქის ვაჭრობაში, თუ კი ათის-თორმეტის გერსის სამხელე გზის გავლას არ ერიდებიან, აღონდ ერთ ვარაში ან ერთს კალათს კვერცხში ათი შაური ან ერთი მანათი აიღონ და ისე იმავ სატანჯავ გზით საღამოზედ შინ მიიტანონ.

გიორგობისთვე იყო, მაგრამ ოფელში ვცუწავდით ჩვენც და ცხენებიც, როცა მალეობ სერზედ აკედით და ორსავე მხარეს ჩინებულ სურათი წარმოგვიდგა. ჩრდილოეთით მოსხანდა თითქმის მთელი თბილისი, მოსლოდ მთა-წმინდის ეკლესია მერცხლის ბუდეხავით მთის იღლიაში შემალულიყო და მარტო ერთი კუნჭული-და უჩანდა. შორიდან ეს უხარ-მხარეი ქალაქი მკვდარს უძრავს ქალაქს ჭკვანდა და სიცოცხლე მოსლოდ ბუსრებიდან ამოსულს კვამლზედ ეტეობოდა და გაურჩეველს, თანახარს ხმაურობაზედ, რომელშიაც ოდნავ მოისმოდა ხარების რეის ხმა და კარვად გარკვევით ყურების-კამომტედი წვილი. გავარჩიე კიდევ მიზეზი ამ წვილისა, შორს, ქალაქს გარედ, მოსხანდა ორთქლით მატარებელი და ხამუშხამუშად ისვროდა ბუსრიდან შავს, გატყვარტლულს კვამლსა.

მეორე მხარეს, სამხრეთისკენ, სხვა სურათი წარმოვიდ-

გებოდათ; გადაძლილა, უტყუარ მინდვრები, მარცხნივ დაკლავ-  
ნილი მტკვარი, მარჯვნივ, მთის კალთებში მიკუნჭული ჰა-  
ტარ-ჰატარა სოფლები და შორს, სამხრეთისკენ მთები, რა-  
მელნიც ერთი-ერთმანერთს თითქო ზურგს უკან ამოჭყვარე-  
ბოდენ და მხოლოდ მათი წვერები სხვა-და-სხვა ფერად გა-  
მოსჩინდენ ცის კამარზედ: დაბლა შავის ტყეებით დაფარულ-  
ნი; მაღლა ესლა მოშიშვლებულნი, მაგრამ წაფხულაობით ამ-  
წვანებულ სამოკარ ბალახით მოსილნი; კიდევ უფრო მაღლა,  
მთის სერებზედ, გაუდნობელის თოვლით დატვირთულნი.

სახოგადლა ხასიათი თბილისის არე-მარისა არის უტ-  
ყუაბა. თბილისის მცხორებობათვის ამის მაგალითებით და-  
მტკიცება საჭირო არ არის. ყოველის მხრივად თბილისს მო-  
ტიტვლებული, უნაყოფო, კლდიანი მთები სხვევია, მაგრამ ამ  
მთების მეორე მხარეებიც მოკლებულია ხე-ტყეს. სერის გა-  
დაღმა, მთის კალთებზედ მდებარე სოფლები: თელეთი, ყუმი-  
სი, ერტისი, ვაშლევანი და სხვ. შესანიშნავნი არიან იმითი,  
რომ ჩრდილოეთის ციკს ქაჩს აწვითარნი გაგლენა არა აქვს  
მათზედ. აი ამითი აიხსნება, რომ სადაც კი ამ სოფლებში გე-  
ნახნი და ხეხილი არის გაჩენილი, ყველგან ტკბილი და გემ-  
რიელია. ხილისა და ყურძნის სიტკბო იმ შაქრის სიმკვრეზედ  
არის დამოკიდებული, რომელიც წაფხულის განმავლობაში  
ჩნდება მათს წვერში. და რაც უფრო მხურვალე მზე დაჭყურებს  
ხეხილს და გენახს, და რაც უფრო ჩრდილოეთის ქარები არ  
აწვიებენ მათს არე-მარეს, იმდენად შაქარი მეტი კეთდება და  
ხილიც უფრო ტკბილი გამოდის. აი ამიტომ არის მაგალი-  
თად ქალაქში გათქმული სიტკბოთი ყუმისის ლელვი.

მაგრამ მუდამ სამხრეთის ქარების ბერვას და სამხრეთის  
მინის სიმხურვალეს თავისი ცუდი თვისებაც აქვს. შემოსხენე-

ბუღს სოფლებში წყალი ნალექები არის და გვაკამ მალე იცის ჭინწახულის ამოგდება. მათ მოტიტვლებულ მინდვრებს მწერნიც უფრო ეტანებიან და თბილისის არე-მარე საუკეთესო საბუღანთაგანია კალიისა და სხვა მავნებელ მწერთათვის.

მაგრამ მგონი მკითხველს მოსწეინდა უსულო საგნებზედ ამდენი ლაზარაკი; მგონი იმასაც მოუნდა ამდენ «აღწერასთან» ცხოველი სიტყვა გაიგონოს, წაიკითხოს კისტანბე ნალაზარაკი. ბარემ მეც მომწეინდა, ბარემ მეც მომწეუერდა ცხოველი სიტყვა, მაგრამ რა გაეწეობოდა: გვერდით, მარტალია, ჩემი თანამგზავრი მომდევდა, მაგრამ მე და ის ერთმანერთისათვის უსიტყვონი ვიყავით. ის იყო თათრის ჩაფარი, მარტინის თათრით შეარაღებული, მაგრამ სიტყვა-ზასუს მთვლებული ყოველს ენაზედ, გარდა თათრულისა. მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ერთი სიტყვაც არ ვიცოდი თათრული და გული კი მერჩოდა გამთვლანაზარაკობი ვისმე. ვინავე ჭერ ქართულად: ჩემმა მგზავრმა მხოლოდ ორი სიტყვა იცოდა: «კარგია» და «ცხენია», ალბად «ქურდობაც» ეცოდინებოდა, მაგრამ ჩემთან არ გამოუთვარაკებია. ვინავე მასუკან რუსულად; რუსულადაც მხოლოდ ცხენის სახელი იცოდა; მეც მოვიინდომე ქართულს ენაში თათრულის სიტყვების გამოძებნა; მომაგონდა «ალაზ», «ვერდი», «აზში», «იოლ» და შესაფერი მნიშვნელობაც ვუზოვე, გარდა «იოლისა», რომელიც «აზინდი» მეგონა და «გზა» კი გამოდგა; ათამდის ჩამოვითვლევინე თათრულად და ამ ორიოდ სიტყვის შემწეობით მოწრეთ საყველ-პურო ლაზარაკი, რომელშიაც, რასაკვირველია, გრამატიკის ყოველი განონი უარ-ყოფილი იყო და მხოლოდ სიტყვების ფესვებით ვლანაზარაკობდით. ჭილლოლოგი რომ ვყოფილკვიყავ, შემქმლო, დაკვირვებობი ჩვენს ბასს და გამოძერწო ის განონები, რომ-

მღებზედაც არიან შემდგარნი ზოგაერთა ზირველის ხალხის  
ენები უმიძოხებრად და უგანგულადობად.

გავრდით თუჯეთს, მარჯვნივ დაგვიჩნა ყუმიანი და მარ-  
ცხნივ ყუმიანის პატარა ტბა, რომელიც უწინდელს დროში  
ბევრად უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამას ამტკიცებს ის  
ტრიალი საჩუქრავით მოკრიალებული მინდორი, რომელიც მას  
ჩრდილოეთით აკრავს. ეს მინდორიც უწინ ტბის ბსკერი იქ-  
ნებოდა, ამოვესებოდა ქვიშით უსწორ-მასწორო ალაგი და მი-  
იღებდა იმ გადაბტყელებულს სახეს, რომელიც ისე აშკარადა  
სჩანს ესლას, ტბის დაშრობის შემდეგ.

მიკვდილთ გოდას და ჩამოვსტით დუქანში ზურის საჭმე-  
ლად. შედუქნემ ყველაფერი გვიშოვა, გარდა ხორცისა; ხორც-  
ზედ კი ბოდიში შოითხოვა, დღეს პარასკევია და შაბათობით  
როცა გამოგველათ, ბევრს გიშოვდითო. შობის მარხვა იყო  
და მე ვამაგვირავ ამ შაბათ-კვირის განხევამ; მაგრამ თურ-  
მე გოდას სომხები უფრო ბევრნი სცნობენ ქართულებ-  
ზედ, თუმცა სომხობა არაფერში ეტყობათ, გარდა რჯულისა  
და თავიანთ წესზედ მარხვის შენახვისა. ესლას მომაგონდა,  
რომ ამას წინაღ გაზეთი «მშაკი» სჩიოდა, გოდაში სამოც  
კომლამდე სომეხია და ერთმა არ იცის სომხური ლაზარაკია.  
მხოლოდ შედუქნებს დასტურობათ «მოქალაქობა» მათ მო-  
ტურტლულს წინ-საფარველ, გაქონილს კოტიტას ხელებზედ და  
ფულისათვის მეტის-მეტის ზრუნვისაგან დაჭმუჭნილს სა-  
ხეზედ.

რომელი სოფლებიც კი თბილისსზედ ახლო მდებარებენ,  
მეტო სიკეთე და სიძლიერე ეტყობათ. მაგრამ, რაც მეტს მან-  
ძილს გაივლით, სიღარიბე უფრო ძლიერად იჩენს თავს.  
გოდაში და იმის იქით მდებარე სოფლებში უფრო ხშირად



შესვლებით მიწურს სასულებს და გაუზიდავს ნესვის გრძობებს  
 ეზოებში, ვიდრე თელეთს და ყუმიანს.

კლდედამ ოთხის ვერსის მოშორებით, ალგეთზედ ქვეს  
 სოფ. მარბდა. რამდენი ძველებური და აწინდებური მოგონე-  
 ბაა ამ სოფლის სასულებთან შეერთებული: მარბდელი არსენა,  
 მარბდის ბრძოლა, ცხრა ძმა სენსეულად ეერთად მოკლულნი  
 იმ ომში, რომელიც მეთექვსთუთარის პირველმა გაუწია შაჰ-  
 აბასისაგან «სპითა დიდითა» წინამორბედისაგან ერჩინაშს; იგი  
 თეიმურაზ მეორისა ლეკებთან და მათი ძლევა.

«აჭა, ცხრა ძმანა, სასულ-განთქმულნი,  
 ძმანა გულითად შეთვისებულნი;  
 ვით წმინდა მსხვერპლი, ცად შეწირულნი,  
 ერთს უამს, ერთს ომში, ერთად დაკლულნი!

(ო. გრ, ორბ. ლექს. «სადღეგრძელო.»)

ალგეთზედ ორად იყრება გზა. ერთი მიდის მარჯვნივ,  
 აღბუღალისკენ, მეორე მარცხნივ ნემეცების ვალახისკენ, კატე-  
 რინძელდისკენ, სადაც მე ვაპირებდი იმ ღამეს დაჩენას. ალ-  
 გეთამდინ მოსახლობა სულ ქართველობა და სომხობაა და  
 სომხობაც ისეთი, რომელიც წინთა, ჩვეულებით და ერთ სრუ-  
 ლებით შეთვისებულია ქართველებისაგან. ალგეთს იქით ვი-  
 ირევა ხალხი. აქა სცხოვრობენ თათრები იმისთანა სოფლებში,  
 რომელსაც წმინდა ქართული სასულები აქვთ, სცხოვრობენ  
 სომხები, ნემეცები, ქართველები, მაღაკები, დუხობორები;  
 ერთის სიტყვით ამ ალაგებს უტოლობათ ის აჭრელები, რაც  
 საზოგადოდ წილად სვდათ მსუბუქად დასახლებულ ქვეყნებს  
 კავკასიაში. აქ გადმოუხსნალებიათ რუსეთიდან მაღაკები, დუ-

სობორები, რომელნიც განთქმულნი არიან თავიანთ წმინდა და სუფთა ცხოვრებით, შრომის-მოყვარეობით და რომელნიც იმიტომ გამოუდგენიათ თავიანთ სამშობლოდამ რომ მათი ღონე-კები და საეკლესიო წესები მტერიყოდენად განსხვავდებიან მართლ-მადიდებელთა წესებისაგან. სადაც კი შეხვდებით კავკასიაში ამ სექტანტების სოფლებს, ყველგან კეთილ-დღეობითა ჭეკავიან, ყველგან უხვად აქვთ მიწაც, მიწის მოსავალიც და ყველგან ერთმანერთში მეგობრულად, ძმურად სტროვობენ.

მარტო უგანასკნელის დროის ამბავი არ უნდა იყოს ამ მხარეში უცხო-ჭკვეულების გადმოსახლება. აქაური თათრებიც, უეჭველია; სათათრეთიდან გადმოსახლებულები უნდა იყვნენ. ამას, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ თითქმის ყველა თათრის სოფელში არის დანგრეული ეკლესია; ვინ იცის, ამ ეკლესიის ძეგლებების ჩამომავალი სპარსეთის რომელს კუთხეში იყვნენ დასახლებულნი?! გადმოცემა მოგვიხსენებს, რომ შან-აბაზმა ასიათასზედ მეტი ტყვე წაიყვანა საქართველოდამ სპარსეთში და მათ მაგივრად თავისი ხალხი დასახლდა, რომ ამით უფრო მეტიცდ მოეკიდა ფეხი საქართველოში. უეჭველია, რომ რაკი ეს საქართველოს ნაწილი, ესრედ წოდებული სომხეთი, შან-აბაზის ჯარის სხარეში იყო, აქედამც გადასახლებდა ეს მძვინვარე ფენი ქართველებს და დასახლებდა თავის ჭკვეუკრობებს, თორემ უამისოდ რა არეკდა ასე თათრებსა და ქართველებს ერთმანერთში, როგორც ესაა არიან არეულნი.

მარბდიდამ ათს კერსსზედ, ხნამზედ, არის რჩი სოფელი, ერთი-ერთმანერთის შირ-და-შირ: გამოღმა ქალაგირი დანგრეულის ძველის ეკლესიით და გაღმა არახლო, ან თათრულად არღლი. რთივე სოფელი მარტო თათრებით არიან

დასახლებულნი და ერთი-ერთმანერთთან მშვენიერის ხედით შეერთებულნი. არახლეს იქით არის რამდენიმე სოფელი თათრებისა, შემდეგ ნეპეტების კოლონიას და მასუგან კიდევ ქართვლები სდგანან: ქვეში, დმანისში, მეუაში და სსუ. შიგა და შიგ შესვლებით თათრებისა და დუხობურების სოფლებსაც.

მარბდასა და არახლეს შუა სამი ცხენიანი თათარი წამოგვეწია; ისინიც ჩვენი მოზავრები აღმოჩნდნენ და ერთმა მათგანმა ძალიან კარგად იცოდა ქართული. გამესარდა და დავაზირე მასთან გამოლაზარება. მაგრამ ახალმა ნაცნობმა თითონვე აღარ დამაცალა; რა კი შემატყუა, რომ ქართველი ვიყავ, მაშინვე მკითხა ჩვეულებრივის «საღოლის» შემდეგ:

— არ გაიგოთ ბატონო, ჭუსეინ-აღა რომ მოუკლავთ?

— ვინ ჭუსეინ-აღა?

— ჩვენი ჭუსეინ-აღა. იმ დღეს ექვსი კაცი დასტემიან მოზავრად იმასა და იმის ბიჭს და სულ სმლით აუჩქნათ.

ეს ამბავი მართალი გამოდგა. სამის დღის წინაღ თურმე ვიღაც თათრები დასტემოდნენ ერთს ნაზრისტავალ აღაღარს; რაღაც მტრობა ჭქონდათ და ჯაკრი მოკვლით ამოეყარათ. ბევრი ამისთანა ამბები სდება თათრებში, რომელთაც კაცის კვლა და ქათმის კვლა ერთი ჭგონიათ; ეს მკითხველისათვის ახალი ამბავი არ არის: ზე ამის მოზავრის გაგონება აღარად მიგვაჩნია. ვინ იცის, იქნება როცა ევროპაში ვაზნავის სახელიც კი დაავიწყდეთ, ჩვენში მოგზაურობა ისევე ისე საშიში იყო, როგორც ესლას. ძნელი ეს არის, რომ თითქმის უოკელივე დონე მოსპობილია ვაზნავების საზოგადოებად.

— გაგებონება, ვის მოუკლავს ჭუსეინ-აღა, კვითხე მე ჩემს თანა-მოზავრს, როდესაც არახლეს დავუახლოვდით.

— რა მოგასსენო. ეჭვსი ალაღარი დაუჭერიათ აი ამ სოფელიდამ (იმან მიმითითა არახლოზედ) და ქალაქში წაუყვანათ, მაგრამ მოწმებს ვინ გასტყავს! მე ნამდვილად ვიცი—აქ ცოტა ხმა დაიძაბლა— რომ მკვლელები ისინი არიან: ზოგს თავის თავალითვე დაუნახავს, რაღა სჩესდენ თურმე, მაგრამ ვინ გაჭბედავს თქმასა. რომ ვისმე რამე წამოსცდეს, ისეთი დღე დაადგებათ მკვლელების ნათესავებისა და ნაცნობებისაგან, რომ სულ თავ-ბედი იწვეკლან. წაიყვანეს ქალაქში, მაგრამ პატარა ხანს უკან ისევ თავს დაადწივენ. თუნდა კიდევ საბუთები უზოგონონ რამე, თავლებობით გამოუშვებენ და მაშინ ვაი ამ მხარის ბრალი!

ამ დროს ჩვენ მივდიოდით შუა სოფელში, გვერდზედ დაგვიჩნა უზარ-მარჯარი არახლოს ციხე, რომლისაგ თითქმის დაუზიანებელი კედლები მის შედარებით ახლად ნაშენობას ამტკიცებენ. ესლა ამ ციხის გალავანში არახლოელებს ბოსტანი უთესიათ, მაგრამ ოდესმე კი ეს ციხე ძლიერი უნდა ყოფილიყო და იქნება იმის წყალობითაც დაერქვა ამ სოფელს თავის სახელი (ხელი არ ახლო!). გზის აქედ-იქით მოჩანდა რამდენიმე ალაღარის სახლი; ეს სახლები ძლიან ცოტად განირჩეოდნენ გლეხ-კაცების სახლებისაგან; ეტუობა, ალაღარებს იმისთანავე მნიშვნელობა, ანუ უმნიშვნელობა აქვთ თათრებში, როგორც ზოგიერთა ჩვენს აზნაურებს ბლამად აზნაურებით დასახლებულ სოფლებში. არახლოელებში რაღაც არა-ჩვეულებრივი ჩოჩოლდი იყო, ზოგიერთა თათრები დაფაცინცებით ჩავატყდნენ; იქნება ჩვენც ჭუსეინ-ადის თაობაზედ გამოგზავნილები ვეგონნეთ, და ეტუობოდა, რომ მთელი ის მხარე ამ მკვლელების ამბით იყო აღელვებული. ახლმა ნაცნობმა თავ-

თარძა კრინტიც ალარ დასძრავ, ვიდრე სოფელს სრულად არ გავესტილდით. ალბად უშინოდ, იმასაც მეტი სიტყვის წამოცდენისათვის ჭუსეინ-ალის დღე არ დასდგომოდა.

ამდენ უსიამოვნო ღამზარკის შემდეგ გულზედ მომეფუნა, რომელსაც დაკინახე უხვად ჩაჩუღი ალვის-სეები და მათ შორის ოთხ-თავიანი საყდარი ნემეცების კოლონიის— კატერინქელდისა. ასზედ მეტი მოსახლე უნდა იყოს ამ სოფელში და რა მოსახლე! ყველას ჩინებულნი სანლი უდგია, ბევრს ორ-ეტაჟიანი, სუფთად მოკლილი, ღამაზის მოაჯირებით; კუნახები საგანგებოდ შემუშავებულნი, სარების მაგივრად წვრილ მარგილებ-შედგომულნი; სამოკარი უხვად, სანახავი უხვად, ტყე უხვად. თავიანთ სამშობლოში ამ ნემეცებს ამოდენა მამული სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ. მამული ბევრი აქვთ, მაგრამ მინც არ დაუტოვებიათ თავიანთი გამჭრიახობა, შრომისა და ცოდნის მოყვარეობა და რა გასაკვირველია, რომ აქ უფრო უკეთესად სცნოვრობდენ, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში.

კატერინქელდში ისეთი სასტუმრო ყოფილა, რომელთანაც ბევრი ჩვენი მზრის ქალაქის სასტუმროები ნარცხნადაც არ მოკლენ. მთელი დღე ცხენით სიარულის შემდეგ კარგი მომასულიერებელი მანა იყო ზოცნია კარგის ანტრეკოტისა, ნახევარ ბოთლი ნამდვილი ღვინო და ვანშამს უკან ტკბილი ძილი, მაგრამ ეს უფრო ჩემთვის არის სანტრეკოს, ვიდრე მკითხველისათვის და ამიტომ სჯობს ისევ მალე გავიღვიძო და მალევე შევუდგე გზას.

ნემეცების კოლონიის იქით უფრო ქართველი სოფლებია, აქ ხშირად შეხვდებით ქართველს გლეხ-გაძებს, კარგად თათრულის მოღამზარაკეთ. თითქმის ყველანი ყაფლანისშვილების ნაყმეკები არიან და ვინც კი მათი ნაყმეკი არ არის, ისიც

იმისთვის მამულზედა სდგას და ნება-უნებლიედ უნდა ექმოს, თუ ან სამოკარი უნდა, ან ტყე. ტყე! ეს არის ესლას გლეხ-კაცობის გასაჭირი. საითაც არ მიიხედავთ, ყველა ამას სჩივის, ტყე შეგვეკონ და კიწაწი კვლავ გამოგვაქვს უფასოდ. საჩივარი თუმიცა სამართლიანია, მაგრამ არც ტყის თავისუფლად ხმარებით ეშველება საქმეს. ეშველება მხოლოდ მაშინ, თუ გლეხ-კაცობა შუა-ცეცხლს თავს დაანებებს და იმისთანა ბუნებებს ან ფეხებს მოაწყოებს, სადაც არ იქნება საჭირო დიდდამ საღამომდე აშრიალებულის ცეცხლის დანთება. ზოგს იქნება სიცილიადაც არ ეყოს, რომ გლეხ-კაცის მდგომარეობაზედ ვლანანაკობ და ფეხებისა და ბუნებების გამართვას ვურჩევ. რა გაწყოება, რაცა სხვა ღონე არ არის, იმისთანა ღონე უნდა ვარჩიოთ, რომელიც თუმიცა ძნელად და გვიან შესასრულებელია, მაგრამ ურთმლოდაც ის დრო მოგვეკლის, რაცა შეშისა და ფიხის მავივრად პატრივი უნდა ვწვათ.

ნემეტების კოლონიას ჩამოუდის პატარა მდინარე, რომლის ხეობასაც ავეკით მე და ჩემი მეზაკრი. ვიარეთ ოც-დაათ ვერსამდე დაბურულს ტყეში, თითქმის უგზო-უკვლად, მთის კალთებში გაუვანილს ბილიკებზედ და უმცრად გაგვდით ქვით მშენივრად მოფენილს შოსეზედ. პატარა გაიარეთ და და შიგ შუაგულ ტყეში დავინახეთ ქვით-კირით აუვანილი მღალი ბუნარი და იმის გარშემო ოცობად პატარა ქვით-კირის შენობა. ეს იყო მინის ქარხანა პრუსიელ ბარონის კურჩხანასისა, რომელიც ამ თქვესმეტის წლის წინად გადმოასახლებულს უგრემ-ოულად ჩვენში გერმანიიადამ და ესლას დიდის შემდეგობის პატრონია. იმასა აქვს ჩინებულვი ყველის ძეგრმა თრიალეთში, რომელიცედაც პატარა ხანს უკან მოვილანანაკობ, და ესლას აკეთებს მინის ქარხანას, სადაც თითქმის ხუთი-ათასი

თუმანი ფული ჩაუბნევია. შაქმან მისში თურმე ამ ადგილას გაუტეხელი ტყე იყო; ერთბაშად მოსჭიდებია საქმეს ეს მხნე და გამჭრიახე კაცი, გაუკაფავს ტყე, აუშენებია მუშებისთვის, მოურავისთვის სახლები, და დაუწევია ქარხნის კეთებაც. ჯერ ქარხანა მზად არ არის, მაგრამ ამ ორს-სამს თვეზედ მოასწრობენ მოწყობას და დაიწყებენ კიდევ მუშაობას. სწორედ გაძიოდნა, როდესაც ამ წელიწად-ნახევარს აშენებულს სოფელში ჩამოვსტი და მისი აჭრელეული მოსახლეობა ვნახე. უბრალო მუშებად იქაური თათრები და ქართველები არიან, მაგრამ მოთავკებად გერმანიიდან დაბარებულები; ესენი იმ პირობით წამოსულან აქ, რომ კუჩნებისა უმჭკველად სკოლა უნდა აუშენოს და შვილები უსწავლელი არ დაუგდოს.

კვიტხე, ვისთან უნდა ჩამოვსტარავო; თითონ ქარხანის პატრონი იქ არ იყო და ერთი ნემეცა მუშა წინ წამიძღვა და მიმიყვანა «Herr Director»-თან, ან ჩვენებურად მოურავთან, თბილს სუეთა სადგურში, სადაც დირექტორის ცოლი, პატარა ჯიუხი ნემეცის დედა-კაცი—სახქაროდ დაფარურდა და ერთს წუთს კარგი ყუათიანი საუზმე მომიმზადა.

ორის წლის წინად ამ სეობაზედ თურმე რიგიანი ურმის გზაც არ იყო, მაგრამ, რადგან თბილისიდან გუმბრამდე აქედ ბევრად უფრო მოკლედა სტრის ვიდრე ესლანდელის ფოსტის გზით, მთავრობას განეზრახა თბილისი გუმბრთან და ყარსთან ამ მოკლე მანძილით შეეერთებინა და ფოსტის გზაც აქედ გადმოეტანა. გაეგო ეს კუჩნების, ამოერჩია ეს ადგილი მინის ქარხნისთვის და მთავრობას ამ პირობით შეჰქროდა: შენ ხომ მანტ შოხეს გზას აპირობ, ეს შოხეს გზა კატარინტელამდე მანტ 1882 წლის თებერვლის პირველამდე გაიყვანე და მეც პირობას გაძღვე ამ ტყეში კარგი მინის ქარ-

ხანს ავანტიურ და ამით მთელს მხარეს «დიდი სარკებლახა» მოკუტანაო. თუ ვინცდაცა ვადაძვე კერძ მამიმზადო ეს გზა, რაი ათასი თუმანი ჯარშია გადამისადაო. აი ესლას გავიგო, რაც გზა იყო ის მშვენიერი ქვა-ტიტცილი, რომელზედაც ტყე-ღრეში სეტიადის შემდეგ გამოკვდით. რაგორ მონდა ეს რომ ამ შემთხვევაში მბრძანებელი მონად გადაიქცა და სტუმარი მბრძანებულად. . . . .

თორმეტის კერძის მოშორებით, თრიალეთის მთის კალთებში, ამავე კუნძულისა აქვს გამართული ჩინებული ჭერძა ყველისა და ერბოს საკეთებლად. რამდენიმე ათასი დღიური მიწა შეუქმნია მას მთავრობის შემწეობით, სამოკავრი სამოკრად დაუგდია და ურწყავი სათიბი ალაგები სარწყავად გადაუქცევია. შესანიშნავია მართლაც რაგორის ცდილ და მოხერხებით გაუყვანია სარწყავი თხრილები ამ უაღაგო ალაგას, როგან კლდეები თოფის წამლით დაუნგრევია და კლდის ნანგრევებით კედლები ამოუქმნებია წყლის შესამავრებლად. თითქმის ათს გერსზედ მიდის ეს თხრილები სხვა-და-სხვა მხარეს და ხუთასს დღიურს უშრობელი წყალი აქვს. ერთგან ბუნებითვე ამოთხრილ და მასუგან სელაგნებით გაგანიერებულს ტბაში გრავდება გაზავსულზედ გამდნარი მთის თოვლის წყალი და სათხულაობით ამ ტბით ირწყევს ერთი უშველებელი მინდორი. სარწყავი მიწა რაჯერ ითიბება, ურწყავი კი ერთსელ, და ამას გარდა სარწყავზედ ბევრით უფრო უჩეთესი თავა მოდის და აი ამიტომაც მოუხმარებიათ ამოდენა შრომა სარწყავის არსების გაყვანისათვის.

თითონ ჭერძაში რაზს რამდენ-და-ათ სულამდე ძროხასა, მომეტებულა ნაწილი შევიცარაიული საქონელი და ნარკვი თათრულ საქონელთან. ამას წინად რსური ძროხებიც ბევრი ეყიდ-



ნა, მაგრამ თითქმის სულ ჭიჩს გაეწვიოტა, რადგან ჭიჩი თურმე ოსურს ძრხხას უფრე ემტრება. ამოდენა ძრხხას, რასაკვირველია ბოსლებიც ბლამად მოუნდებოდათ და ჩინებულადაც არიან მოწუბილნი: ქვით-კირით აშენებულნი, მინის ფანჯრებით, და ისე განიერნი, რომ საქონელი ორპირად იბმის. საჭმელი შუაში ეძლევათ ზემოდამ; ჰატრივი დღეში ორჯერ გააქვთ და ამის გამო ყველგან სისუფთავე გააფრებს ჩვენებურს კაცსა.

ამ ჭერმაზედ კეთდება ყველი და ერბო. ყველი სხვა-დასხვა ეეროზიულს წესზედ — შვეიცარიული, ჭოლანდიური და სხვ. ზაფხულობით ნადებ მოუნდელ რმისას აკეთებენ პირველისა და მეორე სორტის ყველს და ზამთრობით კი ნადებს ჭხდიან, მისას კარაქსა სდღებენ და დანარჩენის რმისას აყენებენ უბრალო, მესამე სორტის ყველს.

ამ ჭერმის ჰატრინის სიტყვით, მას ყოველ-წლივ რვაასი თუმანი წმინდა შემოსავალი აქვს.

სწორედ მტკიცე ხასიათია საჭირო, რომ კაცმა ეეროზიულს ცხრვრებას თავი დანებოს, თრიალეთის გადაკარგულს მთებში აუხი მოიკიდოს, იქ ეცადოს თავის ცოდნისა და გამჭრინახობის გამოყენებას და მცხრვრებლებსაც თავის მაგალითით სარგებლობა მოუტანოს! სარგებლობა მოუტანოს! აქ შეეჩრდეთ ჰატარა და დავაკვირდეთ, მართლა სარგებლობა მოაქვს რამე ჩვენთვის ამ უცხო-ქვეყნელებს, თუ მართო თავანთ ჯობისათვის ზრუნვენ. ჩემის აზრით იმის შესედაც არ გვასარგებლებენ, რაც იმათზედ ისარჯება. ბარონ გუჩენბახისათვის დიდ-ძალი შემწეობა გაუწევათ და რა მოგვიტანა მერე? ჩინეთის კედლით შემოურდუდავს მას თავისი ჭერმა და ვინც კი ჩვენთაგანი მოინდომებს ამ კედელშია ჯუ-

ჯუტანის ამოჭრას, მაშინვე კირით ამოუვსებენ. რა გული შესტვივთ ცხრა-მთა გადაღმიელებს ჩვენთვის, რომ მათი ცოდნა ჩვენც გადმოგვცენ? განა არ იციან რომ მაშინ ჩვენებურები მათ მოცილებთ გაუხდებიან და მათგან ნაწარმოების სელაქნურად აწეულს დასახებს ძირს დასწივენ. საცა აქაურებს შეეძლოთ ესწავლათ რამე, აქ თავიანთ ქვეყნელებსვე ამუშავებენ და ჩვენებურებს მარტო ძრახებს აწველინებენ, ამოკებიან, ერთის სიტყვით იმისთანა საჭმეს აკეთებინებენ, რასაც უიმისოდაც შინაც აკეთებენ და ამასაც ისე მცირე ფასად, რომ გაუჭირვებელი კაცი ჩხირსაც არ გადმოაბრუნებდა. კუჩხნახის მშვენიერ ბოხლების გვერდით ათიოდ კომლი თათარი სახლობს და—სრულს ჭეშმარიტებას ვამბობ—შეჭნატრის იმის საჭონლის ბედს! ამ გადამთიელებს რომ გული შესტვივთ როდთ ჩვენთვის და მაგალითის გამოყენება შესაძლებელი უფიფიფო. განა ამისთანა მოვლენას შეკვდებოდით, რომ აღმძინებს შირუტეების ბედი შესანატრად განდამოდეთ!

ისევ ვისურვოთ, რომ ჩვენ თითონ შეგვეძინოს ცოდნა, გამჭრინახობა, შრომის-მოყვარეობა და ჩვენ თითონვე გვეჩვენებინოს ჩვენს მოძმეთათვის კარგი მაგალითი. ისევ ვისურვოთ, რომ ის შესაწევარი, რასაც უცხო-ქვეყნელებს წილდა სვდებათ, ჩვენ შეგვხვედროდეს და ჩვენსაკე სასარგებლოდ გამოგვეყენებინოს... მაგრამ ცალოერის სურვილით რა გამოვა.

## ნება რას ტირი, დედილო?

ნეტა რას ტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხსარ კერასა?  
ასი მერან გულში, მიჩნევის მტირალი ქალის ცქერასა.  
ნეტა რას ტირი, დედილო? რას ტირი მუშუს ჭირიმი?  
ჯანს იმხინ, დედილო, —სად არის ჩემი ხირიმი?  
თათარი შემოგვსევია, სწოვს და ახსრებს ქვეყნას,  
ემა ქოხს თავზე დაგვაქცევს, მოგვიტელს კენახს და ყანას.  
ნეტა რას ტირი, დედილო? —რა დროს გლავას შვილისა?  
გულში მერეს, ორგან გახვრიტეს ჩემი ჰერანგი შილისა.  
ნეტა რას ტირი, დედილო? დეე აქ კეგდო ლელოში,  
ხომ კელარ ჭინახე ურჯულოს კელარსად საქართველოში?  
ნეტა რას ტირი, დედილო? ჯერ ვერ წამოვალ შინათკენ,  
მე აქ ვიგერებ ვვაგ-ყოჩანს, თვალი მიჭირამს იმათკენ.  
ნეტა რას ტირი, დედილო? სახლზე იყავი ფთხილად,  
იმმა-ხარს მოუარევი, მარლს აღოკდე ხშირად;  
ყანა გამარგლეთ ბეჯითად არ მოერიოს ჭიოტა,  
ე ხაწა არ დამიშვიოთ, ფოცხვერს არ შემეჭმიოთ...  
ჯერ ნუხას ეტყვი შენს რძალსა, ბაღლია, ამიტირდება,  
შობამდის დავაწიწედები, აღდგომას გამიფრინდება!...  
ნეტა რას ტირი, დედილო? რას ჩამომჯდარხსარ კერასა?  
ასი მერან გულში, მიჩნევის მტირალი ქალის ცქერასა!...

თ. რაფ. ქრისტაფი.

## ზინაური მიმოხილვა.

კიდევ ლოდინი—ჩვენ რაღას ველოდით?—ლოდინით მომარ-  
თული ადამიანი რასა ჰგავს?—რის წამალა ლოდინი—თვისებანი  
ლოდინისა—ლოდინი და ერთი ლექსი რუსთაველისა—«ლოდი-  
ნი» და «სულელი»—სასყიდელი ჩვენის საკუთარის ლოდინისა—  
თ. დუნდუკოვ-კარსაკოვის დანიშვნა მთავარ-მმართველად—მიზე-  
ზი საერთო სინარელისა—ლექსი შექსპირისა—იციან თუ არა?—  
ძველი და ახალი ლოდინი—რა თვლით და რა გულით—უამი-  
სოდ სულ ფეჭ—ერთი რუსული გაზეთი და ცვლილება—ნაფიც-  
თა მსაფულები და ერობა—განათლების საქმე—სასულიერო საქ-  
მე—სახელმწიფო უცის ხმარები: საქმე—სახელმწიფო მამულე-  
ბის იჯარით გაცემა—არაყის ბაჟი—საეკონომიო გზები.

მთელმა წლეკანდელმა წელიწადმა მარტო ლოდინით და-  
სლეკინს ადამიანს მისი უსინარელო დენი. „ქსმგერდა გლახ-  
გული, ჰსტკედა სურვილის წამთა ხშირად, მლოდენი მოსწყლას  
თმენამ, მაგრამ მანც ლოდინი და კვლად ლოდინი დაწხა  
ჭეკეანას ნუგეშათა. მაგ ამო ლოდინმა სული და გული და-  
უმშია ადამიანს, სელ-ფეხი გაუბაწრა, გაუცვითა ნიჭი ნატკრი-  
სა, გაუქსუა სურვილი, მოძალა ტანში და ერთობ მოუდუნა  
მთელი აკებულება უიმისოდაც მოდუნებული. მაგ ლოდინმა  
იქამდინ ჩათრია ფოკელისფრით დაქვეითებული ადამიანი, იქამ-  
დინ დაიბრევა მისი გუნება და ხალისი, რომ სსკანკედ აღ-  
რაფერსკედ არ მახსკდა არც ჭკუა და არც გრძნობა. დიდმა  
თუ ვატარამ სული შეიგუბა, განბუღმა ფოკელივე გრძნობა

სქენადღა გადაიქცია, — აცა ხმა რამ გაინმაურებსო და ჩვენს ყურს ან გამოეშარსო. მაგრამ ამ სულ-გაკემნდილს დუმილში ბუნხას ბზუილიც აწსით იყო: თითქო ქვეყნას ენა მუცელში ჩაუნდდა, თითქო ადამიანი თავის სიტყვიერების ნიჭს გამოეთხოვარ და როგორც მეტი და გამოუსადეგო ბარგო აიხსნა და თავიდან მობოროდა.

ჩვენ მანც რას ველოდდით? რას ველოდდით? კითხვა ადვილია, ჰასუსა კი ძნელია. ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვერც ქვეყნაში ვურეკივართ და ქვეყნასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს. ჰასუსად ესეც საკმარისია.

ლოდინით მომართული ადამიანი ბაჰში დამწყვედულ პიტრუკსავით ნებეირათა წევს და იცოხნება ხელ-ხელად, ტუბილად. ამ გვარის ყოფისათვის მარტო კბილია საჭირო და მაგარი გუჭი. ღვთის მადლით, არც ერთი დაუნოგავს ბუნებას ადამიანისათვის და არც მეორე: კბილიც უჭრის საცოხნელად და გუჭიც მოსანელბეულად. ოღონდ კი საცოხნელი ჭქანდეს და სხვა არა უშავს-რა. საცოხნელი კიდევ თვითონ ლოდინია. ვერც კბილს გასწვეთს და ვერც გუჭს მოშლის, და მშიერს, როგორც იქნება გამოჭკეპავს.

ადამიანის გაბრუებისათვის და თვითონ ტკივილების დაუწყებისათვისაც მეტსრამეტე საუკუნის დასასრულმა ერთი უბარბო წამალი იმოგნა. ეგ წამალი ლოდინია. ლოდინი ბუნებოთად დინჯი რამ არის, მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარსავით მუდამ ხელ-გაწვდილი: მიაწვდი რასმეს მადლობელია და არ მიაწვდი, მანც მადლობელია. ხელ-გაწვდით და ღრეკით თუიწა ჭტავს მთხოვარსა, მაგრამ უმადურობით კი არა. მთხოვარს რომ არა მიაწოდო-რა, გულში მანც წყევლა-გრულვას შემოგითვლის, ლოდინი კი თავის დღეში მაგას არ იკადრებს.

უკუკლთვის მადლიერია და კმაყოფილი. არც ერთს შემთხვევაში არც ფერს იცვლის, არც ზნესა. გარდა ძაგისა, ლოდინი იმისთანა სასყდარია, რომ არც სადავე უნდა, არც ჯილაკის დაჭერა. ოღონდ კი თითით, ან თვალით ანიშნეთ და საითაც გნებავთ, თავს იქითა იქს შესაფერის ღიმილსა და მთქნარებითა. ამიტომაც უაღვიროდ სიარულის ნება მარტო ლოდინსა აქვს ამ შემობაწირულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიან. თავის დღეში თავს არ მოგტაცებთ კარვად დაგუშოდ ცხენსავითა და თუ მოგტაცებთ, ისე შემოგარბენებთ მთელ ქვეყნიერებასა, რომ არას გაწეწენთ. თვითონაც ისინი მოვლებს და თქვენც გასამოვლებთ. ოღონდ კი ფეხი აადგვივინეთ ლოდინსა და ადამიანის გულში ბინა გაუკეთეთ და ფიქრი და შიში ნუღარაფერისა გაქვთ.

ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქითა. რამდენიც გნებავთ ხარჯეთ, გრძობი არ გაგვიკათ. მეორე კიდევ ის არის, რომ, თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისათვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსვიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიანთ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არას დროს. ლოდინა თოკია. თუ ოსტატმა კარვად და ხერხიანად გამოიყენა, მაშინ სხნილიც დაქობის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული.

«ლოდინი სხნილსაც დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების» — ესე რომ ეთქვა რომსტეკანს თავის ქალისათვის როცა შეიქცა სვამდა, არ შეჰსცდებოდა. ნუ თუ მართლაც რაც მღვრიე წყლისათვის შაბია, ის მღვრიე გულისათვის ლოდინია?...

ეს გძელი ღაპარაკი ლოდინზედ იმიტომ მოკრთეთ, რომ ერთი ქართული სიტყვა აგვეხსნა და მისი ძირეული ძირი გვე-  
 ჰოჯნა. სხვა ჩვენ თქვამდა ანა გვეჩინა-რა და ნურც თქვენ  
 იფიქრებთ, იცით «სულელი» საიდანა გამოდის? ლოდინიდან.  
 იცით «სულელის» ძირი რა არის? ლოდინი. ანა «ლოდინი»  
 და «სულელი» საიდანა სადაა, იკითხაში. არც ისე შორს არაან  
 ერთმანერთზედ ეს სიტყვები, როგორც თქვენა გგონიათ. იმ  
 ჩაცნა რას ეტყვიოთ, რომელიც «სულ ელას და სულ ელის?»  
 „სულ ელია.“ მოჩნა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვეჩვენება.

სხვისა ანა ვიციოთ-რა და საკუთრად ჩვენთვის თერთა-  
 გაშლილმა ლოდინმა თავისი სასყიდელი და გასამკვლელ მი-  
 ილა. ამ უკანასკნელს დროს გადაწვევტილად ღაპარაკობენ  
 თ. დუნდუგოვ-კარსაკოვას მთავარ-მმართველად დანიშნაზედ  
 ჩვენში. ეს კი ან არის გასაკვირველი, საკვირველი ის არის,  
 რომ დიდსა და პატარას უსარაიან იმისი ჩვენში მოხვდა. ზო-  
 გი ამბობს. კარანტოვის ჩაცნა და თუ კარანტოვი კარგი იყო  
 ჩვენთვის, ეგონ კარგი იქნებაო. ზოგი კიდევ იძახის, უნივერ-  
 სიტეტში გამოვლილიაო, მმართველობაში კარგად გამოცდილი  
 და თუ მმართველს ეს რაი ღირსება აქვს, დიდის სიკეთის  
 იმედი უნდა გვეჩინდესო. ბეგრ-ნაირს მაზეყის ამბობენ ამ  
 სჯეროთ სინარულისს, მაგრამ ჩვენ კი სხვა გგონია. ამისთა-  
 ნა ერთიანს სინარულს ერთიანი მიზეზი უნდა გვეჩინდეს. და  
 ეს ერთიანი მიზეზი ის არის, რომ ცვლილება მოხდა. არც  
 მეტი და არც ნაკლები.

ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგონობდეთ, ცვლი-  
 ლება შეგვაწუხებდა, დაგვაღონებდა, ვაი თუ რაღა გვაქვს, ისიც  
 დაგვარგოთო, ვიტყვოდით. მაგრამ... რა, რა კარგი რამ არის  
 შექსაშირი. გუგათა-მხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის.

იმისი ერთი ლექსი მომავლენდა და თუმცა ამ საგანს, რაზე-  
დაც ვლამაჩაკობთ, არ უხდება, მაგრამ თვითონ ლექსი ისე-  
თი კარგია, რომ ვერ მომითქვინა, რომ აქ არ ამოვიწერო.

«ცვლილება არის სამწუხარო ბუნებრივიათვის,  
ბედ-გონიერი გი მას სინაზულით მიეკუთვნა.  
მაშ შენ, ჭე სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი!...  
შენ მე შთამავდე უბედური ვალების სულაში  
და რაც მიყავი, ამასუდ მეტს ველარას მიზამ.»

ამბობენ თ. ღუნდუკოვის დანიშენის ამბავს ეჭვი აღა-  
რადირისა აქვსო და ძალეც აღსრულებასი მოკაო. ასე ძალე  
თურმე, რომ იანვრის ბოლოს მოელთან სასლ მთავარ-მმართვე-  
ლის მობძახებას. ამასაც ამბობენ, ვითომც ერთი აქაური სა-  
რისსოვანი მოსელე დაუბარებიათ გადენ შეტეობურდში, რომ  
სასლ მთავარ-მმართველს აუწუოს აქაურის საქმეების ვითა-  
რება და ერთობ ყოველის მხრით აცოდინოს ჩვენი ქვეყა-  
ნა. არ ვიციო, რამოდენად ზედ-მიწევნიათ და საკმაოდ შეუს-  
რულდება სასლს მთავარ-მმართველს ეს დიად მოსაწონი სურ-  
ვილი. იქნება ვცდებოდეთ, მაგრამ მანც ვიტყვიო, რომ აქაურ  
მოსელეებში ერთიც არ გვევლება იმასთანა, რომელსაც ანამც  
თუ შეესწავლეს ჩვენი ქვეყანა, ანამედ ამისი სურვილი ჭჭონ-  
დეს და ამისი საჭიროება ეგრძნოს. ჩვენს ქვეყანას დიამბეგე-  
ბის მიწერ-მოწერით იცნობენ და დღეს აქამომდე ყველანი ერ-  
თანდ და თვითუული ცალკე ამ ცნობებით იკვებებიან. რა სი-  
რი დაგვაყარა ამ მხრით შესწავლამ ჩვენის ქვეყნისამ, ებ აშ-  
კარად ზედ ატყვია ყოველს რეჟორმას, რომელიც შემოტა-  
ნილ იქმნა ჩვენში ამ ოცს წელიწადში. არ-ცოდნა ქვეყნისა გა-  
ნა მარტო იმ საგნებს დაეტეო, რასაც რეჟორმა შეესო; ათა-



სი სსვა ტკივილია ჩვენში, რომლისათვისაც ვერ ვუწინა არ უთხარებიათ, რომელიც ვერ სძინათაც არ გაუგონათ. ქვეყნის მცოდნეს კი ებ ტკივილები არ გამოეხარებოდნ და თუ წამალს ვერას დასდებდა, დავთარში მანინ მოაქცევდა სადაღებლად.

აქამდე ჩვენის ღოდინის საგანი ახალ მთავარ-მმართველის დანიშვნა იყო ხომ, თ. დუნდუგავის დანიშვნით ამას ბოლო მოეღო. ნუ თუ უღოდინოდ დავრჩით და დავიდუშენით? არა, ბატონებო, ტყუილი შიშია, რუსეთის გასეთყობა სსვა საგანი ღოდინის აგვიანეს და გვიხარებია, ღოდინი ჩვენს გუფს არ მოჰმოდება. რუსეთის გასეთები, რაც ძალი და დონება, ნაღარასა ჰსტყენ, რომ აქაურს წესებს ცვლილება მოკლისო. აი კიდევ ღოდინი წესების ცვლილების! დიდ-ხანს გვეყოფა საცოხნელად, მერე უხარჯოა და მუქთა, რომცოდ უკვე მოგვიხსენებია.

კიდევ წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ვერ ვგადასჯედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქნას ის, თუ რა თვალთ და რა გულით უნდა გვიუფრონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსასდრულ და ბეჯითად განმარტებულ—თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. რომ არავინ დაგვიძმოს მიდგომით ღანარაგი, ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწოდლის ნათქვამს ამ საგანზედ: «ჩვენ, რუსებო, ამბობს იგი\*»), არ უნდა დავივიწყოთ თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიტყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორნი ძმანი ვართ და არა მძღავრი ბატონები, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში,

\*) Русская рѣчь. ნოემბერი, გვერდი 225.

მისთვის რომ ქართველადვე დაჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შიანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართველს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოზოგებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა იმოდენად ჰატივი უნდა ვცუთ, იმოდენად მხარი მივცუთ და სული შევუწყუთ, რამოდენადაც ყოველს იერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწოდებს, ერთი მეორეს შეემსგავსებს და ანა იმაში, რომ ერთის აღმინაობა მეორეს ძმურად დაედოს, ერთმა მეორე ჩაუვლანოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ერთობა ერთ ნაირად ბუნებრივია და ერთ ნაირად განხილვით, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება.»

ცვლილების სურვილს რომ ეს კაცობრივი აზრი ააყოლონ, მაშინ ცვლილება სულ სხვა ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ჩვეულება წელში გაიძარტება, იქნის-გაიძარტებს და იქნის-გაიძარტებული თავისთვისაც გამოსადგობი იქნება და სხვისთვისაც. სხვა გზა და სხვა აზრი ტყუილია და ყოველივე ცვლილება, რომელსაც საჩუღად ეს აზრი არ დაედება, წყალის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო.

განდა მაგის ესეც წინადადეგ ცნობილი უნდა იქმნას, — თუ ვის ეჭირება ცვლილება, რა მიზეზი ამიძულებს ცვლილების მოხდენას. ამკების მიხედვით უნდა დაინიშნოს, — ცვლილებას წინ რა საგანი დაეჯვას მისადწევად. ერთი რუსული გასეთი ამ საგანს ცალკერძ შეესო და ამბობს: «ეს უნდა კარგად გავკეთილი გვეჩინდესო, რომ ანა კავკასიაა მოხელეთათვის, ანამედ მოხელენი ანიან კავკასიისათვისაო» საკვირველია, რომ ამ ბოლოს დროს ამისთანა გულ-მტკივნეული სიტყვები გვეს-

მის. საკვირველია მით, რომ არა ვართ ჩვეულებრივ. მაგრამ რა? სიტყვა თქმისა და ქმნისა შუა დიდი მსგავსებაა. ამას თვითონვე იგივე განხილვა ამტკიცებს. მოჭედილი, ბატონო, და იმანის, ეს მხარე უნდა მოვარდობით სამთავარ-მართებლად და ამას შევუერთოთ. ეს მანდა და ის მანდა ერთ მანდად გაქცეოთ, ესა და ეს გუბერნიის განკარგულებით და ამ და ამ გუბერნიის მიუხედავად, მთავარ-სამმართველო უნდა განუქმდეს და მთავარ-მმართველის განცხადებით გადაკეთდეს და სხვანი ამ გვარნი. ეს უკვლავ კარგი და ჩვენ რა? ვნახავთ, კავკასიის სამმართველოს ორიოდუ გუბერნატორი მოაქვდა, ორიოდუ მანდას უფროსი და ათიოდუ მოსკოვ, მაგითი მითამ ქვეყანა გუბერნიის გაძლიერება? ეს და ამ გვარნი ცვლილება სწორედ იმას ეგონება, რასაც ოსტრალიის რუსის მწერალი სხედინი ამბობს: «ერთი გენერალი უფროსად მოვიდა ჩვენში თუ არა, მაშინვე გუბერნატორის კაბინეტში იატაკის აშლას შეუდგა. მაგრამ რა? აშლით — აშლდა, ახლის დადება კი ვეღარ მოასწორო, გამოსწავლეს. რაღა მიდიოდა და გვეთხოვებოდა, გვეთხრა: «ბევრი რამ კეთილი მინდოდა შექნათ, მაგრამ დემოკრატია, ჩემო მკვლავებო, არ დამატყდა.» მოვიდა ახლა სხვა ახალი გენერალი და მაშინვე მოისაზრა და თქვა: ეს რა მიუჭარავთ! იატაკი კაბინეტში კი არ უნდა აქმლათ, არამედ სასტუმრო ოთახშიაო, და ამის დაგვარად შესაფერის განკარგულება მოახდინა. მაშასადამე, თუ ეს გენერალიც მადე გადაუყენეს და სხვა ახალი გენერალი მოვიდა, — ვინ იცის, — აქნება იმანც ახლა სასადილო ოთახში მოინდომოს იატაკის აშლა და ამ სახით მთელი სახლი გუბერნატორისა თან-და-თან წაიბილწება, კერძოვანის განკარგულების ნიჭს კი მანდა და მანდა ვერ გამოიჩვენებ.»

კაცმა მართალი უნდა თქვას, იგივე გასული ამასაც კი ამბობს, რომ საჭიროა ნაფიცთა მსახურება (судъ присяжныхъ) და ერობა (земство) შემოვიღოთ თუ ყველგან კავკასიაში არა, საქართველოში მანდაც. კარგი და პატიოსანი, ძალიან და ძალიან საჭიროა. ეს ორივე ცვლილება შეტად სანატრელია და მარტოელი ქვეყნისათვის. ამას სიტყვა წინ არ უდგა. მაგრამ რაგორ? ამ ორივე საგანს მრავალ-გედი შედეგი და საჭიროება მოსდევს. თუ ერთი რამ გამოაგლდა, ისეც დატვირთულს ერს ტვირთი მოემატება და ერთი ბეწო სიკეთე არ მიენიტება. ახა ერთი მიბძანეთ, მოსამართლენი აქაურის ენის მცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა ზ ბრალმძებელმა მსჯელობების ენისა გამოართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსახურელმა მარტო ბურები მოიგეროს, თუ რა ქნას. და თუ ნაფიც მსახურებს განონად დაუდებთ რუსულის ენის ცოდნას და თუ სასეში მივიღებთ რომ მარტო მოსულებამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი ხომ მანტ ჩინოვნიკის სამართალი იქნება და არა ერისა. ნაფიცთა მსახურება მარტო იმითია სანატრელი. მარტო იმითია კარგი, რომ სჯის და მსახურობს სინიდასი ერისა და არა ჩინოვნიკისა. თუ ამ მხრით არას შეაკვირნ და ისე შემოიღებენ ჩვენში ნაფიცთა მსახურებას, ჩვენ მაკ სანატრელს ცვლილებას დიდის სინარულით მივეტებით, თუ არა და მარტო სასელი იქნება და სასრავი კი არა.

ერობაც შეტად დიდი რამ არის. იგია უტყუარი ორღანო ქვეყნის საჭიროების გამოთქმისათვის. ერის არჩევანით, იგია ერის წარმომადგენელი გრება. ყოველივე ვინც კი უკეთესი მოჭირნახულეა ერისა, იქა მოჭმედობს ზ იღვწვის. ერობას ფეხი თვით ერის დირეხედ უდგას, ერის ცხოვრებაში

ტრიალებს და ერის ცხოვრებით სულდგმულაბს. ამიტომაც იგი ზედ-მიწეებით მტოდნება, რა სტკიავა ერსა და რა წამალი დაელება. თუ ერობის საქმე ისეა მოწეობილი, რომ იგი მართლად ერობდეს, უკეთესის ნატვრად, ვერ ამ სახად მაინც, მეტის-მეტის წადილი იქნება. რა თქმა უნდა, განონსკედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდ, თვითონ არჩევანის საქმე ავიღოთ. ვჭსთქვასთ, განონად დაიღვას, რომ თუ არ ჩინოვანი ამოწეულ არ უნდა იქმნას, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს არჩევანის ხმა არ უნდა ჭქონდეს. მაშინ ერობა ცალკერი, ფუფი და ფუჭი სასული იქნება. ჩინოვანი და მდიდარი ერთი არ არის. ერთი წრის გარეთ დაწეება. თუ, მაგალითებრ, განონად დაიღვა, რაც მიაძება, მარტო ისა ჭსთქვიო და რა წამალიც მე ვინდომო, ის წამალი იხმარეო, მაშინ ერობა ტვირთია და არა შეება და შეღავათი. მაშინ ერობა ერს ვისერსედ დაწეება მთელის თავისის სიმძიმითა, სარჯებითა, გადასახადებითა და მუნ-უღვას რდენა სიკეთესაც კი არ მოუტანს. ერობა რ-კეტი რამ არის: ერთით მოვალეობა და მეორით უფლება, ერთით ტვირთია, რადგანაც სარჯი, გადასახადი მოსდევს, მეორით—ღონა სიკეთისა, რადგანაც ერთი თვითონ ჭმატრონობს თავის-თავს და სარჯსაც და გადასახადსაც თავის-თავს ახმარებს საჭიროებისა-მებრ. რადა თქმა უნდა, რომ ერობაში სახუგბარი უფრო მეორეა. ადამიანი ტვირთს ადვილად ივისრებს, როცა საჭირია ეგ თავის-თავისკე საკეთილოდ. მაშასადამე აქ ვეკლავფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი იქნება შემოსახსული ერობას, რა ფართო გზა მოქმედების დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახსულეთა არჩევანი დაბრკოლება რითმე თუ არა. ერობა იმისთანა რამ არის, ან სულ მთლად უნდა იყოს, ან სულ არა.

ეს ორი ცვლილება— ნაფიტის მსაჯულება და ერობა— რასაკვირველია, ასე თუ ისე პირ-და-პირ ეწის და იმის საჭიროებას შეეხება. მაგრამ გარდა ამისა სხვა მრავალი საჭიროება ღვინოს ჩვენში და იმათაც არა ნაკლებ ყური უნდა ათხროვონ, თუ მართლად და სიკეთე უნდათ ქვეყნისა. ჩვენ იქნება თავის დროზედ კრლად ავსსნათ ეს საჭიროებანი, მაგრამ ამ უამად კი მოკლედ აწერსნამთ.

საერთო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლად ფუნი გაიდვას და მოივიდოს ჩვენში. ეფო აქაურობას ამოდენა ჭმუჭუნა, აქედით ქანება, წაჯექ-უგუჯექობა. დროა, განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერობისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაქნებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ რა შეუძრიოს და წმინდა რამ არ აძღვრიოს. დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა. ჩვენს ერს მღვდელი არა ჭყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა-პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ველან იტლიან. ერი ველან გასვლია მღვდლის სარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. ამა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და შატარს სინარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს თავის სამწყობსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ღვინის ქანტი გაუწყდეს.

ელანდელი წესი სახელმწიფო ტყიანამ სარგებლობისა სრულებით უნდა გაუქმდეს და სხვა ახალი წესი დაედინოს,

ჩვენის გლეხ-კაცობის ცხოვრების შესაფერი. აქამოდე რუსეთის საზოგადო კანონები მოქმედებენ ჩვენშიაც და იფიქრეთ, საიდან სადაო. სხვას ნუჩას იტყვიოთ, ჯერ მარტო ერთი ეს აქნაიეთ სასუბი, რომ ჩვენი გლეხ-კაცი კერასა ხმარობს და რუსისა კი «ფენსა», რომ რუსი ოთახს ათობს და ისე თბება, ჩვენი კაცი კი ცუცხლა-პირას. ჩვენებურს გლეხს კენასი აქეს და სარი, თუ ჭიგვა უნდა და რუსისას არა. ეს თვალად ესე მტირე გარემოება, არსებითად იმოდენად მატოვ-სადები და მიუცილებელი მიხედა, რომ არ შეიძლება კაცმა უურადღება არ მიაქციოს და მის მიხედვით ტყის ხმარების საქმე სულ სხვა საფუძველზედ არ ააგოს. უტყუობა მეტად მძიმე ტვივილია ჩვენის ერისათვის და თუ უნდათ, რომ ერმა მართლად სიკეთე რამ აგრძნოს ცვალილებისა, ამაში გულ-მტკივნეული და უხვად შეკლას უნდა. ადვილი საშველიც არის, თუ სურვილი აქნება. ჩვენს გეგონია, რომ მთავრობა არამც თუ დაჭკარგავს რასმეს, რომ ტყეების საქმე რიგანად მომართოს, არამედ მოიგებს კიდევ, იმიტომ-რომ შესაძლოა ტყის მატრონობის ხარჯი ძალიან შეიძოვლოს და შემოსავალს კი თითქმის არა მოაყლდეს-რა. ერს რომ შელავათი მიეცემა და მიეცემა.

სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმეც სულ სხვაფორი უნდა მოიწიოს. ამ ცვალილების საგნად ის უნდა იყოს, რომ გლეხ-კაცობას გაუადვილდეს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება და არა ფთხოდეს სახელმწიფოსთან საქმის დაჭერისაგან, ისე როგორც დღეს აქამოდე ფთხის და ერიდება. ამისათვის საჭიროა, რომ ამ საქმეს ჩამოაცვალოს ათასნაირი სამწყურლოები, მოხელეები, ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერა და ბლაჯვნა ქალაქისა მოიძალოს და იჯარის გამ-

ტუმი კაცი, თუ სამმართველო გლეხ-კაცზედ ახლო იყოს. თუ-  
თან მთავრობაზე ირგებს, იმიტომ-რომ გლეხ-კაცი, ვითაც  
პირ-და-პირი მომქმედი მიწისა, უფრო მეტ ფასს მისცემს,  
ვიდრე მონაწილე, რომელიც იმ იმედით იღებს მამულს, რომ  
სხვასზედ გაჭნის მოკებითა, — და გლეხსაც მანც და მანც  
ნაკლებ დაუფდება, ვიდრე მონაწილესაგან აღებულა.

ფრიად საჭიროა ესლანდელი ბაჟი ანაყის ხდისა შუა-  
ვალის ისე მანც, როგორც უწინ იყო, თუ უკეთესად არა.  
ესლანდელი ბაჟი ისეთია, რომ თუ მოკლე ხანში კაცმა ბევრი  
არ გამოხდდა, ანაყის ხდა სასარგლოა. არც ერთს ქვანს, რა-  
მელსაც აქამომდე გლეხ-კაცი ხმარობდა, მაგ სასწაულის ქმნა  
არ შეუძლიან. ამიტომაც გლეხ-კაცი ამ მხრით დღეს ხელ-ცა-  
ლიერი წის. ჩვენ გაბედვით ვიტყვით, თუ არ მესამედი, მე-  
რთხედი მანც მთელის შემოსავლისა, გლეხ-კაცს უბიბიამ  
ამოაწყაფეს. საცა კენახები სშირია, (და სად არ არის ჩვენ-  
ში?) იქ გლეხ-კაცობა მარტო ანაყის შემოსავლით ისტუმ-  
რებდა თითქმის მთელს სასულემწიფო და სასოფლო სარგისა.  
დღეს კი ამას მოკლებულია ესლანდელის ბაჟის წყალობითა.  
ესლან ანაყის ხდა მარტო მდიდარისათვის-ლან შესაძლებელი,  
ესე იგი იმისათვის, ვინც ორასს, სამასს თუმანს გამოიმეტებს,  
და იმისათხა ქარხანას გამართავს, რომ ცოტა ხანში ბევრი გა-  
მოხდეს. ამ სახით, ისეც უღონო-გლეხ-კაცი მტლად დაჟდეს  
მდიდარსა და ფულისასა. დიდი შელავათი კი იყო გლეხისა-  
თვის, როცა მისთვისაც შესაძლებელი იყო თავისის უბრალო  
ქვანით ანაყის ხდა. წამთრის თვეებში, როცა გარედ მუშაო-  
ბა არ შეიძლებოდა, თავის-თავს მანც და მანც გამოარჩებო-  
და რასმეს და უქმად დღეს არ დააღამებდა. მიუხდებოდა ქვანს  
და ხდადა ანაყს. ესლან ეს დრო უსასყიდლოდ და ურგებად



ეკარგება. იმას კი ნუღარ ვიტყვით, რომ თვითონ ჭკჭკასა და თხლეს იფასი დააკლდა და ზოგან გადასაყრელად-ღა გახდა. მაგალითებზე, მთელი დუშეთის მარხა, წინა მხარი კახეთისა და მგონია ქართლიც ჭკჭკასა და თხლეს სხვა რაშიმე თუ იყენებენ, თორემ არაფერს კი არა სდის. რაც ეს ბაყი შემოვიდა, გაქრა ამ ადგილებში ჭკჭკისა და თხლის ვაჭარი.

დიდი საქმეა გზების კეთებაცა. დღეს აქამომდე, საცა კი გზის გამართვასკენ სიტყვა ჩამოვარდებოდა, მთავრობას სხვაში ჭქმნდა მარტო მხედრობისათვის საჭირო გზები. ესლხ ჩვენს ქვეყანაში, ღვთის მადლით, სამხედრო არა არის-რა. ქვეყანა დამშვიდებულია. ესლხ ჩვენი ქვეყანა სხვა გვარ გზებსა ჭსაჭიროებს, იმისთანა გზებსა, რომელიც გამსუიდავს და მსუიდავს მალე, უწყინარად და იაფად შეასკვდრებს. ამისთანა გზებს საეკონომიო გზებს ეძახიან. ამათი დანიშნულება ის არის, რომ მიწარმოებულს ბაზარი დაუახლოვოს, ბაზარში მისვლად-მოსვლად არ გაუჭიროს და საზიდავმა გადაზიდვაში მეტი ხარჯი არ გადაიყოლოს. გზამ რომ ეს დანიშნულება შეასრულოს, «ჩინოვნიკმა» კი არ უნდა გააბას ღარი გზისა, როგორც აქამომდე იყო, არამედ ადგილის კარებს უნდა კეთისოს. სად რა გზა უნდა. მაშინ გზა იქით არ მიიბრუნებს თავს, საცა მსხვილი გარია, არამედ იქით, საც სხვილი საქმე და სხვილი საჭიროება. გზები ისე საჭირონი არიან, რომ შირველ-დღიდამვე ამას მიჭყონ სული, მეტი არ იქნება. რღონდ ერთი რამ კი არ უნდა დავივიწყოთ. გაწყლდა ერთი გზის ბეგრის უწყსობითა. გზის კეთება მეტად მძიმე ბეგრაცა თავის-თავადაც და ეს უწყსობა სომ ერთი-ორად ამძიმებს. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ წესია და არ ასრულებენ. არა, თვითონ წესი არ არის დღგონილი არავითარი. ვისაც ქეიფად რა მოუვა, იმ წესსკედ დაია-

ბა. ამ მხრით მთელი ჩვენი გლეხ-კაცობა «ჩინოვნიკების» ნებასუკედ არის მიგდებული. ვინ იტყვის, რომ «ჩინოვნიკი» უსამართლობას რასმეს ჩაიდენს, მაგრამ მანაც ის რომ პატარა შორის იყოს, ისა ქსკობია. ამდენი ვაი-ვაგლასი, ტემა-ტემა, სარჯი, დანაკლისი, რაც გზის ბეგარას მოსდევს გლეხ-კაცისათვის, იმიტომ არის, რომ არავინ არ იცის ვის რა მოვალეობა აქვს და ვის რა უფლება. ერთის სიტყვით წესი და კანონი არ არის ამ საგანსუკედ დადგენილი და უსათუოდ კი უნდა იყოს, თორემ უწესებამ ლამის ერი მოიღონოს. რა გვარში წესია საჭირო და რა და რა საგანისათვის, ამასუკდაც იქნება მერც შეგვხვდეს საუბარი და ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. ესაა მხოლოდ გვინდოდა ეს მხარე ჩვენის კეთილ-დღეობისა ნაშინად დაგვესვა ცუდილებისათვის. ბევრიც კიდევ სხვა რამ არის სათქმელი, მაგრამ...

«კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,

ავი რა საკვირველია.»

ზოგიც მერე იყოს.

## ხ ი ლ ა დ.

რასა ვწერთ და რას ვკითხულობთ?— მოცლილთა და ავ-ენათ  
საღიაუბო.— მმართველობა, თუ გამგეობა, ანუ ფორმა, თუ ფიგურა?  
— თავის თავის მაქებელნი და თავის თავის მამაგებელნი.—  
ქუთაისის სემინერია.— მისი მტერ-მოყვარენი.— სამღვდულოების  
ნიმუშები.— დიდი ნანტომი.— გ. ყიფიანი შევლოხნას როლში.

მოდით, მკითხველო, ყოველ-გვარს წინა-სიტყვაობას თავი  
დავანებოთ და პირ-და-პირ შევუდგეთ ჩვენს საქმეს. საგანს  
ჩემის ბაასისას სათაურშივე ამოაკითხავდი და შემდეგ შიაც ვეც-  
დები ეს ბაასი შენთვისაც და ჩემთვისაც უფრო საყურადღებო  
იყოს და უფრო სხვა-და-სხვა ამბებს შეჭსებოდეს. მამ კანსე-  
ნოთ ღმერთი და მივეთ ხელი:

იმ დღეს, შავრდოვის სააკენტოში საკვირველი რამ ამ-  
ბავი ვნახე: ერთი ღენჯალა დიდი ჩინითაც და ტანითაც და  
ერთი პოლკოვნიკი «დროებას» ჩათვლით კითხულობდენ. ის  
კი არ არის საკვირველი, რომ დიდ-ჩინიანებს ქართული კით-  
ხვა უჭირდებოდათ; საკვირველი ის არის, რომ ქართულად  
დაწერილს ამ ძალაღმა პირებმა თავიანთი ყურადღება აღიქმეს.  
მაგრამ არც ეს არის საკვირველი: მათის გარჯის ნაწინობის  
მხარეულს, ლახარე ვანიძეს, თავის «საზეინი» «დროებაში» ჩა-  
ეწირა და აბა როგორ საინტერესო არ უნდა ყოფილიყო?!  
„ხედავ იმ მ—ს რაები დაუწერია?“ ხარხარით ეუბნება ერთი

მეორეს. «მე რომ ბ—ი ვეოფილვიყავ, სულ ცხვირ-შინს ჩავამ-  
ტრეკდი,» უზნესებს მეორე. «ეოჩად, ვანიძე, ამბობს ვიღაცა  
უმაწვილი-კაცი ბუღკარზედ, — ძალიან მოურტყამს შენმა მზემ.»

ეს არის საგანი ბასისა ჩვენის ლიტერატურისაგან აღ-  
ძრული წარსულს კვირას. მზარეულმა თავისი «სახეინი» გა-  
ლანძღა: «მღვდელმა ვაჭარს ლიტერატურაში დუსანშიკი დაუძა-  
სა და ვაჭარმა უზნესად შეუთვალა იმავე ლიტერატურის ში-  
რით, «დაძიბტიციე სამსაჯულში რომ მე ვარ დუსანშიკი და  
არა მეორე ვიღაც ვაჭარია» («შრომა, № 14); ორს მღვდელს  
კინელაობა მოსდით ჭ ერთმანეთს ეუბნებიან: «შენ თავმჯდო-  
მარეობის ნება არა გქონდა, მე კალთებზედ შემომეჭიდენ, მეს-  
გეწებოდენ ითაგმჯდომარე, მაგრამ არა ვჭქენია.» «როგორ თუ  
არა მქონდა, აბა სინოდის ბრძანებაში სადა სწერია, რომ არა  
მქონდა.»

აი ეს გასლავთ სულისა და გულის გასართობი ლიტე-  
რატურა; კაცს აცინებს კიდევ, თავის ნაცნობ-ნათესავების ამ-  
ბებსაც შეატეობინებს, თავ-მოყვარეობასაც საზრდოს მისცემს  
და, თუ საქმე გაჭირდა, იმასაც შეაძლებინებს, რომ თავის  
მტერი ან ავად-მასსენებელი დააშინოს, უთხრას, დაწინარდი,  
თორემ გაზეთში ჩაგწერო და ამ სასლ-მოღურის იარაღით შირ-  
ში ბურთი ჩასწაროს.

რას საჭიროა ძნელად-მოსანელებელი ლიტერატურა? რას  
საჭიროა სკოლებში დედა-ენის საჭიროებაზედ ლაპარაკი, ეგ  
ნამ კუჭს დაგვიძიმებს და სადილს უგან გასართობ საკითხა-  
ვად აღარ გამოგვადგება. რას საჭიროა ნათეი მსაჯულებზედ  
ზრუნვა? ის არა სჯობია ვიშუამდგომლოთ რომ ყველა ავა-  
ზაკები აღმინისტრაციულის წესით ციმბირში გარდასახლონ  
(წერილი ოზურგეთიდან, «დროება» № 264). რას საჭიროა

ერობა? ბუღვარისთანა საერო ადგილს სად ვიმოვიტ, ან ამოდენა ერს სხვავან სადა ვნახავთ!

ვილანძღოთ, ვიგინოთ, დავცინოთ სხვებსა, ამას არც ღმერთი დაგვიშლის, არც კაცი, არც კანტაგან დადგენილი ბეჭდვის სალაგმაჳი. შირველად ვი, რაღაც ხსალი დაწესებულუბანი შემოუღიათ, მაგათ მიკმართოთ ჩვენი ფარ-ხმალი.

აი «დროებაში» (№ 246) დაბეჭდილი წერილი ერთის წერა-კითხვის შექმადგენელის წევრისა. ბარაქლას, ავტორო! ეგრე უნდა გაეწეზლა აი, ე ვილაც მმართველობის, თუ გამგეობის წევრნი არიან. ჯერ ერთი ესა, რასა «მკვლახობებენ» ებ ამეინახენი» და რად ირქმევენ «გამგეობას» როდესაც მთავრობისაგან დამტვირტებულს წესდებაში «მმართველობა» უწერიათ და არა «გამგეობა.» მეორეც ესა, რას მკვლახობენ კიდევ და ჩსტციებისა სსსოფლო სკოლების მასწავლებლებს, გინდათ თუ არა, შეგვატყუობინეთ, როდის რა გამოგიგზავნეთო.

საფანგში მომწვევდევა თუ გინდათ ეს არის და ისე უცრად მომწვევდევა, რომ მმართველობის წევრთ გუდის შეთრევაც ვი ველარ მოუსწვრიათ.

მართალია, ერთმა უცხო და ვითომ მიუფერებელმა კაცმა ვი უურში წამომჩურჩულა: პატრივ-ცემული შექმადგენელი წევრნი საზოგადოებისა გამგეობასა და მმართველობასუდ რომ ლახა-რაკობს და ისე ჭილხოსოჭიურად სვვის, როგორც დიხსკულნი ფილხოსოფოსნი მოღიერის პიესაში ქუდის ფიგურასა და ფორმასუდლა, (ეს პიესა ქართულად გადმოთარგმნილია პატრივცემულის დიმიტრი ივანეს-ძის უიფიანისაგან), — რატომ მმართველობის მეორე ცოდვას ვი არ აჩვენებსო: რატომ არ ამბობსო, რომ წესდებაში «წერა-კითხვის გამავრცელებულ საზოგადოების» ხსენება არ არის და მმართველობა რად არქმევს სა-

ზოგადობას ამ სახელსაო. თითონ «შემადგენელსაც» შეჭმარ-  
ვის ეს ცოდვა თავის წერილში და «წერა-კითხვის საზოგადო-  
ბასკედ» ღანძრავობს, როდესაც წესდებაში კანონიერი და უტ-  
ყუარი სახელი საზოგადოებისა არის: «ტოილისის საზოგა-  
დობა. რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართვე-  
ლებ შუა, სადაც მოსახლეობენ კავკასიის სანამესტნიკოში.»  
ეს წამომჩურჩულა ამ უცხო პირმა, მაგრამ ესეც ალბად მძარ-  
თველობის წევრთა მოკეთე იქნებოდა კინძე.

კიდევ აი რა წამომჩურჩულა: მძართველობამ სასოფლო  
მასწავლებლებს მხოლოდ ეს მისწერა, ჩვენ ესა და ეს ნიუთე-  
ბი გამოვიგზავნეთ და მოგივიდათ? ან თუ მოგივიდათ,  
დროსედ მოგივიდათ თუ არა? პეტრეცემულმა «შემადგენელ-  
მა» რად გადასხვავებრ გახეთიდა ამოკითხულ წერილის ძრ-  
ხები. განა არ იცისა, რომ გავზავნა სხვა არის და მი-  
ღება სხვაა; ჰკითხოს თუნდა სხედრინს, რომელსაც ორი  
წერილი გაუგზავნია თავის დეიდისათვის და დეიდას კი  
არც ერთი არ მისვლიაო. (ინილე Отечественныя записки,  
ნოემბერი 1881 წ.) არ შეიძლება განა საზოგადოებისაგან  
გავზავნილი ნიუთები სადმე მასრის სამძართველს ან კან-  
ტელარების კუთხეში ევარენ ესლაც და დანიშნულებისამებრ  
არ მისვლოდეთ?

ავი მოგასხენეთ, ეს მძართველობის წევრთა მოკეთე იქ-  
ნება მეთქი.

აი რა მითხრა კიდევ: მძართველობის წერილში მასწავ-  
ლებლებისადმი სამჯერ არის სიტყვა «გთხოვთ» გამეორებული  
და ავტორი «დროებაში» დაბეჭდილ წერილისა ამბობს, — რა  
ნება ჰქონდა მძართველობას, რომ სასოფლო მასწავლებლებს  
ზასუხის მოწერას ვალდა სდებდაო. მძართველობის წერილსედ

ეტყობა, რომ იმას უნდა დასძაბება გაუწიოს მასწავლებლებს და ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ემსახურონ ხალხის განათლების საქმესა და «შემადგენელი წევრი» კი ცდილობს რაღაც მიზეზით მმართველობასა და მასწავლებლებს შორის შეიერი და მტრობა ჩამოაგდოს.

ესაა კი ნამდვილია, ეს ვიღაც არის მმართველობის წევრთა მეგობარი ყოფილა და ამის საყვედურები სრულიად უსაფუძვლია.

ამის საყვედურები კი უსაფუძვლია, მაგრამ მე ერთი რამ უნდა ვუსაყვედურო «შემადგენელს წევრს». რად უწინებს მმართველობის წევრთ ბიუროკრატიულს კილოს? ნეტაი დიქტოს ენებებინა მთელი წერილი ბიუროკრატიულად ყოფილიყო დაწერილი, თორემ მოჭყლედიან, ბატონო, და ერთმანერთში დამხალივით აურეკიან: ეს გამგეობაო, ეს მმართველობაო, და საზოგადოებისათვისაც რაღაც უკუდო სახელი «წერ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» დაურქმევიათ, როდესაც ამ საზოგადოებას იმისთანა დაბობისფერი სახელი აქვს, როგორც «ტფილისის საზოგადოება, რომელმაც და სხვ. და სხვ.»

აჲ, ჩემო ავტორო, ჩვენი ქვეყანა მამინ აიდგამდა ფეხსა, როდესაც ბიუროკრატიას ჯეროვანი ჰესტივი ექნებოდა და შენისთანა ბიუროკრატიათა დედა-ბოძები ხელით სატარებლად ეყოლებოდათ.

ეს ერთი მათრახი მოხვდა და ცხარე მათრახიც წერ-კითხვის საზოგადოებას!

მეორე მათრახიც ამ თვეში ქუთაისის სემინარიას სდრუხეს და სდრუხეს იმისთანა მარჯვე პირებმა, რომელთაც არც თავი უჩანთ, არც ტანი, ასე გამინჯვით არც მათრახის ტარი და მხოლოდ მისი ბოლო მოჩანს ჭკერში, უძლავუნებს აქედ-

იქით და ემუქრება უკვლას, ვინც კი ამ სამღვდელთა კისერებზე დასდის მისი მხრისა და მისი მხრისა. რადგან ეს სარკვეო უნდოდან სამღვდელთა, ამბობს მან. «იმედი», (ქართული, უკვლ - თვიური სალიტურა და საზოგადოებრივი ურთიანობა; გამოდის თვეში ერთხელ, იბეჭდება ექვთიმე ხელმძღვანელის სტამბაში. რედაქტორი და გამომცემი მისივე გურგენიძე. რედაქცია იმყოფება გუგაიაში, მერაბ თუმანიშვილის ქუჩაზე, ნემეცხვის სასაფლაოსთან, № 12.) უკვლად-სამღვდელთა გამოვლინა ზოგს ხართით მიაღებინა თავის წინადადება სემინარიის გახსნაზე, ზოგს შიშით, ზოგს ჯილდოების დაპირებითაო. მართლაც რომ ეს ძალადობა და უსამართლო ძალადობაც. არა, თქვენი ჭიჭიძე, ვის რა სჯობს? ჩემს შვილს მინდა ვასწავლი, მინდა არა; მინდა კარგად შევინახო, მინდა «როზა» ქვეშ სულს ამოვართმე; მინდა სასარგებლო ვაქნა გამოვიყვან, მინდა ქვეყნის ამომგდებ ვაქნა. აქ უკვლავი ძალდატანება მშობლების უფლებების შევიწროებაა. ან რა უჭირდათ მღვდლის შეილება უსწავლელად, რომ სალი სემინარია არ გავუკეთოთ და მეტი სარკვეო სამღვდელთა ტვირთად არ დავაწოდოთ. ვითომ აქამდის ვერა მღვდლობდენ თუ? მღვდლობდენ კი არა, ზოგან ისეთს ქადაგებას ეუბნებიან ხალხსა, რომ მამა ჭიჭიძე შეარტყინოს დემეტრე მათთან. აი, მაგალითად, წაიკითხეთ მშვენიერი სიტყვა მ. გვარამიასა («ვინმე მესხისა»), რომელმაც «დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე ხალხზე» (იხ. კორესპონდენცია «ვინმე მესხისა» «დროებისა» 251 №-ში.), ან კიდევ წაიკითხეთ იმავე «დროებაში» (№ № 254—255) წერილი ლაილასის ბლადონინის ი. გვარამიასი. რომელსაც უმოგზაურნია თავის სამწყურში და უნახავს რომ «ზოგნი ცუდ-ღუტნი, უქმი დღე უძეტესად მუშაობენ, მინემ საქმი;» ამ მავ-



ნე ჩვეულების ასაცილებლად მოძღვარს მოუღია უძაღვსი მანიფესტი, გამოცემული 29 აპრილს; «მე წავუკითხე, ამბობს მოძღვარი, — შემოსხენებული მანიფესტი ხალხს, აკუსენი და გავაგებინე კარგად შინაარსი მისი, რომელმაც ისეთი გავლენა მოახდინა ხალხზედ, რომ ურიცხვი ცრემლი დაიღვარა. იმ ზომად მომეწონა მათი უძანეო ხასიათი და გულქველობა; იმ ზომად შემეფიქრდა მე ის ხალხი, რომ თითქმის ჩემი საკუთარი მცირე-წლოვანნი, გამგონე შვილები იდგნენ ჩემს წინ და მისმენდნენ მამას დაწიგებებსა.» ქვის გულად ვა დასდნება. როცა დაინახავს ამ მამა-შვილებს კავშირს მღვდელსა და ერს შორის. ან ესეც მოისმინეთ, როგორც სმობს მამა ბლადიმირი ცრუ-მოწმუნებებს ხალხში და მეორედ მოსვლის ამბავს უქაწყლავს. «თვით მაცხოვარმა სთქვა, რომ დრო და უამბი მისი აჩვენ იცისო კაცთაგან, არცა ანგელოსთა ცისათაო. და თქვენ ვინ გავაგებინათ ისეთი საიდუმლო, რომლის ცოდნა მარტო მამა ხუცესს ეკუთვნისო?»

თუ ვა მამა ხუცესმა მეორედ მოსვლის ამბებიც იცის, რადაში გვეჭირება, ერთი მიზანით სემინარიები. ქადაგებს თავი დაახებეთ, განა წერას ვა დაუწუნებთ ესლანდელ მღვდლებსა, რომ ვიდევ ახალ-ახალი სემინარიები არ გაუმართოთ? ახა გადაშალეთ რიი უკანასკნელი «შრომის» ნომრები, როგორ აუტრელებიათ თავიანთ ნაწერებით შატავცემულ მოძღვართ. წავითხეთ მამა იოანე გამრეკელავი როგორის მქუხარეს სიტყვებით ემუქრება თავის მოწირდაწირეს, ცერცვაქეს — შენ სხვებს ნუ აჭყვები, თორემ ცუდი საქმე დაგემართებაო; როგორის «რამორტების» წერა სცოდნია და როგორ აუფაფანებია ამ რამორტებს მისი მოწირ-და-წირენი. ან სხვათნებ ვა კადაში არ უჭრით თუ? სინოდის კანტორასში თურმე უბუნ-

ღებ » ბესლებასედ » მოდის, უოკლად-სამღვდელომ ძალად გვაკისრებინა სემინარიის სარჯიო. ერთის სიტყვით უოკვლის-ფერი გამოუვა ხელიდამ ესლანდელს სამღვდელოებას: მქადა-გებელნიც არიან, მწერალნიც, თავიანთ აზრის ძალუფად გამომთქმენიც, თუ გაჭირდა მბესლანნიც. ახა თუ ღმერთი გწამთ, რაღად ეჭირებათ იმათ სემინარია?

მკითხველო, პატარა ხანს მღვდელსაც, ბერსაც თავი დავანებოთ, დიდი ნაბიჯი გადავდგათ და იმისთანა ადგილას შევიდეთ, სადაც ვერც გრესამია, ვერც გამრეკელოვი და ვერც სსვს სურესნი და მოძღვარნი შემოგვეკვებიან: შევიდეთ თუ-ატრში.

დიდი ნახტომი გი მომივიდა, მაგრამ ეს ნახტომი გარემოებით გამოწვეულია. როდესაც კაცი ჩინებულს რასმეს ჭსე-დავს და უნდა თავისი გრძნობა სხვებსაც გაუზიაროს, ის არ მიჭსედავს იმას, დროზედ ამბობს თავის ქებას, და ან ეს ქება შეეფერება წინასწარ ლაშარავს, თუ არა. მეც დღეს ისე მომ-დის. გელაშარაკებოდი უსაფუძვლო საყვადურებზედ. თავის-თავის ქებაზედ, ბესლებასედ, და სსვს ამისთანა უმართებუ-ლო საგნებზედ და ესლა გი მინდა იმისთანა საგანზედ გამო-გელაშარაკო, რომელმაც მთელი საღმრე კრებით მიიზიდა მ-ურებულთ ყურადღება და ამოუშლელი კვადი დასტოვას მათს გრძნობასა და გონებაში. მე ვიყავ ქართულს თუატრში და ენახე გ. ყიფიანი შეველოსა—ურისას როლში. ვიტყვი მოკლედ, ამისთანა თამაშობა ვერ ჩვენს სტენას არ უნახავს. გ. ყიფიანის სახეში გამოხატული იყო შთამომავლობითვე ჩანერგილი სიმულილი ქრისტიანებისადმი; გინება, ლანძღვა, წვალება, რაც ურეებს ქრისტიანებისადგან წილად სდომიათ, ეს ბერი-კაცი ცდილობს გადაუხადოს სასტიკად. როცა ქრისტიანი ფულს

ესესება მას, ის დიდ ხანსა ჭევიჭრებს, რა სარგებელი მოს-  
თხოვს, ასწონს, დასწონს და ბოლოს გამოუცნალებს, თუ  
ვადანუდ არ მომცემ, სარგებლის მაგივრად ერთი გირვან-  
ჭა მაგ თეთრის ხორცისა შენის გულიდამ ამომატრეინეო.  
ურთა თავს ანებებს სარგებელს, რომელიც თავის ღმერთს ურ-  
ხეუნია და თხოვლობს ერთ გირვანჭა ქრისტანის ხორცს,  
რომელიც ღმერთსაც ურხეუნია და სარგებელსაც. ეს უსაზღვრო  
წადილი შურის-გებისა მეტეველებდა ვ. ყიფიანის ყოველს მი-  
მოსვრაში, ყოველს სიტყვაში, კვირების ყოველს შერხევაში.  
სიტყვებიც არა—ჩვეულებრივის კაფიერებით გამოისმოდა მის  
ღაზარაკში და გამოისმოდა ისე, რომ მუყურებლებს ურუანტე-  
ლი უვლიდათ ტანში მათს გაგონებაზედ.

შეველხას მოსტაცეს ქალი ქრისტანებმა და ის განუ-  
საზღვრელს მწუხარებაშია; ამ დროს ერთი მეგობარი ატეო-  
ბინებს მოვალის გემების დაღუპვას და ეს ამბავი სულს უდ-  
გამს მას, რადგან ერთი გირვანჭა ხორცის იმედი ესლას გაუც-  
ხეველდა; მწუხარება შვილის დაკარგვისა და სიხარული ქრის-  
ტიანის სისხლის აღებისა იბრძვიან ერთმანერთთან და გამოი-  
სატებიან მის სახეზედ, თითქმის ერთ-გვარის ძლიერებით. ეს  
მეტად ადვილი სტენას უნიჭო მოთამაშეთათვის, რადგან ჭარ-  
სად გადააკეთებენ ხოლმე. მაგრამ მეტის-მეტად ძნელია ნი-  
ჭიერთათვის. ვ. ყიფიანმა დასძლია ამ სიმძელეს და წარმოგ-  
ვიდგინა წინ შექსპირის ნამდვილი ტიპი და არა ცირკის კლე-  
უნი.

სამწუხაროდ, სამსაკვულოს წინ ვ. ყიფიანს ცოტა აკლ-  
და იმავე მძულვარების ცხადად გამოხატვა, რომელიც ისე ხე-  
ლოვნურად თვალ-წინ წარმოგვიდგინა ჰირველს მოქმედებაში.  
მაგრამ კარგი რამ იყო მასშინ, რომელსაც გულ-ცივად ილესავ-

და დანას წაღასედ ქრისტიანის გულში ჩასატეხად და არ უბ-  
ღებდა ყურს ჩისხვით წარმოთქმულს საუკუდურს ქრისტიანე-  
ბისას.

მადლობა დიერთს, შექსიანი ვნახეთ ქართულს სტენასედ  
და ვნახეთ დიწსეულად გარდმოცემული.

მკითხველთა ნახვამდის, მერმისამდის. ხვალ-სეუ ახალი  
წელიწადია და ახალი ცვლილებაც მოგველის. მეც იმედი მაქვს  
რომ რაცა მერმის მე ზ შენ ვრთად შევიყრებით, ახალს საქ-  
მეებზედ დავიწყებთ ღანაჩაკს, განახლებულის გულით და გა-  
ნახლებულის გრძნობით.

## ახალი წიგნები.

იგაჟ-ბრატნი, კრილოვისაგან და სობრძნე-სიცრუიდგან, გალქე-სილი თ. რაფ, ერისთავისაგან.

თავ. რაფ. ერისთავი ეგუთვნის იმ მწერლებს დასსა რომელზედაც საუბარი ადამიანისათვის ხასიათიდანა . . . მას დიდი ხანია ჩვენს ლიტერატურაში დამსახურებული აქვს წმინდა სახელი, რომელიც, რამდენიც დრო გადის, იმდენი უფრო მატულობს. ეს სახელი ჩვენს პოეტს მოპოებული აქვს სწორე გზით—თავის ნიჭით და ნაყოფიერის შრომით. თავის გამომჩენისათვის მას აწას დროს არ უხმანია ფარად და ხმალად შური, კიცხვა, გინება და ღანძლვა სხვის გონების ნამოქმედარისა, რასაც დიდის სიამოვნებით ხელს ავლებენ ბინძურის თავ-მოყვარეობით სავსენი. მაგრამ გონებით უნიჭონი, ცოდნით ღატაკნი და უოგელს კეთილ-შობილს გრძნობას და წადილს მოკლებული მკვლახელები.

ერთი განსაკუთრებითი თვისება თ. რაფაელისა კიდევ უფრო ხასიათიდან და შესანიშნავია. ვინც ჩვენს ლიტერატურას თვალს ადევნებს, უთუოდ შენიშნავდა, რომ თ. რაფაელს ხანი არამც თუ მხეობას და ნიჭის სიკვებელს არ უძირებს, თითქო კიდევაც უმატებს. ამ ბოლოს წლებში არც ერთი ხეიარანი ლიტერატურული გამომცემს არ დაარსებულა, რომ იგი თავის კალმით არ დახმარებოდეს; ქართულის თეატრისათვის მის მოღვაწეობა ხომ ვუკვლას თვალ

ტრანტუნიში, რომელსაც ისე შეთვისებულად ქმნიდეს ჩვენის ერის ცხოვრება. თ. რაფაელი ჩვენს ხალხს წიგნებიდგან და შორიდგან არ იცნობს. მას, როგორც ეტყობა, თვითონ უცხოვრია მის შორის, თითქმის ყოველი ერთსე საქართველოსი გაურცხია საკუთარის თვალთ და ყურით, უნახავს ხალხი ჭირშიაღ, ლხინშიაღ, ბედნიერ დღესაც და სადა დროსაც, შეთვისებულად მასთან გულის და გონების მრავალის მარტულებითა, და უგვარის ხალხი ისეთი, როგორც არის, მის ღირსებით და საკლუდეკანებით; უგვარის არა თეორიულის სიყვარულით, რომელიც ხშირად ზევიდგან საბანკით ეთარება რეალურის სიმულიანს ხალხისასა, არამედ ნამდვილის, ჭეშმარიტის გრძობით. ამიტომაც არის ყოველს ნაწილს თ. რაფაელისას ისეთი ცხადი ბუტყდი ჩვენის ხალხისობისა, ერთგობისა.

ცოცხალი და ნამდვილი ხალხური ენა შეადგენს ერთს უპირველესს ღირსებას თ. რაფაელის ნაწერებისას. ამ გვარს ენა სუფიკს ყველად მის ლექსებში, სათაერთო პიესებში, სტუნიებში და მოთხრობებში. მაგრამ სტატიების ენა კი ბევრად უკან ჩამორჩება და შესანიშნავად გოჭლობს. შეადარეთ, მაგალითად, წინა-სიტყვაობა იგაგ-არაგებისა თვით იგაგ-არაგების ენასთან და ცხადად დაინახეთ, თუ რა დიდი მახშილი სძევს ამ რე გვარ ნაწარმოების ენის შუა. ენის გარდა შინაარსითაც ვერ შეედრება ჩვენის პოეტის სტატიები მის სხვა ნაწერებს. ერთი ნაკლუდეკანება ენისა ხან-და-ხან გამორეკას სოღმე მის ნაწერებში. თ. რაფაელმა ზედ-მიწევნით იცის არა მარტო ცოცხალი ხალხური ენა, — მას ძველებური, წიგნური ენაც მშვენივრად აქვს შესწავლილი, და ზოგჯერ ძველებურს, წიგნურს სიტყვებს და გამონათქვამობას გამორეკავს სოღმე იქ, სადაც უნდა იხმარებოდეს ცოცხალი სიტყვები და გამონათქ-

ლებანი. ეს გარემოება უსწორ-მასწორად, სოციალისტურად ხდის მის ენას, თუმცა ვი ძალიან იშვიათად.

როგორც სიმღერა-გალობაში, ისე ლექსებში ვიღვას ვირ-ველი ადგილი უჭირავს. ისე არაფრით არ იცნობება ნამდვილი პოეტი, როგორც შესაბამის კილოთი. მეორე მხრით ისე აშკარად არაფერი გასტუმს უნიჭო ლექსების მკვლახუნებს. როგორც უფაზათო, უშინო კილო. ხშირად მოხდება სოლოჟი ამ გვარი შემთხვევა: კითხულობთ ლექსსა, რითმითაც მდიდარია, ცუხურაც მტკიცედ არის დაცული. მაგრამ პოეტურს ჩაბეჭდილებას ვი ლექსი ვერ სასხავს თქვენში; თქვენ არა გრძნობთ იმ სიამოვნებას, რომელიც ყოველს ნამდვილს, ჭეშმარიტს ლექსს მოსდევს. გავერთ ესა და ვეწაფრით ავიხსნათ, ვერ მისკვდრილხართ, რა აკლია და რა აუძარილოებს ლექსსა. ბოლოს მისვდებით, რომ ლექსი მოკლებულია პოეტურს კილოსა. კილო არის ნამდვილი მარლი პოეზიისა და როგორც უძარილო საჭმელი, რაც გინდა ნოეირის მასლიდგან იყოს შედგენილი, უტემურია. ისე უკილო ლექსი უსიამოვნო და მასინჯია. თ. რაუკელის ლექსები ნამდვილს პოეტურს კილოზედ არიან დაწერილნი და შესავებულნი პოეტურის მარლით.

ყველა მოხსენებულ ღირსებათა ვპოვებთ იგავ-არაკებშიაც. მეტადრე მარგალიტივით გამოხსკვივის მათში ლაზათიანი, წმინდა ქართული ენა და საღისურ-პოეტური კილო. ერთი განსაკუთრებითი ღირსებაც შესანიშნავია. ლექსი ერთ-გვარი არ არის მთელს იგავ-ირაკში თავიდგან დაწებული ბოლომდის. იგი იცვლება, ან გრძელდება, ან მოკლდება, სახლის ცხოველების ბასის დაწებით, ასე, რომ ერთსა და იმავე იგავ-არაკში დათვი ერთ-გვარის ლექსით ლაზარაკობს, მეელი მეორე გვარის ლექსით, მელია კიდეც სხვა ლექსით და სხვანი.

მაგრამ ხან-და-ხან ლექსის სცვლის მაშინაც, როდესაც ერთსა და იგივე ცხოველს აღაზარებებს და ეს, ჩვენის აზრით, უსიამოვნოდ ატყულებს მას. პირველსავე იგაგ-არაგში გლეხი სამჯერა სცვლის ლექსსა და გვგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ერთ-გვარის ლექსით აღაზარებდა. მაგრამ ეს წყრილმანი ნაკლულევანებაა, რომელსეცაღ შეჩერება საჭირო არ არის. იგაგ-არაგებს აქვთ რამდენიმე უფრო თვალ-საჩინო ნაკლულევანება და ჩვენ ვესურს იგინი გამოგარკვეოთ და ჩვენი აზრი განუუნიაროთ პატივ-ცემულს ავტორსა.

ერთს უმთავრესს ღიწმუნებს კრილოვის იგაგ-არაგებისას შეადგენს მოკლედ და მარჯვედ გამოხატულება აზრისა. მთელი იგაგ-არაგი ისეა შეკუმშილი, რომ მეტს სიტყვას ერთსაც ვერ აზარნით, თავიდან რომ ბოლომდის ბევრიცა სძებნოთ. მარჯვედ გამოხატვა აზრისა, მოკლედ მოჭრა სიტყვისა და მარლიანობა გამოთქმულებისა თანდათან მატულობს ყოველ კრილოვის იგაგ-არაგში და ბოლოს თავდება იმისთანა მარჯვე, მოსხვეპილის და შეკუმშილის ლექსით, რომ ბევრი ამ ლექსთაგანი რუსეთში სასაღსო ანდაზად გადაიქცა. სამწუხაროდ თ, რატაქლის თარგმანში კრილოვის იგაგ-არაგებს ეს ღიწმუნება ბევრად თუ ცოტად დაუკარგავთ. თარგმანი ხშირად ბევრით გრძელის დედანსუდ, კრილოვის ერთის მუხლის კარდმოხსცემად ხშირად ჩვენი მთარგმნელი ხმარობს ორსა, სამსა და ოთხს მუხლსა და მოკლე სიტყვა ბრტყლად გამოჰყავს. დედანში ბოლო თითქმის ყოველთვის უკეთესია დასაწყისსუდ; თარგმანში კი თავი ხშირად მშვენივრად არის დაწყობილი, მაგრამ რამდენიც ქვევით მიდიხართ, იმდენი უფრო სუსტდება გამოხატულება, მარლი აკლდება, კილო ძირს ეშვება და დასასრული იგაგ-არაგისა მოგაგონებთ სწორედ ნაბოლანსა. ვერც ერთს თარგმან-



ში კერ იზოგნით იმისთანა მოკლე და მარჯვე გამოხატულებას, რომელიც საანდაზო იყო. ავიღოთ თუნდა მერე იგავ-ანაკი «საწანდრები.» აი რა ლაწათიანად იწეება:

«მამუნმა, დათქმა და თხამ მოიწიეს ვირი,  
 იმოკნეს დაფა, ქამანხა, ნაღარა და სტეირი.  
 საწანდრობა დააბიეს, დასხდნენ ცაცხვის ძირსა,  
 დაუბეს, დაჭკეს, გაუსეს, ჩაჭბეს საყვირსა.»

სამწუნაროდ ამ ლაწათიან სათაურს აი რა უშნო ბოლო მოსდეს:

«მამინ ბუღბუღმა  
 მიუგო მხეცებს: «ყველა სულდგმულმა,  
 ხამს იქონიოს ცოდნა და გული...  
 (სესა თქმული..)  
 და უნდა ჭქონდეს ნაწი ყურები...  
 უამისოთ კი, თუნდ მწკრივად დასხდეთ,  
 კერ ისაწანდრებთ, თუნდ ჭაფით გაწედეთ, —  
 მაინც ღარჩებით მხეცნი—ვირები!»

მოიგონეთ ახლა დედანის ბოლო, მეტადვე უკანასკნელი ორი მუსლი: а вы, друзья, как ни садитесь, а все въ музыканты не годитесь, ლე თქვენ დამეთანხმებით, რომ თარგმანსა და დედანს შუა ამოღენავე მანძილია, რამდენიც მარილიან მახვილობას და უბრალო გინებსა შუა... ამ იგავ-ანაკს (და ზოგიერთს სხვებსაც) ერთი სხვა ნაკლებუკანებსაც ემხევა: კილოს, მახვილოგნობის მაგიერ, ზოგან მასხარული თვისება მიუღია.

«ვიღობთ კიდევ წინანდელის მიძღვენო იგავ-არაკი: მგე-  
ლი და მელა.» აი რა მშვენებრის პოეტურ კილოთი იწუება:

ქათმით გამოძღა მელი:  
და მოიღერა ყელი;  
ზოგი კიდევ შეინახა, ზედ წაფარა ლელი,  
თითონ თივის ძირს წამოწვა, — თავს წამოადგა მგელი.

მაგრამ იგავს ქვემოთა ტანში ეს პოეტური კილო უხეირო  
ზრუნად გადაქცეულა:

«მაგრამ ჩვენ ვიცით  
ძალიან ძტივრად  
რომ მგელი თივას ვერ მოინელებს  
(არც უჭამია თავის დღეში მგლებს).  
რომ მგელს თივისგან ასტვიკა ენა,  
რომ ხორცი უჯობს, თუ ვინდა ძვლი.»

აგრეთვე გვარინად იწუება მეოთხე იგავ-არაკი: ყვავი და  
მელი; მაგრამ შუატანში და ბოლოში ზოგიერთა ადგილებო  
უხეიროდ არიან გადაძლეულები. მაგალითად:

«ამდენს კეთილთან(?) თუ მღერაც იცი,  
მაშ აღარ უნდა აღთქმა(?) და ფიცი,  
ჩვენ გვეულებო მიფრინველთა მეფად  
მე ვიცი მხოლოდ ძაღლური ყეფა,  
მაგრამ შევიძლებ დაფასებას.»

შემდეგი იგავ-არჩვი «ლორი» ისე მშვენივრად არის გად-  
მოღებული, რომ დედანს თითქმის სჯობია; მაგრამ ჩაბეჭდი-  
ლებას ათუტებს, სიამოვნებას ასუსტებს ზნის სწავლების პრა-  
ზულად გამოსატყა.

მშვენიერი იგავ-არჩვი «ვირი და ბუღბუღი» ძალიან მდა-  
რედ არის გადმოთარგმნილი და ვერ შეედრება თ. გრ. რჩ-  
ბუღიანის თარგმანს. აი მოისმინეთ:

«ვირმა ჩაღუნა თავი დაბლა, ძირს...

(მეტი არ უნდა მოვსთხოვოთ, ჩვენ, ვირს?)

ბოლოს მან უთხრა ამაყად ბუღბუღს:

მე გიგდებდი ყურს!

შენი ქება მსურს...

შენი გალობა, რომ ესთქვათ, არა მწყინს!

კიდევ მომგვირის ძილს.

მაგრამ

ცოტა რამ

რომ დაგესწავლა შენ მამლისაგან,

აგვამენებდი,

დაგვამშვენებდი,

შეიქნებოდი შენც იმისთანა!

სიძღარის გარდა მეორე მუხლში აზრიც არა სხანს გა-  
მოჩვენებული და ეს თითქმის უაზრობა, სამწუხაროდ, ზოგი-  
ერთს სხვა არაკებშიაც არის შეპარული. სამაგიეროდ მოკლე  
ზნის სწავლება ამ იგავ-არჩვისა მარჯვედ და ჯანსაღად არის  
გამოთქმული.

ზოგ ადგილას ქართულის გრამატიკის კანონი არ არის

დაცული. იგავ-ანაკში «კატა და ბუღბუღი» მეორე მუხლის  
 შირველი ნახევარი ასე წაიკითხება: მას (ბუღბუღს) დაუწყო  
 (კატამ) აღეწაობი. სახელი არსებითი ალერსი მჩაველობით რიც-  
 ხვით არ იხმარება. თ. რაფაელს ადვილად შეეძლო ეს ადგი-  
 ლი ასე შეეცადა: დაუწყო ტბილი აღეწაობი. მეორე ადგი-  
 ლას კვითხულობთ: ძაღლები ღრინავს. აქ შირ-და-შირი წინა-  
 აღმდეგობაა გრამატიკისა. მართალია, ქართულს ენაში შესძე-  
 ნილი სშირად მხლელობითს რიცხვზედ ბოლოვდება, როდე-  
 საც ქვემდებარე მჩაველობითის რიცხვისაა, მაგრამ ეს მხლელ  
 მაშინ მოხდება, როდესაც ქვემდებარე ნიშნავს უსულს საგანს.  
 მაგალითად, ვამბობთ: ხეები აწევა და არა აწევიან, სტოლე-  
 ბი სდგას და არა სდგანან. მაგრამ თუ ქვემდებარე სულიერს  
 საგანსა ნიშნავს, მაშინ კი სრული გრამატიკული თანხმობა უნ-  
 და იყოს მის და შესძენილს შუა, და თუ შირველი მჩაველ-  
 ბითის რიცხვისაა, მეორეც ამ რიცხვზედ უნდა იყოს დაბ-  
 ლეობული. მაგალითად არ შეიძლება ვსთქვათ: კაცები მოდის,  
 ფრინველები ფრინავს, ძროხები ბღავის, უნდა ითქვას: კაცები  
 მოდიან, ფრინველები ფრინავენ, ძროხები ბღავიან. რა საგ-  
 ვირველია ეს შეცდომა თ. რაფაელს იმიტომ კი არ მოუვიდა,  
 რომ ჩვენზედ უკეთესად არ იცოდეს გრამატიკის სხეუბული  
 განონი, რითმის გულისათვის გადასულა განონსა; მაგრამ  
 ურითმობა ბევრით სჯობიან ენის აშკარა უკანონობას და  
 გრამატიკა ზოკტმა თავის დღეში არ უნდა ანაცვალოს რით-  
 მისა... ზოგჯერ მუხლებს უთანასწორობაზე ეტყობათ; მაგალი-  
 თად:

«თვეზმა, გედმა და კიბომა

ქირა აიღეს ძალიან ბლომაღ.»

შირველ მუხლში რვა მარცვლია, მეორეში და შემდე-

გებში ათ-ათი მარცვლი, და ეს უთანასწორობა ლექსს აჩ უსდება...

იგავ-არაკში «ზეგნელი» ჩვენი პოეტი საწყაღს მთიულს ძალიან უყვრება, რეგორ გაბედე ღვთის ქმნილების დაწუნებაო და სწყევლის: «ვის საქმეს სჯიდა, ჭკიცსავდა, შასკადეთ, სულელს, მზე-ბნელსა.» ამითი ჩვენს პოეტს დაურღვევია ერთი ძირითადი კანონი იგავ-არაკებისა, რამელიც მოითხოვს ავტორისაგან, აჩ გაურიოს შიგ თავისი მსჯელობა ცხრვების მნ ადამიანის მოქმედებაზედ და თუ საჭიროდ რაცხს თავისი აჩი გამოსთქვას იგავ-არაკის გათავების შემდეგ ჩნის სწავლებასში.

უმთავრესი ნაკულეკანება იგავ-არაკისა, რამელიც თ. რაიკელს ამოუღია სიბრძნე-სიღრუიდან, იმასია, რამ რეგორთა ჩნის სწავლებანი შეუსაბამონი, უაჩონი და თითქმის მანებელნიც აჩიან, თუმიცა უმეტეს ნაწილად ქაჩთულის ანდაწებიღვან შეუღვინია ივინი ავტორისა. მაგალითად, იგავ-არაკი: «მეფე ღ იმისი შვილები» თავდება შემდეგის ჩნის სწავლებითა:

«ნათქვამიც აჩის ამისთვინაო:

«ძმა ძმისთვინაო, შავ-დღისთვინაო.

«ამხანაგი ნუ გძულსო,

ნაშოვარი ნუ გშურსო..»

იზარალებს ყოველთვისა, ვინც აჩ უსმენს ბატონისაო(!)

მგელი ცხვარში დაეჩია, ვაი ერთის პატრონისაო(!)

მესუთე მუხლით ჩვენი პოეტი ქადაგებს ბატონ-ყმობის დრეს მოჩალსა და მეექვსე მიკონკილის მუხლით სრულს უაჩონობას ბადავს. ამ გვარეკვა ჩნის სწავლება იგავ-არაკისა «დათვი და გლეხი».

«ახლა მინდა შესაფუძვნი ანდაზები ჩამოვხმანო:  
 «დათვი რაღა მოგვრიოს, უნდა მამა დაუძახო, (?!)  
 გლეხი გლეხს ვერ მიეშველს, იქნება დათვის შიშითა;  
 ან გაიკითხვენ გოგოს: ტირილითა და ვიშითა (?!)  
 სხვათა ჭირიო,  
 ღობეს ჩხირიო.»

ჩვენ სრულიად არ უნდა გაგვიკვირდეს მოხსენებულ ნაგ-  
 ლეულებსათა გამორევა იმისთანა ნიჭიერის პოეტის ნაწარ-  
 მობში, რაგორც არის თ. რაფაელი. უნდა გახსოვდეს,  
 რომ იგავ-ანაკების წერა ბევრად ძნელია სხვა-გვარ პოეტურს  
 თხუზულებათა წერაზედ. მთელმა ძველმა დრომ უნიჭიერეს  
 ბერძნებში და რომაელებში აღზარდა მხოლოდ ერთი იგავ-  
 ანაკების მარჯვე მწერალი — ეზოპოსი. მთელმა საფრანგეთმა  
 დაჭაბა მხოლოდ ერთი ლაქონტენი: ვეებერთელა რუსეთის  
 ხალხმა, რომლის რიცხვი ახლა თითქმის ასე მილიონამდის  
 უწევს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ნი-  
 ჭიერი — მეიგავ-ანაკე — კრილოვი — გამოიყვანა ამ ასპარეზზედ.  
 სხვა სახელმწიფოებში, სხვა ერთა შორის, სრულიად არ  
 გამოჩენილან იგავ-ანაკების მარჯვე მწერალნი. ის ჭაჭტი, რომ  
 მთელს კაცობრიობაში მხოლოდ სამს გამოჩენილს იგავ-მეარ-  
 კესა ვსუდავთ, ამჟამად ამტვიცნებს, თუ რა ძნელია ლაზთიანის  
 და მარილიანის იგავ-ანაკების წერა.

ამიტომაც დიდ შემატებად ვსადით ჩვენს ლიტერატურა-  
 ში თ. რაფაელის იგავ-ანაკებსა; დიდ ღვაწლად ვნაცხავთ მის  
 მხრე კრილოვისა და საბა რაბელიანის ანაკების გალექსასა.  
 ეს ღვაწლი ერთი-ოთხად კიდევ იმატებს, თუ თ. რაფაელი  
 მოიცილის, გულ-დადებით გადაათვალიერებს და შესაწორებს

ახლის გამორცემისათვის თავის იგავ-არაკებსა, რომელთაც დიდი საწგებლობა უნდა მოუტანონ მეტადვე ჩვენს სახალხო სკოლასა.

მეორე გამორცემა იგავ-არაკებისა ეკუთვნის «წერა-კითხვის საზოგადოებას.» გამომცემლობაში მას ჯერედ ხამობა ეტყობა. თუძცა ფუფი არ დაუშურებია გამორცემისათვის და თითოეგზემპლიარი აბახამდის დასჯდომია, მაგრამ არც ქალაქდასაქები, არც ბუჭედი და არც სურათები. საზოგადოების გამორცემანი ხშირად გამოვლენ ესე მდარენი, თუ თვითონ ავტორებს მიანდობს გამორცემის შრომას და თავდარიგსა და არ იშოვნის ამ საქმეში გამორცდილს პირსა, რადგანაც თბილისში რიგიანად წიგნის გამორცემა უფრო მომეტებულს შრომას და ფარა-ფურცს ითხრეს, მინამ თვითონ დაწერა.

ი. ს.

შინაარსი 1881 წლის

«ივერიისა»

მოთხრობანი და რომანები: სხვა-და-სხვა გვარი ქორ-  
წილი, კვ. გაბაშვილისა («ივერია» № 1). დედა მანა, სოფრ.  
მგალობელიშვილისა (№ 2). რომანი დიდსკვამი, კვ. გაბაშვი-  
ლისა (№ 3). გაზაფხულის სურათები, კვ. გაბაშვილისა (№ 7).  
ვეკეტილდის მოძღვარი, რომანი რელიეფ გოგადასმიტისა, ინ-  
გლისურადამ (№ № 1, 2, 3, 4 და 5). ზოლინკა საქს, ა. დრუ-  
ჟინინისა, ნათარგმნი ა. მელიქიშვილისა (№ 6). ანდრეს რუსტად,  
ბოეჟენისა, თარგმანი (№ 7). და ჯ მძა, ჯეონ გლადელისა,  
თარგმანი ელ. ლორთქიფანიძისა (№ 8). სიუვარულის ცოლ-  
ქმრობა, ჯ. ჭაღვეისა, ჭრანცურულადამ (№ 9). სისხლის აღე-  
ბა, ამბავი ირლანდიის ცხოვრებიდამ, თარგმანი (№ 11).

ღრამები: რ-ცუცულ-შუა, ე. დე უირანდენისა, ჭრან-  
ცურულადამ (№ 4). სამშობლო, გადმოკეთებული ჭრანცურულ-  
ადამ თ. დავ. ერისთვისგან (№ 10). მეირიმა ანუ ბოსნი-  
ლები, მატია ბანასი, თარგმანი (№ № 11 და 12).

პოემები: ბაღისარაიის შადრევანი, ჰუშეინისა, თარგმა-  
ნი მ. თუმანიშვილისა (№ 1). აზრდილი, ზოკმა ილია ჭავჭავა-  
ძისა (№ № 2 და 3). მუშა-ქალი, ტ. შევჩენკოსი, თარგმანი ნ.  
დ-ისა (№ 5). ბაგრატიონების დიდება, ა. ფ-ისა (№ 8). გან-  
კითხვა, ვ. რ-სა (№ 11).

წერილი ლექსები: ახალი წელი, ზოკტის გული, აგაკი-



სა; ლექსი იტალიურიდან— იოსებ ბაქრაძისა; \* \* ვ. ო-სა ჯ \* \* იორდანე ტუსადისა (№ 1). \* \*; ჩემს ლექსს— იორდანე ტუსადისა; გამოსაღებება, სასო-წარვეკეთილება, გამოფინისლე-ბა— აკაკისა, (№ 2). ბრძოლა, ნუ ჭკარგაკ იმედს— იოსებ ბაქრაძისა, (№ 3). სიმძარი, საუკედური— აკაკისა; დედა-ენა— თ. რაფ. ერისთვისა (№ 4). გაუბედავი სიყვარული— აკაკისა (№ 5). ვიდექ შენ წინა— ვ. ო-სა, სიმღერა— ვლ. მიქელაძისა: სალხური ლექსები, (№ 6). \* \*— უმწიფარობისა, დათვი ჯ ცხვრები, ჰურის მისავალი— თ. რ. ერისთვისა (№ 7). გაზაფხული— თ. რ. ერისთვისა (№ 8). სამშობლო ხვესურისა— თ. რ. ერისთვისა (№ 9). სალხური ლექსები (№ 10). \* \*, \* \*— ი. ბაქრაძისა; «ნეტა რას ტირი დედილო?»— თ. რ. ერისთვისა (№ 12).

სხვა-და-სხვა წერილები: ცხოვრება და კანონი ილ. ჭავჭავაძისა (№ 1). მარლი (№ 2). ირლანდია ინგლისის უფლებების ქვეშ (№ № 3 და 9). რუსეთის კლანდელი მდგომარეობა წერილი პირველი და მეორე (№ № 4 და 9). გადაკარგული მხარე (ხვესურეთი და ხვესურები)— ა. უზბეგისა (№ № 4 და 5). მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღმომჩინებისა (№ 5). ურ. ების ბედი; (№ 6). უმეცრების ამაყობა— ი. გოგებაშვილისა (№ № 6 და 7). უსათუძლო წაღალი (ილ. ჭავჭავაძის «ცხოვრება ჯ კანონის» გამო)— ნ. სუდადოვისა (№ № 6 და 7). რანი ვიყავით გუშინ?— ი. სვიმონიძისა (№ № 8 და 9). თელავის სასულიერო სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცვლისშვილი— ნ. მთვარელიშვილისა (№ № 8, 9 და 10). ვინ მოიგონა ქართული ანბანი— ილ. ოქრომჭედელიშვილისა (№ 10). ნახული და გაგონილი (მგზავრის შენიშვნები) (№ № 11 და 12). განმარტებითი წერილი სწავლების ჰლანისა (№ 12).

მიმღებელი; შინაური მიმღებელი (№№ 1, 2, 3, 5, 7, 9, 11 და 12). შარშანდელი რუსეთი—გ-თ-ისა; უცხო ქვეყნები; ფილექსიკა (№ 1). თეატრი—გ-თ-ისა (№№ 2 და 11). ორივე სიტყვა გ.—თ-ის წერილის «შარშანდელ რუსეთის თარგმანად», ა. ნა—ლისა (№ 3). პირველი მარტი 1881 წლის; «იმედის» ბელეტრისტიკა (№ 4). ხელმწიფის მკვლევები—თ-ისა (№ 5). ქუთაისის საადგილ-მამულა ბანკის კრება (20 აპრილი—11 მაისი) (№ 7) ლიტერატურული. შენიშვნები—ა. ნა—ლისა (№ 10). ნეკროლოგი (№ 11.) ხილად (№ 12).  
 ახალი წიგნები (№№ 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10 და 12)•

## საჭირო უნეშვნა.

თუძცა გამოცხადებულია, რომ „დროებაზედ“ და „ივერიისზედ“ ხელისამოწერა მხოლოდ ცალ-ცალკე მიიღება და «ივერია» ღირს შვიდი მანათი, მანც ზოგიერთა ხელისამომწერლები ჭკვაზნიან ერთად თოთხმეტ მანათს და ორივე გამოცემას იბარებენ. «ივერიის» რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ამ ხელისამომწერლებს, აცნობონ თხუთმეტს იანვრამდე, რა უეოს იმ ხუთ მანათს, რომელიც მას მეჭხვდა, უკანვე დაუბრუნოს მათ, თუ ორს მანათსაც გამოგზავნიან «ივერიის» მთელის წლით დასაბარებლად.

«ივერიის» რედაქცია.

## ბანსხალეზანი.

მომავალს 1881 წელს ყოველ-ღლიური გაზეთი

### «ღ რ მ ე ბ ა»

გამოვა იმავე შროგრაშითა და რიგით და იმავე თანა-  
მშრომლების დასმარებით, რეგორც აქამდის გამოდიოდა. რე-  
გორც გაზეთის დასრუბიდაძვე ცდილობდა რედაქცია, რომ  
მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მანინ, შეძლებისა-და-გვარად,  
გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და  
იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს  
გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება;

თბილისში: «ღრეების» რედაქციის კანტორაში, გალა-  
გინის შროსზექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის  
ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოით-  
ხოვონ გაზეთი. Въ Тифлисъ, Въ редакцію газеты  
«ДРОЭБА».

«ღრეებაზე» და «ივერიაზე» ორივეზე ერთად ხელის-  
მოწერა მომავალის წლიდან არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით	— — — — —	9 მან.
ნახევარის წლით	— — — — —	5 „

სამის თვით — — — — — 3 „

ერთის „ — — — — — 1 „

სხვა კადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხედავს ფული ხელის-მოძრაობა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში, ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

მომავალს 1882 წელს

საზოგადოებრივ და სალიტერატურო გაზეთი

« შ რ მ მ ა »

გამოვა იმავე პრინციპით და მიმართულებით, როგორც წრეულს გამოდის.

გაზეთის პრინციპები:

I. სტატიები თანამედროვე კითხვებზე, II. ტელეგრაფები, III. ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV. სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საზოგადოებრივი ცნობები, V. ქრონიკა ადგილობრივის თვით - მიმართულებისა, VI. შინაგანი და გარეგანი წერილები, VII. საზოგადოებრივი მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII. კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX. ფელეტონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X. ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთ მხარისა, XI. სამსახურული ცნობები და შენიშვნები, XII. ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.

განეთი გამოვსათს მათს შახათობით, საშუალო საგანეთო  
ქალაქის ფურცელზედ, ხანდისხან დამატებით.

განეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა  
ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლისა— შვიდი მანეთი, ნახევარ  
წლისა— ოთხი მანეთი, სამის თვისა— ორი მანეთი და  
სეთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) განეთის რედაქციასი, ნემცების ქუჩა-  
ზედ, კნენა მჭუტაძის სახლში, 2) ზ. გ. წულუკიძის სტამ-  
ბაში, თბილისის ქუჩაზედ, ერეკლავის სახლში და 3) ძმების  
ნიკოლაძეების მდარასიაში.

ქ. თბილისში: შავკრდოვის განეთების სააგენტოში.

ქუთაისის გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილე-  
ბით ზირდაშირ რედაქციას უნდა მიმართონ.

რედაქტორი თ. დიმ. ქლ. ლაღიანი.

გამომცემლები: თ. დ. ქ. ლაღიანი და დ. ა. ნაზაროვი.

## О ВЪ ИЗДАНИИ

въ 1882 г. въ г. Тифлисъ еженедѣльнаго юридическаго журнала

## „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ второй)

Журналь, какъ и въ 1881 году, будетъ выходить по  
четвергамъ въ размѣрѣ до 2 печатныхъ листовъ текста,  
кромѣ приложений, по прежней программѣ, въ объемъ ко-  
торой входятъ статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ

изъ теоріи и практики права и судопроизводства, перечень, изложение и обсужденіе *важнѣйшихъ* распоряженій и узаконеній правительства, *краткіе* отчеты (а въ случаяхъ важныхъ, и стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, *особенно интересныя* гражданскія рѣшенія, *случаи изъ судебной жизни и практики* (смѣсь), корреспонденціи *юридическаго содержанія*, городская хроника, *перечень* новыхъ книгъ *юридическаго содержанія*, обзоръ печати, тезисы касационныхъ рѣшеній *Правительствующаго Сената и Тифлисской Судебной палаты*, судебный указатель и проч.

Заботясь о посильномъ выполненіи своей программы, журналъ заручился сотрудничествомъ сверхъ многихъ лицъ судебного вѣдомства, также и нѣкоторыхъ профессорско-юристовъ.

Редакція журнала—*Тифлисъ Ново-Бebutовская ул. д. № 6*—Администрація (для приема подписки, объявленій и различной продажи)—*Тифлисъ, Сололакская ул. д. № 40*. Подписная цѣна на журналъ, *съ доставкой и пересылкою, на годъ*—10 р., на 9 мѣс. 8 руб. 20 к., на 6 мѣс. 6 р., на 3 мѣс. 3 р. 20 к., на 1 мѣс. 1 р. 20 к. Разсрочка въ платежѣ денегъ — по соглашенію съ администраціею журнала. Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца, и не далѣе конца года—Отдѣльные нумера по 25 к. Объявленія, казенныя и частныя, по таксѣ за занимаемое мѣсто.

*Иногородныхъ просятъ обращаться исключительно въ администрацію журнала.*

Издатель А. С. Френкель,

Редакторъ А. В. Степановъ

Присяжный повѣренный

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1882 ГОДЪ.

## „БУДИЛЬНИКЪ“,

Еженедѣльный сатирическій журналъ съ рисунками и карриатурами.

## 18-й годъ изданія

Въ 1882-мъ году «Будильникъ» будетъ выходить, на прежнихъ основаніяхъ, *еженедѣльно* (50 номеровъ въ годъ), тетрадами отъ 1½ до 2½ листовъ большаго формата. Въ каждомъ номерѣ читатели найдутъ отъ 4 до 6-ти *хромоли-тографированныхъ*, отпечатанныхъ на роскошной бумагѣ, рисунковъ и отъ 15 до 20-ти столбцовъ текста, что составитъ въ годъ два большіе тома, содержащіе *не меньше 250 хромолитографій и до 1000 столбцовъ текста* самаго разнообразнаго содержанія. Программа журнала: 1) юмористическая лѣтопись русской жизни, — 2) обзоръніе политической и общественной жизни иностранныхъ государствъ, — 3) хроника періодической печати, — 4) театральная лѣтопись, — 5) повѣсти, рассказы, бытовые очерки, драматическія сцены и стихотворенія, — 6) памфлеты, пародіи, посвященія, анекдоты, каламбуры, шутки и проч., и 7) рисунки, карриатуры политическія и бытовыя, портреты (шаржъ) героевъ дня, иллюстраціи къ рассказамъ, сценамъ и стихотвореніямъ, виньетки, ребусы и т. д.

«Будильнику» *обѣщали свое участіе*: В. А. Александровъ (Крыловъ), В. Н. Андреевъ-Бурлакъ, П. В. Быковъ, И. А. Башковъ, А. М. Герсонъ, А. М. Дмитріевъ. А. Θ. Ивановъ (Классикъ), Л. Г. Граве, Н. П. Кирѣевъ, М. А. Козыревъ, А. В. Кругловъ, А. Д. Курепинъ, Н. А. Лейкинъ, Д. Д. Минаевъ, В. О. Михневичъ, А. П. Молчановъ, И. И. Мясницкій, В. И. Немировичъ Давченко, П. М. Певѣжинъ,



Н. П. Орловъ, Л. И. Пальминъ, М. И. Писаревъ, О. Н. Плевако, Н. А. Потѣхинъ, А. С. Размадзе, Д. Н. Садовниковъ, М. П. Садовскій, Н. С. Стружкинъ, К. А. Тарновскій, Л. П. Трефолевъ и мн. друг.; *въ художественномъ отдѣлѣ*: С. П. Амосовъ, Н. А. Богдановъ, С. И. Грибововъ, И. И. Клангъ, А. И. Лебедевъ, М. Е. Маковский, М. Е. Малышевъ, В. И. Порфирьева, Н. Е. Рачковъ, К. А. Трутовскій (акад.), Н. П. Чеховъ, К. Н. Ничаговъ, В. И. Шпакъ, П. П. Щегловъ и другіе.

Цѣлый рядъ капиталныхъ, потребовавшихъ не малыхъ трудовъ и затратъ, улучшеній, предпринятыхъ въ «Будильникѣ» еще съ конца 1881 года, даетъ, собственно говоря, право его редакціи отказаться отъ поднесенія подписчикамъ такъ называемыхъ «премій»; тѣмъ не менѣе, желая сохранить обычай доброй старины, она предлагаетъ своимъ *годовымъ* подписчикамъ слѣдующіе роскошные подарки на новыи 1882 годъ:

1) Большую альбертотипію (работы гг. Шереръ и Набгольцъ, въ Москвѣ) съ новой картины *В. Е. Маковского*, спеціально для этого заказа воспроизведенной самимъ художникомъ;—

### «ДѢЛОВОЕ УТРО».

Фирма «Шареръ и Набгольцъ» ручается за артистическое исполненіе копій.

2) Альбомъ рисунковъ *К. Н. Чичагова*: «*Нашъ вѣкъ*».— коллекція героевъ (типовъ) современной намъ эпохи: 1) бассиръ, — 2) концессионеръ, — 3) журналистъ, — 4) спирить, — 5) саврасъ безъ узды, — 6) адвокатъ, — 7) подрядчикъ, — 8) пиковая дама, — 9) дон-Жуанъ, — 10) ростовщикъ, — 11) кулакъ-міроѣдъ, — 12) думець.

Альбомъ и альбертотипія будутъ разосланы *годовымъ* подпискамъ вмѣстѣ съ первымъ № «Будильника» 1882 года.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА «БУДИЛЬНИКЪ»:

въ Москвѣ, безъ доставки, на годъ 7 р., на полгода 4 р.—в.  
 « « « съ доставкою на домъ 8 « « « 4 « 50 »  
 съ пересылкою въ Петер. и пров. 9 « « « 5 « — »

Лица, доплачивающія въ подписной суммѣ одинъ рубль, получаютъ *Альманахъ «Будильника» на 1882-й годъ (IV-й г. изд.)*, въ который, между прочимъ, войдетъ *ребусъ*, за разгадку котораго до 1-го марта 1882-го года (срокъ появленія альманаха въ свѣтъ—15 ноября 1881 г.) редакция «Будильника» объявляетъ денежную премію въ 400 рублей.

Контора редакціи покоррѣйше проситъ гг. подписчиковъ *торопиться* заявленіемъ своихъ требованій, во избѣжаніе задержки первыхъ №№ журнала. Денежные пакеты адресу. ются на имя *Л. Н. Уткиной: Москва, Леонтьевскій пер. д. Мичинера.*



რიცხვი

1881 წლის «ივერიაზელ» ხელის-მომწერთა.

თბილისში 126, ქუთაისში 69, გორში 31, თელავში 12, სიღ-  
 ნაღში 21, ყვირილასში 16, ხაშურში 9, ხონში 8, მუკუზანში 7,  
 ოზურგეთში 7, ბათუმში 7, ჰეტერბურღში 7, დუშეთში 6,  
 სამტრედიასში 6, სოხუმში 6, ახალ-ციხეში 5, მოსკოვში 5,  
 გომში 4, ჯავახეთის ახალ-ქალაქში 4, ონში 4, ფოთში 4,  
 გრკავლში 3, ქარელში 3, ახაშაში 3, ახალ-სენაკში 3, ნუსხ-  
 ში 3, ბაქოში 3, მცხეთასში 2, ბეჟანთუბანში 2, ლაილასში 2,  
 ვლადიკავკასში 2, ბათალბაშინსკში 2, კასპში 1, ფონში 1,  
 ბორჯომში 1, აბასტუმანში 1, შაქათაღასში 1, კაზიანში 1,  
 ფასანურში 1, განჯაში, 1, ერევანში 1, ორდუბათში 1,  
 გუმბრში 1, შამხიაში 1, ახალს აკრატაფაში 1, შუკრაში 1,  
 ყუბაში 1, შუშაში 1, სელიანში 1, ხარაგაულში 1, ჩოხა-  
 ტურში 1, რიონის სტანციაზედ 1, ძირულასში 1, ნაგომარ-  
 ში 1, ფუგდიდში 1, არდაგანში 1, ყარსში 1, ალექსანდრია-  
 ში 1, პეტროვსკში 1, ყაზბეგში 1, სტავროპოლში 1, გრაფ-  
 ნაიაში 1, პოდბრძეში 1, ოდეასში 1, კიევი 1, ხარკოვ-  
 ში 1, სოფიასში (ბოლგარია) 1. პარიჟში 1.

სულ 437 (ოთხას ოც-და-ჩვიდმეტი.)

## ბანცხალეზა.

მომავალს 1882 წელს ქურონალს «ივერიანულ» ხელის  
მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუმნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი  
პირველს იანვრამდე 1882 წ. შემოიტანოს და დანარჩენ-  
ნი სამი მანათი პირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომე-  
ლიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხვეის ქუჩაზედ, ფარესაშვი-  
ლის სახლებში № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ჭ ფული შემ-  
დეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисѣ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ვისაც ქურონალი თავის დროზედ არ მიუციდეს, ვთხოვთ,  
მაღე აცნობოს რედაქციას.